ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
31 ივლისი პარასკევი 2009
№ 178 (12 857) ფასი 60 თეთრი

ევროპის ლიგა.
მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# შეგვძლებია! 2:0


» გვერდი 2,3

გუშინ ეროვნულზე, დინამო-ცრვენა ზვეზდა 2:0. ლევან ხმალაძის ამ თავურს მეორე გოლი მოჰყვა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



# ვაგემოთ ნარინჯისფრებს მე-400 მარცხი!

**საქართველოს ნაკრები უტრეხტშია. ქართველები დღეს და ხვალ ჰოლანდიის ნაკრებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ**

კალათბურთი » გვერდი 12

ევროპის ლიგა — მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# დავიწყებული სიხარულის გემო

**დინამო-ცრვენა ზვეზდა**
(საქართველო) (სერბეთი)

**2:0**

30.07.09 თბილისი. ეროვნული. 15000 მაყურებელი

*1:0 მერებაშვილი (41), 2:0 ხმალაძე (88. ლომიას პასით).*

*დინამო: ლორია – კაკუბავა (63. ლომია), გ. კაშია, ნერგაძე, თომაშვილი – ხმალაძე, დილმელაშვილი – შ. კაშია, გ. მერებაშვილი (86. აკირემი), კოშკაძე (77. ფირცხალავა) – ვაწაძე.*

*სათადარიგოები: სომხიშვილი, ჩადუნელი, სიხარულიძე, ნემსაძე*

*ცრვენა ზვეზდა: პავლოვიჩი – ნინკოვი, ტუტორიჩი, ჯორჯევიჩი, იგნატიევიჩი – ლაზეტიჩი (72. ნიკოლიჩი), სავიო, ისა, ბოგდანოვიჩი (57. კადუ) – ლუკიჩი, იევტიჩი (62. პეროვიჩი).*

*სათადარიგოები: სტამენკოვიჩი, სავიჩი, ცვეტკოვიჩი, ობრიჩი.*

*გაფრთხილება: ისა (10), ბოგდანოვიჩი (30), მერებაშვილი (44), ფირცხალავა (88)*

*არბიტრი: ჯ. ვან ბოეკელი (ჰოლანდია)*

## კარგად დაგვებედა

...რამდენი ხანია, ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ ათასობით ქომაგს ქართული გუნდი ასეთი „ხმაურიანი" ტაშით არ გაუცილებია! მით უფრო, რომ, მატჩის დაწყებამდე, ალბათ, ბევრს არც სჯეროდა, თბილისის „დინამო" ასეთ სოლიდურ და უდიდესი ტრადიციების მქონე მეტოქეს არანაკლებ სოლიდური ანგარიშით თუ დაამარცხებდა...

ჰო, ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელმა ქრონიკულმა წარუმატებლობებმა (სანაკრებო და საკლუბო დონეზე), ერთგვარი პესიმიზმიც „გააბატონა" ჩვენს გულშემატკივრებში. პესიმიზმს კიდევ რა უშავს — ზოგი ამა თუ იმ წარმატებას... შემთხვევითობასაც მიაწერს ხოლმე. საბედნიეროდ, გუშინდელ მატჩში „დინამოს" გამარჯვება იმდენად კანონზომიერი და ლოგიკური იყო, რომ ყველა „დაუნახავსაც" აზრს შეაცვლევინებდა...

... ყველას მოგვენატრა გამარჯვებებით გამოწვეული სიხარულის გემო; თან, კიდევ ვიმეორებთ, ეს ხომ ნამდვილად არ იყო „ჩვეულებრივ" მეტოქესთან ასევე „ჩვეულებრივი" შეხვედრა; არ გვინდა იმის მტკიცება, თითქოსდა, „ცრვენა ზვეზდას" ამჟამად რთული დროება უდგას და კლუბშიც თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს; უბრალოდ, არ გვაინტერესებს და — მორჩა! ანუ ეს, მათი პრობლემაა; თანაც, გუშინდელი შეხვედრა ხომ „დინამომ" საკუთარი პლუსების გამოყენებით მოიგო და არა — მეტოქის უხეში შეცდომებისა თუ შემთხვევითობის გამო! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იქნებ, ისიც გავიხსენოთ, თუ როდის გაჰქონდათ გოლები ჩვენს გუნდებს საერთაშორისო ასპარეზზე... ტაიმების ბოლო წუთებზე?!. ჰო, ადრე ხომ ყოველთვის პირიქით იყო: სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე, ნებისმიერ მეტოქესთან ღირსეულად და „სწორად" ვთამაშობდით... მანამდე, ვიდრე ტაიმების ბოლო წუთები დაიწყებოდა...

...ან, იქნებ, „დინამოს" ფეხბურთელებს აქვთ უდიდესი საერთაშორისო გამოცდილება? ანდა, რომელ გამოცდილებაზეა ლაპარაკი, სათადარიგოთა სკამზე 17-18 წლის ბიჭები რომ სხედან, თან, ზოგიერთ მათგანს ეროვნულ ჩემპიონატშიც კი არა აქვს ნათამაშები...

...„სწორად" თამაში, შემთხვევით არ გვიხსენებია; დღესდღეობით, თანამედროვე ფეხბურთში რაც უნდა მაღალი დონის შემსრულებლები გყავდეს, სათამაშო დისციპლინას თუ არ დაიცავ და კონკრეტულმა მოთამაშემ კონკრეტული დავალება თუ არ შეასრულა, წარმატებაზე არც უნდა იფიქრო. რალა თქმა უნდა, თითოეული დინამოელი ქების ღირსია — მართლაც, სული და გული ჩადეს გუშინდელ გამარჯვებაში. თუმცა, როგორც წესი, გამარჯვების დროს, ყველას... მწვრთნელი ავიწყდება ხოლმე! ჰოდა იქნებ, ჩვენ „დავარღვიოთ ეს ტრადიცია" და „დინამოს" მთავარი მწვრთნელის, კახა კაჭარავას ღვაწლსა და დამსახურებას ხაზი გავუსვათ. თავის დროზე ჩინებულ ფორვარდს, მწვრთნელის რანგში არასდროს უთქვამს აუგი საკუთარ ფეხბურთელებზე; წარმატების შემთხვევაშიც (გუშინაც ასე იყო) მაქსიმალურად ცდილობს, კონკრეტულად არავინ გამოარჩიოს. აი, საკუთარ დამსახურებაზე ხომ საერთოდ, სიტყვაც არ წამოსცდება...

ჰოდა, ჩვენ ვიტყვით: გუშინ „დინამოს" გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, სწორედ მთავარი მწვრთნელი გახლდათ. შესაძლოა, მთლად ამის „დროც" არ იყოს, მაგრამ, ისიც ხომ ფაქტია, რომ „დინამო" აშკარად საჭიროებს სულ ცოტა, ოთხ-ხუთ პოზიციაზე შესაფერისი ფეხბურთელის დამატებას. ანუ იმის თქმა გვინდა, რომ კაჭარავამ მის ხელთ არსებული რესურსით მაქსიმუმზე მეტს მიაღწია! და მთავარიც - როგორც მწვრთნელი ენდობა ფეხბურთელებს, იგივეა საპირისპირო მხარესაც; და, აი, ასეთმა ერთსულოვნებამაც მოგვიტანა ეს დავიწყებული სიხარულის გემო.

რა თქმა უნდა, წინ საპასუხო მატჩია, მაგრამ ევროტურნირებზე „დინამოს" წლევანდელი ასპარეზობა უკვე ახლავე შეგვიძლია წარმატებულად მივიჩნიოთ.

და, კიდევ ერთ, არცთუ უმნიშვნელო მოვლენაზე: ზედიზედ მეორე შეხვედრაა, „დინამოს" მაისურაზე ახალი ლოგო რომ გამოჩნდა - 30-30. შეგახსენებთ, რომ ეს პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ლოგოა და ამ საშვილიშვილო საქმეში „დინამოსაც" საკუთარი, მოკრძალებული წვლილი შეაქვს. რაც მთავარია, ახალი ლოგოთი ასპარეზობა ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს კარგად დაებედა! ასე გააგრძელეთ...




### პირველი ტაიმი

გუშინაც გაცნობეთ, რომ ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელს საკუთარი მეტოქეები ზედმიწევნით ჰყავდათ შესწავლილი. ამიტომაც, ალბათ, არც უცდიათ ძირითად შემადგენლობაში რაიმე „სიურპრიზების" მოხდენა; ეგ კი არა, წინა ოფიციალური შეხვედრებისგან განსხვავებით, ორივე გუნდში მხოლოდ თითო ცვლილება ვიხილეთ. **დონალდ ჯუისის** მოულოდნელი გაუჩინარების გამო, **კახა კაჭარავას** გარკვეული კორექტივების შეტანა მოუხდა: მარჯვენა გარემარბად **შოთა კაშია** განამწესა, მარჯვენა მცველის პოზიცია კი ახალგაზრდა **ლევან კაკუბავას** ანდო. ადგილები შეუცვალა სხვა ფეხბურთელებსაც: „მეტალურგსთან" მატჩისგან განსხვავებით, **ალექსანდრე კოშკაძე** მარცხენა გარემარბის პოზიციაზე იყო, ხოლო **გიორგი მერებაშვილი** ცენტრში, **მათე ვაწაძის** უკან. სტუმრები, კლასიკური — 4-4-2 განლაგებით თამაშობდნენ და უკვე პირველი წუთებიდანვე „მიგვანიშნეს", რომ მაქსიმალურ ყურადღებას უთმობდნენ მოედნის ცენტრის გამაგრებას. ამ პოზიციაზე კი „ცრვენა ზვეზდას" ორი ლეგიონერი ჰყავდა: ბრაზილიელი **სავიო** და განელი **ისა**, ორივე ათლეტური და, ამასთან, ხისტი ფეხბურთელი. თუმცა, გიორგი მერებაშვილმა პირველსავე ტაიმში ისე გააწამა სტუმართა ორივე „საყრდენი", რომ ეს უკანასკნელნი, თითქმის ყველა ეპიზოდში თამაშის წესების დარღვევით თუ აჩერებდნენ „დინამოს" ერთ-ერთ ლიდერს.

...პირველი ტაიმი პირწმინდად ვაჯობეთ! მართალია, იმავე „მეტალურგსთან" მატჩისგან განსხვავებით იმდენი საგოლე მომენტი აღარ გვქონია, მაგრამ სტუმრები ვერაფრით გვჯობდნენ. მეტნაკლებად სახიფათო მათი ტანმაღალი ფორვარდი **დეიან ლეკიჩი** იყო, მაგრამ ლამის ორმეტრიან თავდამსხმელს თითქმის ყველა საჰაერო დუელი მოუგეს **გურამ კაშიამ** და **გიორგი ნერგაძემ**! რაც მთავარია, ჩვენი ცენტრალური მცველები პოზიციურად სწორად თამაშობდნენ და ასე გრძელდებოდა 90 წუთის განმავლობაში — უმცროსმა კაშიამ და ნერგაძემ, მართლაც ლომის წილი დაიდეს „დინამოს" გამარჯვებაში! აი, შოთა კაშიამ კი, ალბათ, კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა — პირველ ტაიმში, თანაგუნდელებში უდავოდ, გამორჩეული რომ იყო გიორგი მერებაშვილთან ერთად. ერთი-ორჯერ კაშიამ ისეთი ეფექტური დრიბლინგიც გვიჩვენა, ბევრ „შტატიან" გარემარბს რომ შეშურდებოდა. მერებაშვილზე კი, ახალი რა უნდა ვთქვათ: ალბათ, ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა თავის გუნდში ისეთ ფეხბურთელს, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე რომ შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა. ასე იყო გუშინაც: მთელი მატჩი მაქსიმალურ „ყურადღებას" კი იმსახურებდა სტუმრებისგან, მაგრამ „თავისი" გოლი მაინც გაიტანა! თანაც, ის შეტევა... თვითონ წამოიწყო, მერე ალექსანდრე კოშკაძემ და მათე ვაწაძემ გააგრძელეს და საბოლოო დარტყმა, კვლავ მერებაშვილის იყო — ბურთი ჯერ ძელს მოხვდა და მერე აფართხალდა სტუმართა კარის ბადეში! რომ ვთქვათ, პირველ ტაიმში „დინამოს" რამდენიმე „უეჭველი" მომენტი ჰქონდაო, მართლები არ ვიქნებით; თუმცა, იმავე შოთა კაშიას და **ლევან ხმალაძის** დარტყმები სახიფათო ნამდვილად იყო. აი, სტუმრებმა კი ჩვენს კარში პირველად 39-ე წუთზე დაარტყეს — **ნიკოლა იგნატიევიჩი** მახვილი კუთხიდან გზავნიდა ბურთს, მაგრამ **გიორგი ლორიამ** საიმედოდ ითამაშა. აი, გაშვებული გოლის მერე კი სტუმრებმა, ცოტა არ იყოს, გვანერვიულეს კიდეც — შტურმის მაგვარი მოაწყვეს და რეალური მომენტიც შექმნეს! ჩვენ კართან სახიფათო ჯარიმა დაინიშნა, „გადმოვარდნილ" ბურთთან პირველი კვლავაც იგნატიევიჩი იყო, მაგრამ ლორიამ ჩინებული რეაქციით აშკარა ხიფათს გადაგვარჩინა!

მოკლედ, პირველი ტაიმი ნამდვილად ღირსეულად ვითამაშეთ და ანგარიშიც აბსოლუტურად ლოგიკური იყო. ერთადერთი, ნეგატიური კი არა, უფრო ცუდი ის იყო, რომ სრულიად უწყინარ სიტუაციაში ყვითელი ბარათი მიიღო გიორგი მერებაშვილმა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „დინამოს" ერთ-ერთი ლიდერი... განმეორებით მატჩს ტოვებდა...

» მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# დავიწყებული სიხარულის გემო

« მეორე გვერდიდან

## მეორე ტაიმი

...მოგებული ტაიმის შემდეგ, ალბათ, ბევრს ეგონა, რომ მეორე ტაიმში „დინამო“ დაცვაში „ჩაჯდებოდა“ და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყებდა ფიქრს. თუმცა, პირველსავე წუთებმა დაგვანახვა, რომ ასეთი რამ არ მოხდებოდა: **დავით დილმელაშვილი** მოხდენილი დარტყმით ცდილობდა უპირატესობის განმტკიცებას, მაგრამ ბურთი მიზანს ოდნავ ასცდა. ამას, მალე შოთა კაშიას მორიგი ეფექტური ფინტი მოჰყვა, ტრიბუნებს ალალი ოვაცია რომ მოსწყვიტა! „დინამო“ ზუსტად და, რაც მთავარია, ეფექტიანად აკონტროლებდა თამაშის რიტმს და ალბათ, ამიტომაც იყო, სტუმართა გამოცდილმა თავკაცმა **ვლადიმირ პეტროვიჩმა**, თამაშის შემობრუნების მიზნით ზედიზედ ორ ცვლილებას რომ მიმართა. ეგ კი არა, მალე გუნდის კაპიტანიც, იტალიაში ნათამაშები **ნიკოლა ლაზეტიჩიც** გამოცვალა, მაგრამ ამით საერთო სურათი არ შეცვლილა! ამასობაში კი კახა კაჭარავას იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდა: კაკუბავამ ფეხი იტკინა და მის ნაცვლად **შოთა ლომია** შემოვიდა. ყოველივე ამან, რაღა თქმა უნდა, ტაქტიკური გადაადგილებები გამოიწვია: ლომიამ ჩვეული ადგილი დაიკავა ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე, მარჯვნივ — კოშკაძე გადმოვიდა, შოთა კაშიამ კი დაცვაში დაიწია. ამასობაში კი „დინამომ“ ორი სწრაფი შეტევა განახორციელა და დიდი შანსი იყო, ორივე გოლით რომ დასრულებულიყო: მერებაშვილის ჩინებული პასის შემდეგ ვაწაძესაც შეეძლო თავის გამოჩენა და მერე უკვე ლომია დარჩა უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე (ამ შემთხვევაში, ვაწაძე უკვე ასისტენტის როლში მოგვევლინა).

...77-ე წუთზე კი „დინამოს“ შემადგენლობაში **ნიკა ფირცხალავა** გამოჩნდა — ახალგაზრდა ნახევრმცველს უმძიმესი ტრავმის გამო, ფაქტობრივად, წელიწადი გაუცდა. თუმცა, ფირცხალავა ჩინებულად ჩაერთო თამაშში და უკლებლივ ყველა თანაგუნდელის მსგავსად, ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა. დრო კი... ძალიან ნელა „მიდიოდა“, თუმცა, შეტევებში მაინც „დინამო“ იყო და 83-ე წუთზე მატჩის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური ეპიზოდიც ვიხილეთ: ნერგაძის, 70-მეტრიანი პასის შემდეგ მერებაშვილმა ჩინებული გაგრძელება იპოვა, თუმცა ლომიას საბოლოო დარტყმა ზუსტი არ აღმოჩნდა.

და მაინც, დინამოელებს აქტიურობა და ჯიგრიანი თამაში დაუფასდათ: ვაწაძის აქტიურობას სტუმართა კართან კუთხური მოჰყვა, შოთა ლომიას ჩამოწოდებულ ბურთზე კი ყველას ლევან ხმალაძემ დაასწრო და თავური დარტყმით ამ შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა!


შოთა კაშია


გიორგი მერებაშვილი

... ზემოთ თითქმის ყველა დინამოელი ვახსენეთ და ხმალაძეზე არაფერი გვითქვამს; არადა, „დინამოს“ კაპიტანი, როგორც ყოველთვის, უაღრესად სასარგებლოდ და, რაც მთავარია, უშეცდომოდ თამაშობდა მოედნის ცენტრსა თუ საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეში. ხოლო იმაზე, თუ როგორ უყვარს ხმალაძეს მატჩის ბოლო წუთებზე თავური დარტყმით ზეპრინციპული გოლების გატანა, ვფიქრობთ, ლაპარაკიც ზედმეტია...

## პრესკონფერენცია

**ვლადიმირ პეტროვიჩი** („ცრვენა ზვეზდა“): „მეორე გოლი რომ არ გაგვეშვა, ვიტყოდი, რომ შედეგით კმაყოფილი ვარ-მეთქი; ახლა კი იმის იმედი მაქვს, რომ განმეორებით მატჩზე 30 000-მდე გულშემატკივარი მხურვალედ დაგვიჭერს მხარს. ვაღიარებ: სლოვენიურ „რუდართან“ შედარებით, „დინამო“ ბევრად სერიოზული გუნდია; ამასთან, ჩვენმა გუნდმაც ვერ ითამაშა ისე, როგორც მე მინდოდა. კარგი ამბავია, რომ საპასუხო მატჩში მერებაშვილი ვერ ითამაშებს — საკმაოდ კარგი ფეხბურთელია. არა უშავს — ამ წაგებამ წელში არ უნდა გაგვტეხოს და მჯერა, რომ შევძლებთ ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას“.

**კახა კაჭარავა** („დინამო“): „მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ ფეხბურთელს; და საერთოდ, სტადიონზე მყოფ ყველა ქომაგს — ასეთ ტაშსა და ოვაციას ჩვენი ახალგაზრდული გუნდი მიჩვეული ნამდვილად არ არის. რა თქმა უნდა, მატჩი ისეთი ანგარიშით დასრულდა, სიხარულის საბაბს რომ მაძლევს. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იმან განაპირობა, რომ თითოეული ფეხბურთელი 100 პროცენტით იყო კონცენტრირებული და მობილიზებული. ყველამ ბოლომდე იბრძოლა და, რაც ძალიან მახარებს, ძლიერ მეტოქეს ტოლი არაფერში დავუდეთ. ვიცით, გასვლაზე ურთულესი მატჩი გველოდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ორივე გუნდს თანაბარი შანსები აქვს.

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები


ვლადიმირ პეტროვიჩი



კახა კაჭარავა

## მატჩის შემდეგ

### ლევან ხმალაძე: ეს ანგარიში საპასუხო მატჩისთვის ძალებს შეგვმატებს

- თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ მართლა კარგად ვითამაშეთ. ამ მატჩში სული და გული ჩავდეთ. ვფიქრობ, საშინაო შეხვედრაში 2:0 სრულიად საკმარისი ფორაა საპასუხო მატჩის წინ. ასე რომ, კარგი შანსი გვაქვს, ეს ბარიერი გადავლახოთ. ბელგრადში რთული მატჩი გველის, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და ეს ეტაპი გავიაროთ.

**- „დინამოს“ კაპიტანი გუნდს გოლით არაერთხელ შეშველებია. დღეს გატანილი ბურთი ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია...**

- დიახ, ეს ჩემს კარიერაში მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ამ გოლით მეტოქის შანსი შევამცირეთ, ჩვენი კი გავზარდეთ. ეს ანგარიში საპასუხო შეხვედრისთვის ძალებს შეგვმატებს. მით უმეტეს, ბელგრადის მატჩი ჩვენთვის რთული იქნება.

**- ლატვიური „მეტალურგსის“ შემდეგ ეს თქვენი მეორე გოლია ევროპის ლიგაზე...**

- ეგრეა. არაერთი გოლის ავტორი ვარ, მაგრამ ევროტურნირებზე გატანილი ბურთი გაცილებით მნიშვნელოვანია. უეფას ახალ ტურნირზე, ევროპის ლიგაზე უკვე 2 გოლი გავიტანე. ბედნიერი ვიქნები, თუ ბელგრადშიც გავიტან და მომდევნო ეტაპზე გავალთ... .

### გიორგი ნერგაძე: ვნახოთ, ვისი აჯობებს...

- ყველანი გახარებულები ვართ, დამაჯერებელი ანგარიშით მოვიგეთ და არა მინიმალური სხვაობით. თუმცა ეს შედეგი დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს, ჯერ არაფერია დასრულებული. გადამწყვეტი ბრძოლა ბელგრადში გვექნება. მით უმეტეს, ვიცით, რომ „ცრვენა ზვეზდა“ შინ კარგად თამაშობს, გულშემატკივრებიც მრავალრიცხოვანი ჰყავს და ქომაგობაც არ აკლია.

**- საპასუხო შეხვედრას გიორგი მერებაშვილი გამოტოვებს. რამდენად დიდი დანაკლისია ეს თქვენი გუნდისთვის?**

- დანაკლისი მართლაც დიდია. მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. ვინც საპასუხო შეხვედრაში მოედანზე გავა, ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ეს დანაკლისი რომ არ დაგვეტყოს.

**- მცველი ხარ და საინტერესოა, მეტოქისგან მეტ ზეწოლას ხომ არ ელოდით?**

- მეტოქისგან მეტ შეწუხებას ველოდით. თუმცა, ვიცით, ზეწოლა ბელგრადში არ მოგვაკლდება. ჩვენც საამისოდ, სათანადოდ მოვემზადებით და ვნახოთ, ვისი აჯობებს...

### გიორგი მერებაშვილი: მჯერა, ბიჭები უჩემოდაც შეძლებენ ამ რაუნდის გადალახვას

- ყველამ კარგად ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა და სათანადოდ მოვემზადეთ. სასურველი შედეგის მისაღწევად მთელმა გუნდმა მაქსიმუმი გავიღეთ. მართალია, დღეს 2:0 მოვიგეთ, მაგრამ ეს შედეგი იმას არ ნიშნავს, რომ ეს რაუნდი თითქმის გავიარეთ.

**- „დინამო“ თქვენი გოლით დაწინაურდა. იქნებ გოლის ეპიზოდი კიდევ ერთხელ გაიხსენოთ...**

- გრძელი პასი გაკეთდა, კოშკაძემ ძლიერად დაარტყა, მეკარემ ბურთი ვერ შეიმაგრა, მცველებს დავასწარი, დავამატე და უზომოდ გავიხარე, როცა ბურთი კარის ბადეში დავინახე. ბურთი ჯერ ძელს მოხვდა და მერე შევარდა კარში... გოლიც ეფექტური გამოვიდა... ძალიან ბედნიერი ვარ, ეს უკვე ჩემი მესამე გოლია ევროპის ლიგაზე.

**- სამწუხაროდ, ამ თამაშში მიღებული ყვითელი ბარათის გამო ბელგრადული მატჩის გამოტოვება მოგიწევთ...**

- დასანანია, მაგრამ ასეა. ეს ჩემთვის ძალიან საწყენია... მჯერა, ბიჭები ჩემი გამოკლების გამო ფსიქოლოგიურად არ გატყდებიან და ბოლომდე იბრძოლებენ. 2:0 იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ ბელგრადში დაცვაში ჩავჯდეთ და ანგარიშის შენარჩუნებაზე ვიფიქროთ. არა მგონია, „დინამომ“ სტუმრად გოლის გატანა ვერ შეძლოს. იმედი მაქვს, სასურველ შედეგს მივაღწევთ და „ცრვენა ზვეზდას“ ბარიერს გადავლახავთ.

### გიორგი ლორია: შევეცდები, მარაკანაზეც მშრალად შევინახო კარი

- ძალიან რთული მატჩი იყო, მაგრამ უფრო რთული ბელგრადში გველის. ღვთის წყალობით, დამაკმაყოფილებელი შედეგით დავასრულეთ. მთავარია, რომ მშრალად, თანაც ორი ბურთის სხვაობით გავიმარჯვეთ. ეს მოგება თითოეული ფეხბურთელის, მწვრთნელის, კლუბის ყველა წევრის, ტექნიკური პერსონალის... და, რაღა თქმა უნდა, გულშემატკივრის დიდი დამსახურებაა. ფანებს მადლობას ვუძღვნი ასეთი მხურვალე მხარდაჭერისთვის.

**- საპასუხო შეხვედრა უფრო რთული იქნება. ბელგრადის „მარაკანაზე“ ფსიქოლოგიური ფონიც მეტოქის სასარგებლოდ იქნება. შეძლებთ, კარი იქაც მშრალად შეინახოთ?**

- მოსამზადებელი პერიოდი სათანადოდ გამოვიყენე და კარგ ფორმაში ვარ. ფსიქოლოგიურადაც მზად ვარ. ასე რომ, ყველანაირად შევეცდები, „მარაკანაზეც“ მშრალად შევინახო კარი და ვნახოთ, ეს რამდენად გამომივა.

### დავით დილმელაშვილი: სერბები შეეცდებიან, შინ გამოაჩინონ ბრჭყალები, მაგრამ...

- ამ ეტაპზე მაქსიმუმი გავიღეთ. „ლელოს“ მოწოდებისა არ იყოს, დღეს „ზვეზდაზე“ მაღლა ავხტით. შედეგთან ერთად იმითაც ვარ ბედნიერი, რომ გულშემატკივარი გავახარეთ და ლამაზი, ემოციებით დატვირთული საღამო ვაჩუქეთ, რომელიც ჩვენთვის სასურველი შედეგით დაგვირგვინდა.

**- „ცრვენა ზვეზდა“ იმ დონის გუნდია, რასაც ელოდით, თუ უკეთესი ან უფრო სუსტი?**

- კი, იმ დონის გუნდია, რასაც ველოდით. ჩვენ სერბებს თამაშით ვაჯობეთ. ჩემი აზრით, მეტოქე ყველანაირად შეეცდება, ბელგრადში გამოაჩინოს ბრჭყალები, მაგრამ იქაც მაქსიმალური მობილიზებით უნდა ვითამაშოთ, ბელგრადში არაფერი უნდა დავთმოთ.

**- საპასუხო შეხვედრაში რას უნდა ველოდეთ?**

- ეს შედეგი საკმაო საფუძველია საამისოდ, რათა ამ ბარიერის გადასალახავად რეალურად ვიბრძოლოთ. ამისათვის კარგი შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ.

**დავით ცაგაძე**

ბაია

ინტერვიუ ზვიად სიჭინავასთან

# ზუგდიდი საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს

## ბაია მოსკოვის სპარტაკის პარტნიორი გახდება



ზვიად სიჭინავა

**მაისში** კიდევ ერთხელ ითქვა და ივნისში ყველაფერი გადაწყდა, ზუგდიდში ორი გუნდი - „მგლები" და „ბაია" გაერთიანდა. გუნდში, რომელსაც ბესიკ შეროზია ხელმძღვანელობს, უკვე რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, მათ შორის რამდენიმე უცხოელც. უკვე გადაწყვეტილია, რომ ზუგდიდურ გუნდში ითამაშებენ: ჩისამბა ლუნგუ, ჯეკ დენიელი, დენის შუჩკინი, რევაზ ჯიქია და ირაკლი ხუციძე. ზუგდიდში კიდევ სამი აფრიკელი ფეხბურთელი გადის ტესტირებას და ამდენივეს ამ დღეებში ელიან...

**ფეხბურთელების გარდა, კლუბის ხელმძღვანელობა უცხოეთში ეძებს პარტნიორებს და საერთაშორისო ტურნირის ორგანიზებაც გეგმაში აქვთ... ერთი სიტყვით, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ზუგდიდელთა კლუბის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას გავესაუბრეთ.**

- დიახ, ამ ორი კლუბის გაერთიანების პროცესი დასრულებულია. „ბაია" არსებობას გააგრძელებს, მაგრამ მხოლოდ, როგორც საფეხბურთო სკოლა. შპს „მგლები" კი ჩვენი გუნდი იქნება უმაღლეს ლიგაში. ამასთან, „ბაია" მუდმივად გაუზრდის და მიაწოდებს ფეხბურთელებს ჩვენი უმაღლესი ლიგის გუნდს. ასე ვთქვათ, მცირე საფეხბურთო კონვეიერი იქნება.

**- ზუგდიდის გაერთიანებული გუნდის სახელწოდებად რამდენიმე ვარიანტი გაჟღერდა. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება თუ მიიღეთ?**

- ახალ სეზონს „ბაიას" სახელით დავიწყებთ, მაგრამ გვინდა სეზონის მეორე ნახევრიდან, გუნდს ძველი სახელი დავუბრუნოთ და კვლავ „ოდიშის" სახელით გამოვიდეთ. იმედი მაქვს ფეხბურთის ფედერაციასა და პროფლიგაში სახელწოდების შეცვლაზე პრობლემა არ გვექნება.

**- სეზონი რომ „ოდიშის" სახელით დაგეწყოთ?**

- ამ სახელწოდების კლუბს ახლა სხვა მეპატრონე ჰყავს და სახელთან დაკავშირებით მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. ვიმედოვნებ, ამ საკითხს მიმდინარე წლის ბოლომდე მოვაგვარებთ.

**- ზუგდიდის ორი გუნდის გაერთიანებისას ითქვა, ეს ახალი გუნდი ამიციური იქნებაო. მართლაც დიდი პოტენციალი გაქვთ, ბაზა, სტადიონი, კადრები, მწვრთნელები...**

- მართალი გითხრათ, ჯერჯერობით, ჩვენი გუნდი მთლად ისეთი ძალა არაა, როგორც ამბობენ. თუმცა ჩვენი მიზანი სწორედ ესაა. ასე რომ, ამ მიზნისკენ ეტაპობრივად ვივლით. „მგლებში" მომუშავე მწვრთნელებს, ფეხბურთელებსა და სხვა პერსონალს დიდი გამოცდილება აქვს და ეს ძალზე წაგვადგება.

**- გუნდის დაკომპლექტება დასრულდა, თუ კიდევ დაიმატებთ ახალ მოთამაშეებს?**

- ნიგერიიდან სამ ფეხბურთელს ველით. ამ ტრიოდან ერთ-ერთი, 19-წლამელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონია. აქამდე ტესტირებაზე 6 ახალი ფეხბურთელი გვყავდა უცხოეთიდან. მათგან სამის, ზამბიელ ნახევარმცველ ჩისამბა ლუნგუს, რუს შუახაზელ დენის შუჩკინისა და კამერუნელ ფორვარდ ინამა უკუდა ჯეკ დენიელის დატოვების საკითხი გადაწყვეტილია. სექსტეტიდან დარჩენილ სამ მოთამაშეს კიდევ დავაკვირდებით და ვნახოთ. ერთი სიტყვით, სეზონს დავიწყებთ, სატრანსფერო ფანჯარა აგვისტოს ბოლომდე ღიაა და ალბათ კიდევ დავიმატებთ ფეხბურთელებს.

**- ამ ეტაპისთვის რამდენად გაკმაყოფილებთ ის კონტინგენტი, რომელიც თქვენს გუნდშია?**

- პრინციპში ცუდი კონტინგენტი ნამდვილად არ გვყავს. ჩვენ უმთავრესად, „ბაიას" აღზრდილ ჭაბუკ ფეხბურთელებზე გავაკეთეთ აქცენტი, რადგან მათში დიდ ტალანტს ვხედავთ. გარდა ამისა, დაგვემატება მეკარე მანუჩარ ივარდავა, რომელმაც ოპერაცია გაიკეთა და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის. ივარდავას დიდი იმედი გვაქვს და ამ სატრანსფერო პერიოდისას მეკარის დამატებაზე ამიტომაც აღარ ვიზრუნეთ. ასევე დაგვემატება ეხვაია, მან ახლახან გაიკეთა ოპერაცია. „ბაიას" აღზრდილი ჭაბუკი ფეხბურთელი კანკია კი უკრაინის ერთ-ერთ გუნდშია ტესტირებაზე და ჯერ მისი საკითხი გადაწყვეტილი არაა... და კიდევ ერთი, გამოცდილი ფორვარდი გია თოდუაც გამოგვაკლდა, ის რუსთავის „ოლიმპში" გააგრძელებს კარიერას.

**- სიტყვამ მოიტანა და გავიგეთ, რომ ზამთარში ჭაბუკთა ნაკრების ნახევარმცველი ნიკა ძალამიძეც გამოგაკლდებათ. ასეა?**

- დიახ, ძალამიძემ მოსკოვის „სპარტაკში" გაიარა ტესტირება. მოსკოვში ის მოეწონათ და მისი საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ნიკა ძალამიძე ზამთარში 18 წლის გახდება და მას 6 იანვარს მოსკოვში ელიან. ასე რომ, ნიკა იანვარში „სპარტაკთან" კონტრაქტს გააფორმებს... გარდა ამისა, „სპარტაკთან" მალე სხვა ხელშეკრულებასაც გავაფორმებთ...

**- რას გულისხმობთ?**

- „სპარტაკთან" უკვე მიღწეულია შეთანხმება. მცირედი შესწორებაღა დარჩა და ამ ახალი კონტრაქტის მიხედვით, ჩვენ საქართველოში ექსკლუზიური უფლება გვექნება, მოსკოვის „სპარტაკს" საქართველოში ფეხბურთელები მოვუმზადოთ და მივაწოდოთ.

**- ფაქტობრივად თქვენი გუნდი „სპარტაკის" ფარმკლუბი იქნება?**

- მთლად ასე არაა, მაგრამ ცხადია პარტნიორები გავხდებით და მოსკოველებს ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებს მივაწვდით. ჩვენი პარტნიორობა უმთავრესად ბავშვთა ფეხბურთით შემოიფარგლება. ჭაბუკთა გუნდს მოსკოვში ჩავიყვანთ და საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზებთ. გარდა ამისა, „სპარტაკის" ჭაბუკთა გუნდს მოვიწვევთ და ზუგდიდში გავმართავთ საერთაშორისო ტურნირს.

**- საამისოდ ზუგდიდში მართლა გაქვთ პირობები. როდისთვის გეგმავთ საერთაშორისო ტურნირს?**

- წელს გვინდა საქართველოს მასშტაბით ჩავატაროთ „ბაიას" თასის გათამაშება. გაისად კი ვაპირებთ ეს ტურნირი საერთაშორისო გავხადოთ და რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ჭაბუკთა გუნდები მოვიწვიოთ.

**- თქვენი გუნდი ამ სეზონში რა მიზნისთვის იბრძოლებს?**

- როგორც ზემოთ გითხარით, ჩვენ უმთავრესად ჭაბუკ ფეხბურთელებზე გავაკეთეთ აქცენტი. გამოცდილი ფეხბურთელი ბევრი არ გვყავს და ამ სეზონში ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ვიბრძოლებთ. მომავალში კი ვნახოთ...

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი



ილია კანდელაკი

# მენთეშაშვილის დებიუტი

უეფას ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველმა მატჩმა თბილისში ქართველ გულშემატკივრებს დიდი სიხარული მოუტანა. თუმცა ქართველმა ფეხბურთელებმა სხვა წყვილებშიც ითამაშეს. **ილია კანდელაკის** „შტურმი" ჩერნოგორიულ „პეტროვაჩს" ეწვია და 2:1 მოიგო. ჩვენმა თანამემამულემ ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე შეუცვლელად ითამაშა. გრაცელებმა თითქმის გაინაღდეს შემდეგი ეტაპის საგზური.

გუშინ თელ-ავივის „ჰაპოელში" საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის **ზურაბ მენთეშაშვილის** დებიუტი შედგა. ისრაელის ვიცე-ჩემპიონი შვედურ „გიოტებორგს" ეწვია. მატჩის განაცხადში ქართველიც მოხვდა, რომელსაც ახლახან გაუვიდა შარშანდელი დისკვალიფიკაცია ჯერ კიდევ „ვენტსპილსის" რიგებში მიღებული წითელი ბარათისთვის. მენთეშაშვილმა **ზანდბერგი** 78-ე წუთზე შეცვალა. ეს ცვლილება ებრაელთათვის იღბლიანი აღმოჩნდა, იმავე წუთზე **იბომ** 2:1 დააწინაურა სტუმრები. მოედანზე გამოყვანიდან ზუსტად 10 წუთში ჩვენმა თანამემამულემ უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. „ჰაპოელმა" 3:1 მოიგო და ფაქტობრივად გაინაღდა მეოთხე საკვალიფიკაციო რაუნდის საგზური.

სერბული „ვოივოდინა", სადაც 29 წლის შემტევი ნახევარმცველი **მიხეილ ხუციშვილი** თამაშობს, შინ 1:1 დაუზავდა ვენის „აუსტრიას". ჩვენი თანამემამულე სათადარიგო იყო, ის მოედანზე არ შეუყვანიათ. სარაევოში ადგილობრივი „სლავია" „კომიცესთან" 0:2 დამარცხდა და შემდგომი წარმატების თეორიული შანსიღა შეინარჩუნა. **ლევან კუტალიამ** მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა. 19 წლის ქართველი ყველაზე აქტიური იყო მასპინძელთა რიგებში და ყველა სტანდარტს ის ასრულებდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქორთუამაც გაიტანა

**ლატვიის** ვირსლიგაში ერთი გადადებული მატჩი გაიმართა, ქართველი სპეციალისტის **თამაზ პერტიას** „დინაბურგი" ერთ-ერთ აუტსაიდერ „ტრანზიტსს" ეწვია და 2:0 მოუგო. „დინაბურგის" ახალწვეული ფორვარდი **ვასილ ლუჭაშვილი** ტრავმირებულია, სამაგიეროდ სასტარტო შემადგენლობაში მეორე ქართველი **ირაკლი ქორთუა** მოხვდა. ქორთუამ მწვრთნელს ნდობა გაუმართლა - მასპინძელთა კარში მეორე გოლი ჩვენებური მცველის ანგარიშზეა, ეს 48-ე წუთზე მოხდა, „დინაბურგმა" 2:0 მოიგო. ქორთუამ სეზონში პირველი გოლი მიითვალა. „დინაბურგი" 31 ქულით მე-4 ადგილზეა, მაგრამ დაწინაურებულ სამეულს მნიშვნელოვნად (13-14 ქულით) ჩამორჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კობიაშვილიც და ყენიაც

**ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** „შალკემ" მორიგი სპარინგი სტუმრად „ზაარბრიუკენთან" გამართა და 2:0 მოიგო. სხვათა შორის, ამ მატჩს 20 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. **ფელიქს მაგათმა** ლევან კობიაშვილი სასტარტო შემადგენლობაში დააყენა, ის 35-ე წუთზე სინჯებზე მყოფმა **ფლავიომ** შეცვალა. მე-60 წუთზე მატჩში ლევან ყენიაც ჩაერთო, რომელმაც **ფარფანი** შეცვალა. გოლები **რაკიტიჩის** და **ჰოლტბის** ანგარიშზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლევან კობიაშვილი



ლევან ყენია

ქალთა ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

# წავაგეთ, მაგრამ პრესტიჟის გოლი მაინც გავიტანეთ

**გუშინ**, ქალთა გუნდებს შორის, ჩემპიონთა ლიგის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჯგუფური რაუნდი დაიწყო. მოგეხსენებათ, ჩვენი ჯგუფის მატჩებს ლიტვა მასპინძლობს. სასტარტო ტურში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელ „ნორჩ დინამოელს", ლიტვურმა „გინტრამ" ქალაქ შიაულიაში უმასპინძლა. შეხვედრა ბალტიისპირელებმა დიდი ანგარიშით, 7:1 მოიგეს. მასპინძლებმა მე-9 წუთზე გახსნეს ანგარიში, ტაიმის დასრულებამდე კიდევ სამი ბურთი გაგვიტანეს და შესვენებაზე „გინტრა" გვარიანი ფორით, 4:0-ით გავიდა. მეორე ტაიმში ლიტველებმა კიდევ სამჯერ დალაშქრეს თბილისელთა გუნდის კარი. მატჩის მიწურულს, **მამუკა სვანაძის** გუნდიდან 90-ე წუთზე პრესტიჟის გოლი **თამარ კვალიაშვილმა** გაიტანა, რომელის 10 წუთის შესული იყო მოედანზე.

ჩვენმა გუნდმა „გინტრას" წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

**ნადირაშვილი, სუთიძე, ქველიძე, პასიკაშვილი (70. კოჭლამაზაშვილი), სხირტლაძე (80. კვალიაშვილი), მალიძე (46. დოლიძე), ჭიჭინაძე, გაბელია, პოლოსიანი, ხუბულური, ტატუაშვილი.**

ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრაში მიუნხენის „ბაიერნმა" შოტლანდიური „გლაზგო" 5:2 დაამარცხა. ხვალ A ჯგუფში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართება. „ნორჩი დინამოელი" „ბაიერნს" ეთამაშება, „გინტრა" კი „გლაზგოს" დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, რომ ჯგუფიდან 1/16 ფინალში მხოლოდ პირველადგილოსანი გადის.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ოთარ გაბელია: ტყუილად ნუ შენუხდებით, პროტექციით არავის ავიყვან

ორიოდე დღის წინათ ბულგარეთში საერთაშორისო ოთხთა ტურნირი დასრულდა, სადაც საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა იასპარეზა. გუნდში მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ოთარ გაბელიას** დებიუტი შედგა. გამოცდილ სპეციალისტს უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდი გაუწვრთნია, მაგრამ ნაკრებში ამ როლში პირველად მოგვევლინა: ჩვენმა ნაკრებმა ბულგარეთში, 21 ივლისს სამხრეთ აფრიკასთან თამაში ფრედ (1:1) დაასრულა, გოლი ცხინვალის "სპარტაკის" ნახევარმცველმა **თემურ შონიამ** გაიტანა. 24 ივლისს მასპინძელ ბულგარეთთან (1:2) წაგებულ მატჩშიც თავი შონიამ გამოიჩინა. მესამე ადგილისთვის დაპირისპირებაში კი ქართველმა ახალგაზრდებმა ზიმბაბვეს 1:0 მოუგეს. ამჯერად გოლი ცხინვალის "სპარტაკის" მეორე ნახევარმცველმა, **ნიკა მაისურაძემ** გაიტანა.

საბოლოოდ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა, რაც ურიგო შედეგი არაა – ბოლო დროს ხომ ჩვენებისგან მხოლოდ ბოლო ადგილებს შევეჩვიეთ.

ბულგარეთში გაბელიამ სულ 17 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: **რევაზ თევდორაძე ("გაგრა"), თორნიკე ზარქუა ("ზაია").**

მცველები: **ილია გამრეკლიძე, გურამ ადამაძე, ლაშა კასრაძე (ყველა "ვიტ ჯორჯია"), გიორგი ხატიაშვილი ("ლოკომოტივი"), ივანე კილაძე ("გურია"), ლაშა თოთაძე ("გაგრა").**

ნახევარმცველები: **თემურ შონია, ნიკოლოზ მაისურაძე (ყველა "სპარტაკი"), ვალერი ბოლქვაძე ("დინამო"), ირაკლი ხუციძე ("ზაია"), გელა გოგიტიძე ("ბათუმი"), თორნიკე თარხნიშვილი (უგუნდო).**

თავდამსხმელები: **ილია პავლიაშვილი ("გაგრა"), გიორგი ჭედია (ზუგდიდის "ზაია"), ბესიკ ჩიმაკაძე ("სიონი").**

8-დღიანი ტურნირის შემდეგ, საქართველოს ნაკრების წევრები სამშობლოში დაბრუნდნენ და ნაკრების მთავარ მწვრთნელს ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- ბატონო ოთარ, როგორ შეაფასებთ ტურნირს, გუნდის რა დადებითი და უარყოფითი მხარეები დაინახეთ?**

- ტურნირით კმაყოფილი დავრჩი. ფეხბურთელების მნიშვნელოვანი ნაწილი უმაღლესი ლიგის გუნდებიდან და უცხოეთიდან ვერ გამოვიძახეთ და თავის გამოჩენის შანსი სხვა პერსპექტიულ მოთამაშეებსაც მივეცით. დადებითიც ბევრი იყო ჩვენს თამაშში, მაგრამ ჯერჯერობით უარყოფითი სჭარბობს. თანამედროვე ფეხბურთს უფრო მეტი ლონე და სისწრაფე სჭირდება.

**- ბულგარეთში ძირითადი ბირთვის ბევრი ფეხბურთელი არ გამოიძახეთ.**

- მათი გამოძახება მსურდა, მაგრამ ქართული გუნდების ევროთასებზე მონაწილეობა გავითვალისწინე. ამას გარდა, ტურნირის ჩატარების დღეები უეფასა და ფიფას კალენდარში შეტანილი არ იყო და ლეგიონერებს ვერ დავუძახე.

თუმცა, სასარგებლო ტურნირი აღმოჩნდა, რადგან კარგად დავინახეთ, ვინ რას წარმოადგენს და ვისი იმედი უნდა მქონდეს. მართალია, ერთადერთი შეხვედრა ბულგარეთთან წავაგეთ, ზიმბაბვესთანაც საკმაოდ რთული შეხვედრა გვქონდა, მაგრამ ყველაზე კარგი გუნდი სამხრეთ აფრიკას ჰყავდა, რომელთანაც 1:1 ვითამაშეთ.

**- სამხრეთ აფრიკასთან ფრედ დაასრულეთ – თამაშის ხარისხი თუ მოგეწონათ?**

- ბიჭებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს. სხვათა შორის, ბულგარეთთან და ზიმბაბვესთან ბოლო ოცი წუთი ათი კაცით ჩავამთავრეთ. ასე რომ, მასპინძელთან წაგება ამით შეიძლება ავხსნათ, ზიმბაბვესთან კი მოგების შენარჩუნება მოვახერხეთ.



ოთარ გაბელია

**- ბოლო დროს, უხეშობა ქართველი ფეხბურთელების სენი გახდა - სამ თამაშში ორი გაძევება დასაფიქრებელია.**

- ეს იმის ბრალია, ყველაფერი კარგად რომ არ გამოსდით. თუმცა, ბულგარეთთან ჩვენი ფეხბურთელი გაძევებას არ იმსახურებდა, მსაჯს წითელი ბარათი მასპინძელთა მოთამაშისთვის უნდა ეჩვენებინა, რომელმაც ჩვენიანს ხელი ჩაარტყა. თუმცა, ორივეს ყვითელი აჩვენეს რაც ჩვენი ფეხბურთელისთვის მეორე აღმოჩნდა.

**- საბოლოო მესამე ადგილი მისაღები შედეგია?**

- შედეგს არც ვუყურებდი, მე ფეხბურთელების გასინჯვა მაინტერესებდა. შედეგი მნიშვნელოვანი ოფიციალურ შეხვედრებშია და იმედია, ჯგუფში ბრძოლისუნარიან გუნდად ჩამოვყალიბდებით.

**- იმედები ვინ გაგიმართლათ?**

- საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ მეკარე რეზო თევდორაძე და ნახევარმცველი თემურ შონია. ამ უკანასკნელმა ორი გოლიც გაიტანა. არა უშავდათ გიორგი ჭედიასა და ნიკა მაისურაძესაც. საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა "ლოკომოტივის" ფეხბურთელმა გიორგი ხატიაშვილმა, რომელიც ბოლო შეხვედრაში ცენტრალური მცველის პოზიციაზე ვათამაშე. ზოგიერთმა ფეხბურთელმა კი ის თამაში ვერ აჩვენა, რასაც ველოდი. საერთოდ, ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არც ვიყავით, ზოგიერთი უგუნდოდაა, მაგალითად, თარხნიშვილი და თოთაძე.

**- გასასინჯი კიდევ ვინმე დაგრჩათ?**

- ბირთვი შერჩეულია, თუმცა, ჩემპიონატის თამაშებს დავესწრები და იქნებ, კიდევ ვინმემ თავი გამოიჩინოს.

**- უცხოეთში მოთამაშე ყველა ქართველი ნახეთ?**

- მხოლოდ ლევან კუტალიას ვერ დავაკვირდი. მას ლიტვასთანაც ვერ გამოვიყენებთ. ბოსნიაში ლიტვის საელჩო არაა და ვიზის მისაღებად ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანაში უნდა გაემგზავროს. 5 სექტემბერს ესტონეთს ვხვდებით და ვიზის პრობლემა კუტალიამ თავად უნდა მოაგვაროს.

ბულგარეთში თითქმის ყველა ფეხბურთელი ვნახე, "სპარტაკის" ნახევარმცველ გიორგი კბილცეცხლაშვილისა და "ზაიას" მეკარე თორნიკე ზარქუას გარდა. ორივეს უნდა ეთამაშა, მაგრამ, კბილცეცხლაშვილი ავად გახდა და ვერ წავიყვანეთ. ზარქუა კი იმიტომ ვერ გამოვცადე, რომ სამივე შეხვედრა ძალიან დაძაბული აღმოჩნდა და რეზო თევდორაძის გამოცვლა ვერ გავრისკე.

თამაშებმა ყველაფერი გვაჩვენა – ვის რა შეუძლია. ახლა ვერავინ მეტყვის, რომ შანსი არ მივეცი. აშკარად გამოჩნდა, საქართველოს ჩემპიონატის დონე საერთაშორისო სარბიელზე საკმარისი რომ არაა.

აქვე მსურს ყველა გავაფრთხილო – ტყუილად ნუ შეწუხდებიან და ნუ დამიკავშირდებიან, ზარებით ნაკრებში არავინ ამყავს. მე და ჩემი სამწვრთნელო შტაბის წევრები ყველას ვაკვირდებით და გამორჩეულების შერჩევაც არ შეგვეშლება.

**- ბულგარეთში რა ტაქტიკური მონახაზი გამოცადეთ?**

- სხვადასხვაგვარი, 4-1-4-1, 4-2-3-1, თუმცა, ამ საკითხში დოგმებს არ მივსდევ. გააჩნია, როგორი შემადგენლობა გვეყოლება, ვის ვხვდებით, რა სიძლიერის ნაკრებია და ა.შ. ჯგუფში ჩვენ ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს, თურქეთი და შვეიცარიაა თავის ასაკში მსოფლიო ფეხბურთის ელიტაში არიან. ასე რომ, ყველასთან ერთი სქემით თამაში გამორიცხულია.

**- ლიტვასთან ამხანაგური შეხვედრისთვისთვის როდის შეიკრიბებით?**

- რამდენიმე დღით ადრე, ლიტვაში კი 10 აგვისტოს გავემგზავრებით.

**- ოფიციალურ შეხვედრებამდე "სამშაბათობებს" გეგმავთ?**

- ჩემპიონატის ტურები მჭიდრო გრაფიკით ჩატარდება და ჯერ არ ვიცი, კლუბები ფეხბურთელებს ერთი დღით გამოუშვებენ თუ არა.

ლეგიონერი

ინტერვიუ ალექსანდრე გოგობერიშვილთან

# აზერბაიჯანში არც ისეთი სამოთხეა



ალექსანდრე გოგობერიშვილი

**აზერბაიჯანის წამყვან და მდიდარ კლუბებში ნათამაშევი ალეკო გოგობერიშვილი ბოლნისის "სიონში" გამოჩენა სატრანსფერო სეზონის ერთ-ერთი ყველაზე დიდ სენსაცია აღმოჩნდა. ბოლნისელებს ფინანსურად არ ულხინთ, მდიდარი აზერბაიჯანიდან საქართველოში და თანაც არც ისე მდიდარ კლუბში მისვლა კი უცნაური ჩანდა.**

თუმცა, ასეა მხოლოდ ერთი შეხედვით – რეალურად, ალეკო გოგობერიშვილს ამის მიზეზი ჰქონია, რასაც ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- ალეკო, "სიონში" თამაში საბოლოოდ გადაწყვიტე?**

- დიახ, დღეს ექვსთვიანი კონტრაქტი გავაფორმე.

**- აზერბაიჯანში წამყვან კლუბებში ნათამაშევი კაცის საქართველოში ჩამოსვლა რას მივაწეროთ?**

- ჩემთვის სასურველი კლუბი არ გამოჩნდა.

**- და საქართველოში აღმოაჩინე?!**

- სხვათაშორის, ისეც არაა საქმე, ზოგიერთს აზერბაიჯანი სამოთხე რომ ჰგონია – სათამაშოდაც რთულია და საცხოვრებლადაც. განსაკუთრებით ბოლო დროს გაგვიჭირდა. ბაქოს "ოლიმპიკში" ვთამაშობდი და სამი თვე ხელფასი არ ამიღია. უფულობას სამშობლოში დროებით თამაში მირჩევნია.

**- "ოლიმპიკი" ხომ აზერბაიჯანის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბია?!**

- უმდიდრესი იყო, მაგრამ ბოლო დროს ძალიან გაუჭირდა. ხელფასებს არ იძლეოდნენ, გუნდიც აირია და მეც გული ამიცრუვდა.

**- ძნელი წარმოსადგენი იყო, ფინანსური პრობლემები ჩვენს მეზობლებსაც თუ შეაწუხებდათ.**

- ფაქტია, რომ აწუხებთ. ასალები ხელფასის გამო, "ოლიმპიკთან" დღემდე დავა მაქვს. სხვა კლუბებსაც ანალოგიური პრობლემები აქვთ. "ქარვანში" მიშა მესხი და ლექსო ინწკირველი თამაშობდნენ. თავის დროზე ისიც მდიდარი კლუბი იყო, მაგრამ ისე გაუჭირდა, სეზონის შემდეგ დაიშალა. იქაც სამი თვის ხელფასი ჰქონდათ გასასტუმრებელი, მაგრამ ახლა დამფინანსებელი მოძებნეს, გუნდი გადარჩა და ჩვენებიც დააბრუნეს.

**- სხვათაშორის, რამდენიმე აზერბაიჯანული კლუბის შემხედვარეს დამრჩა შთაბეჭდილება, რომ განსაკუთრებით არ გაუსწრიათ.**

- იმის მიუხედავად, რომ ჩვენზე საფეხბურთო ქვეყანა არაა, უკვე გითხარით კიდეც, ბოლო დროს გაუჭირდათ, მაგრამ მათი ჩემპიონატი ჩვენსას მაინც სჯობს. აზერბაიჯანელების 6-7 წამყვან გუნდთან ჩვენს ლიდერებს ძალიან გაუჭირდებათ. მერე უნდა ნახოთ, რა დაძაბული თამაშები და ტემპია. რაც მთავარია, უკეთესი პირობები გააჩნიათ და სანახაობრივად ჩვენს ჩემპიონატზე უკეთესია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მაყურებელი დადის და ასეთ გარემოში თამაში სასიამოვნოა.

**- "სიონის" გარდა, სხვა ვარიანტი არ გქონდა?**

- ვარიანტი საქართველოშიც იყო და უცხოეთში გასინჯვასაც მთავაზობდნენ, მაგრამ როდესაც თემურ მახარაძე დამიკავშირდა, მაშინვე დავთანხმდი. მას დიდ პატივს ვცემ, კარგი სპეციალისტია და სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ, "სიონში" მეორე წრეშიც დავრჩე. ბოლნისში შემადგენლობაც ძალიან მომეწონა, არავისზე ნაკლები ფეხბურთელები არ გვყავს.

**- თუ არ მეშლება, შენი ბავშვობის მეგობარ სულიკო დავითაშვილთან გვერდით, თერთმეტწლიანი პაუზის შემდეგ ითამაშებ.**

- ასეა, ფეხბურთზეც ერთად შევედით და 1998 წლამდე "მერანში" გვერდიგვერდ ვთამაშობდით. ისე, "აბრეზაზე" აუცილებლად უნდა ვთქვა: არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთი გამოცდილი ფეხბურთელის დაკარგვა? კაცი გულაცრუებული იყო და ფეხბურთიდან წასვლას აპირებდა. ამ დღეში მარტო სულიკო არაა. სულ ვწუწუნებთ, თავდამსხმელები არ გვყავსო და ამ დროს, ლევან მელქაძე და გია მეგრელაძე უგუნდოდ არიან. სირცხვილია მათი არდაფასება.

ტრანსფერი



გია თოდუა

# ოლიმპმა მგელი თოდუა დაიმატა

## ჭედია დღემდე არჩევანშია

კორლალიძემ გაგვიმხილა, რომ რუსთაველებმა ამასობაში "მგლებიდან" თავდამსხმელი მაინც დაიმატეს – ლაპარაკია წინა ჩემპიონატის ერთ-ერთ ბომბარდირ **გია თოდუაზე.**

*"კონტრაქტი ნახევარი წლით გავაფორმე. ურეკში ზუგდიდის "ზაიას" შეკრებაზე ვახლდი და ტრანსფერი ბოლო მომენტში გადაწყდა. ზუგდიდში ახალგაზრდულ კლუბს ქმნიან და "ოლიმპში" თამაშის პერსპექტივა მომეწონა. ჩემამდე "ზესტაფონიდან" სევასტი თოდუა აიყვანეს და მოგვარესთან ერთად, პირველად ვითამაშებ. ვიცი, რომ ბრაზილიელები ჩამოვიდნენ და ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად სერიოზული კონკურენციის დაძლევა მომიწევს. თუმცა კონკურენცია ყველა ნორმალურ კლუბშია, თავის დასამკვიდრებლად კი ყველაფერს გავაკეთებ. "ოლიმპში" ორი წლის წინაც ვთამაშობდი და მაშინ ზუგდიდში ისე დავბრუნდი, შესაძლებლობები ვერ გამოვავლინე. ახლა მსურს დავამტკიცო, რომ ძირითადში თამაშს ვიმსახურებ. ბრაზილიელები და კონკურენცია კი არ მაშინებს, პირიქით, ეს ჩემთვის მეტი სტიმულია".*

რუსთავის "ოლიმპი" სეზონისთვის მომზადებას ურეკში ამთავრებს. მთავარი მწვრთნელი **ოთარ კორლალიძე** ზუგდიდის "მგლებისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის, **გიორგი ჭედიას** დამატებას იმედოვნებდა.

გიორგიმ ბულგარეთში საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე ითამაშა და ამის შემდეგ "ოლიმპში" უნდა გაეგრძელებინა კარიერა. თუმცა, ჯერ მისი საკითხი გადაუწყვეტელია. ფეხბურთელის პასუხი არ იცის **კორლალიძემ,** რადგან ჭედია დღემდე ბელარუსის კლუბ ჟოდინოს "ტორპედოს" ეკუთვნის. როგორც შევიტყვეთ, მას რამდენიმე სხვა კლუბიც აკვირდება და ორიოდე დღეში უნდა გაირკვეს, სად გააგრძელებს კარიერას.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

### ვაზუსტებთ:

"ლელოს" გუშინდელ ნომერში მასალაში "პროფლიგამ დინამოს უარი უთხრა", მესამე სვეტის ბოლოს შეკითხვა ასე უნდა იკითხებოდეს: **"შარშან სხვა გუნდების თხოვნა გაითვალისწინეთ და "დინამოს" თხოვნა რა პრობლემა გახდა?"**

ინტერვიუ — ლუკას ბარიოსი

# მარადონა უკვე მაკვირდება!

## არგენტინელ გოლეადორს დორტმუნდში პირველი ცუდი სიტყვა ასწავლეს: შალკე

დიდი ხანი არაა გასული, რაც ლუკას ბარიოსი დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელი გახდა და მან უკვე შეძლო ვესტფალიური გუნდის გულშემატკივრების გულების მოგება. არგენტინელმა გოლეადორმა „ბორუსიას" მაისურით ჩატარებულ პირველსავე შეხვედრაში გოლი გაიტანა (კობლენცთან ამხანაგურ მატჩში - 1:1). „კოლო კოლოდან" 4.3 მილიონ ევროდ ნაყიდი ფორვარდით დორტმუნდში ყველა აღფრთოვანებულია. *„ვალდესისა და ლუკასის სახით ახლა ორი ისეთი ფორვარდი გვყავს, რომ ალარაფრის გვეშინია. სეზონის სტარტს სრულ მზადყოფნაში ვხვდებით,"* - ამბობს BVB-ის გენერალური მენეჯერი ჰანს-იოახიმ ვატცკე. ნიჭიერ არგენტინელ გოლეადორს, რომელმაც წინა სეზონში 38 მატჩში 37 გოლი გაიტანა, „ბილდის" კორესპონდენტი გაესაუბრა.



ლუკას ბარიოსი ბორუსიას იმედია

**- უკვე გრძნობთ, რაოდენ მძიმე წნეხის ქვეშ ხართ მოქცეული?**

- ეს პირველივე დღეს ვიგრძენი. ჩამოვედი თუ არა, მივხვდი, რომ აქ ჩემზე უდიდეს იმედებს ამყარებენ. პრობლემა არ არის, ისედაც ვიცოდი, რაც მელოდა დორტმუნდში. ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ბევრი გოლი გავიტანო, მაგრამ ეს ყველაზე მთავარი არ არის. მთავარია, ჩემი წვლილი შევიტანო იმაში, რომ გუნდმა მოიგოს.

**- გასული სეზონის შედეგების მიხედვით თქვენ „მსოფლიო გოლეადორი" გახდით. ლუკას ბარიოსი პლანეტის საუკეთესო თავდამსხმელია?**

- ეს ტიტული ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, მაგრამ საუკეთესო ნამდვილად არ ვარ. „კოლო კოლოს" მაისურით გოლების გატანა ადვილი არ არის, მაგრამ შედარებით ადვილია, ვიდრე გერმანიაში, ესპანეთში ან იტალიაში. თანაც, მე უფრო გუნდური მოთამაშე ვარ. მოედანზე ყოფნისას ყოველთვის იმაზე ვფიქრობ, რით დავეხმარო თანაგუნდელებს. თუ რომელიმე მათგანი ჩემზე უკეთეს პოზიციაზე დგას, აუცილებლად პასს ვაძლევ და ა.შ. ზოგადად კი ძალიან მხიარული და კომუნიკაბელური ადამიანი ვარ. ჯერ არც ერთ კლუბში პრობლემა არ მქონია.

**- თქვენით არაერთი ევროპული გრანდი იყო დაინტერესებული. ყველაზე მეტად რომაული გრანდები, „ლაციო" და „რომა" აქტიურობდნენ, აღარაფერს ვამბობთ ბერლინის „ჰერტაზე". რატომ მაინცდამაინც „დორტმუნდი"?**

- იმიტომ, რომ ყველაზე მეტად „ბორუსიამ" იაქტიურა. ამ გუნდის ხელმძღვანელებმა პირველივე საუბრისას დამარწმუნეს, რომ ჩემი გადაბირება ძალიან უნდოდათ. პირველივე შეხვედრის დროს ვიგრძენი, რომ „დორტმუნდი" უდიდეს ნდობას გამომიცხადებდა. შესაბამისად, მეც ის გუნდი ავირჩიე, რომელსაც ყველაზე მეტად ვჭირდებოდი. ახლა კი, როცა აქ ჩამოვედი, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მე მეგონა, რომ ასეთი გადარეული, გუნდზე გაგიჟებული ფანები მხოლოდ „ბოკა ხუნიორსს" და „რივერ პლეიტს" ჰყავდათ.

**- თქვენთვის დორტმუნდის „ბორუსია" მხოლოდ ტრამპლინია?**

- არა, რატომ? სიმართლე გითხრათ, შორს არ ვიხედები ხოლმე, მაგრამ დიდი შანსია, „ბორუსიაში" ძალიან დიდხანს დავრჩე. ევროპაში თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ფაქტია, რომ კონტინენტის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში მოვხვდი. ოცნება, მეთამაშა რომელიმე კონკრეტულ ევროპულ კლუბში, არ მქონია. არგენტინაში ყველა „რეალზე" ან „ბარსელონაზე" ოცნებობს. მე ასეთი ოცნება არ მქონია.

**- როგორ ფიქრობთ, უკვე მზად ხართ არგენტინის ნაკრებისთვის?**

- ვიცი, რომ დიეგო მარადონა მაკვირდება და ჩემს შესახებ ყველა შესაძლო ინფორმაციას აგროვებს. თუ „დორტმუნდში" კარგად ვითამაშებ და გოლებს გავიტან, დარწმუნებული ვარ, მარადონა „ალბისელესტეში" აუცილებლად გამომიძახებს. ეს თავისთავად მოხდება. არგენტინის ნაკრებში თამაშზე კი მართლა ვოცნებობ. ამას წინათ დიეგომ ჩემს შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში ძალიან პოზიტიურად ილაპარაკა.

**- რა გახარებთ ყველაზე მეტად დორტმუნდში?**

- ის, რომ გუნდის საშინაო მატჩებს 80 000 გულშემატკივარი ესწრება. ამდენი მაყურებლის თვალწინ არასდროს მითამაშია. ერთი სული მაქვს, როდის გავალ „ვესტფალენშტადიონზე"...

**- და ალბათ მოუთმენლად ელით „რურის დიდ დერბის" „შალკესთან"...**

- „შალკესა" და „დორტმუნდის" მტრობის შესახებ ყველაფერი ვიცი. მეუბნებიან, ეს გუნდები ერთმანეთს ზუსტად ისე ვერ იტანენ, როგორც „ბოკასა" და „რივერის" ფანები.

**- იცით, რომ „შალკეს" ფერი ლურჯია?**

- არა, ეს არ ვიცოდი, თორემ დღეს ლურჯ მაისურს არ ჩავიცვამდი.

**- ტანსაცმელს რაც შეეხება: როგორც ვხედავთ, მხოლოდ ცნობილი ბრენდების ტანისამოსს ატარებთ...**

- ჰო და ცნობილი ავტომობილებიც მიყვარს.

**- თქვენი ხელფასით არგენტინაში მყოფი ოჯახიც უნდა არჩინოთ? თქვენი თანამემამულეების უმრავლესობა სწორედ ასე იქცევა ხოლმე.**

- არა. მე ღარიბი ოჯახიდან არ ვარ. ჩემი ოჯახი საშუალო ფენას ეკუთვნის. მამაჩემი უმუშევარი არასდროს ყოფილა. ოთხი ძმა და სამი და მყავს - საკუთარი თავის მიხედვა ყველას შეუძლია. თუმცა მე მათ ყოველთვის დავეხმარები.

**- ფეხბურთის თამაში ოჯახური ტრადიციაა?**

- როგორ გითხრათ, შეიძლება ასეც ითქვას. მამაჩემი და ჩემი ძმები ფეხბურთს ძალიან კარგად თამაშობენ, მაგრამ მე ერთადერთი ვარ ოჯახში, ვინც პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა. ეს იმიტომ, რომ სკოლის მერე ალარაფერი მისწავლია და მხოლოდ ფეხბურთს ვთამაშობდი.

**- 5 წლის ვაჟიც გყავთ...**

- ჰო, თომასი, რომელიც ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ცოლთან გაყრილი ვარ და ჩემი შვილი არგენტინაში, დედაჩემთან და ჩემს უმცროს დასთან ერთად ცხოვრობს.

**- დორტმუნდში არ ჩამოიყვანთ?**

- რა თქმა უნდა და თანაც, რაც შეიძლება ხშირად. დღეში მინიმუმ ორჯერ ტელეფონით ველაპარაკები. რაც ყველაზე მთავარია, სახლში სატელიტური ანტენა გვაქვს და თომასს შეუძლია, მამიკოს თამაშებს პირდაპირი ეთერით უყუროს.

**- გერმანიაში ყველაზე მეტად რა მოგეწონათ?**

- დიდი ხანი არაა, რაც აქ ვარ და შესაბამისად, ბევრი არაფერი მინახავს. რაც ნამდვილად შევამჩნიე, ის არის, რომ გერმანიაში ძალიან ბევრი ლამაზი, ქერა გოგონაა. ცხადია, თვალში მეცა ისიც, რომ აქ ყველაფერი ძალიან სუფთაა.

**- ნომრის ზემოთ ლუკასი წაიწერეთ, რატომ?**

- ყველგან ლუკასი მეწერა. „ბორუსიას" შეფებს ვთხოვე და ნება დამრთეს, ლუკასი დამეწერა.

**- „დორტმუნდში" თქვენ ალექსანდერ ფრაი უნდა შეცვალოთ. ფეხბურთელი, რომელსაც საშუალოდ ერთ მატჩში 0.46 გოლი გაჰქონდა და ფანების უსაყვარლესი მოთამაშე იყო...**

- ნამდვილად არ მეშინია. ფრაის მხოლოდ ტელევიზორიდან ვიცნობ, შესანიშნავი თავდამსხმელია და დიდ პატივს ვცემ, მაგრამ გერმანიაში იმიტომ არ ჩამოვსულვარ, რომ სხვა ფეხბურთელებს შემადარონ.

**- თუ იცით, რასთან არის დაკავშირებული თქვენი ნომერი?**

- არა!

**- თავის დროზე ეს ნომერი ლარს რიკენს ჰქონდა...**

- ... ჰო, ჰო, გამახსენდა. ეს იყო ფეხბურთელი, რომელმაც „დორტმუნდს" ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. გამახსენდა, ეს ერთმა გულშემატკივარმა მითხრა.

**- „ბორუსიას" ქომაგების ნაწილს ურჩევნია, მე-18 ნომერი სამუდამოდ მუზეუმში დაიდოს და ამ ნომრიანი მაისურა არც ერთმა ფეხბურთელმა აღარ ჩაიცვას...**

- ამაზე არ მიფიქრია. ხელმძღვანელებმა მე-13 და მე-18 ნომრები შემომთავაზეს. მე კი 18 ვამჯობინე.

**- შევიტყვეთ, რომ თქვენი მეტსახელი „პანტერაა". საიდან?**

- ბავშვობაში „არხენტინოს ხუნიორსში" ვთამაშობდი, კლუბში, სადაც დიეგო მარადონა გაიზარდა. ძალიან სწრაფი ვიყავი და ამიტომაც შემარქვეს პანტერა.




ტრანსფერი

# გლები სახლში დაბრუნდა!

## ერთწლიანი იჯარა: ბარსამ ბელარუსი შტუტგარტს ათხოვა

„ბარსელონას" ბელარუსმა ნახევარმცველმა **ალიაქსანდრ გლებმა**, რომელიც „ინტერში" უნდა გადასულიყო, „შტუტგარტში" ამოყო თავი. ფეხბურთელი, რომელიც ამ გერმანული კლუბის ღირსებას 2000-დან 2005 წლამდე ერთხელ უკვე იცავდა და საფეხბურთო ევროპამ სწორედ „შტუტგარტიდან" გაიცნო, შვაბურ კლუბში ერთ სეზონს განათხოვრების წესით გაატარებს. შტუტგარტელებმა ბელარუსი პლეიმეიკერი გუშინ წარადგინეს.

*„ალიაქსანდრ გლების სახით მსოფლიო დონის ფეხბურთელი გადმოვიბირეთ, რომელიც ჩვენი გუნდის დონეს ძალიან აამაღლებს. ვფიქრობ, გულშემატკივრები მისი დაბრუნებით ძალიან კმაყოფილები არიან,"* - განაცხადა „შტუტგარტის" გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა**.

*„შტუტგარტში" გადასვლა პირველ რიგში იმიტომ გადავწყვიტე, რომ ამ გუნდში დიდ პოტენციალს ვხედავ. ესეც რომ არ იყოს, „შტუტგარტს" ძალიან კარგად ვიცნობ და აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. იმედი მაქვს, ერთად ბევრს მივაღწევთ!"* - ეს კი თვითონ ბელარუსი ნახევარმცველის სიტყვებია.

„ბარსელონას" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ გლების ხელფასს მთლიანად შტუტგარტი გადაიბარებს. ამრიგად, შვაბები ბელარუსიის ნაკრების კაპიტანს ამ ერთი სეზონისთვის 4 მილიონ ევროს გადაუხდიან. „ინტერში" გადასვლა კი (**სამუელ ეტოოსთან** ერთად, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტრანსფერის ხურდაში) გლებმა თვითონვე იუარა, რადგან „შტუტგარტში" გადასვლა ერჩივნა.

ალიაქსანდრ გლები „შტუტგარტის" ღირსებას ხუთი წლის განმავლობაში იცავდა და ამ პერიოდში შვაბური კლუბის გულშემატკივართა უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო. ბუნდესლიგაში ჩატარებულ 137 მატჩში მან 13 გოლი გაიტანა და 34 საგოლე პასი გააკეთა. 2005 წელს კი მან ლონდონის „არსენალს" მიაშურა, რის შემდეგაც, 2008 წელს „ბარსელონაში" გადავიდა. კატალონიურ გრანდში კი, 28 წლის ბელარუსმა ადგილი ვერ დაიმკვიდრა და მუდმივად სათადარიგო ფეხბურთელი გახლდათ. „ბარსას" თავკაცმა **პეპ გვარდიოლამ** გლები ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სეზონის მიწურულსლა ათამაშა – უმოტივაციო მატჩებში.

ბუცები ლურსმანზე

# გერმანიამ ტარნატი გააცილა!

## ტანე მიუნხენში, სკაუტის რანგში ბრუნდება

გუშინ საფეხბურთო გერმანია **მიხაელ ტარნატს**, როგორც აქტიურ ფეხბურთელს გამოეთხოვა. „ჰანოვერის" ხელმძღვანელებთან უთანხმოების მიუხედავად, „ტანეს" ჰანოვერში მაინც მოუწყვეს გაცილება. ლონდონის „არსენალთან" ამხანაგურ მატჩში (1:0 ინგლისელთა სასარგებლოდ), 39 წლის ტარნატმა 20 წუთი ითამაშა და მოედნიდან ფანებმა რამდენიმეწუთიანი ოვაციებისა და ტაშის ფონზე გააცილეს.

19-წლიანი კარიერიდან, მან ბოლო ხუთი წელი „ჰანოვერში" გაატარა და ამრიგად, ამ გუნდის ქომაგებისგან უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა. როგორც ასეთ სიტუაციებში ხდება ხოლმე, გაცილებისას ვერც „ტანემ" შეიკავა ცრემლები. *„საფინალო სასტვენის შემდეგ გულშემატკივრებისთვის რამდენიმე სიტყვის თქმა მინდოდა, მაგრამ იმდენად ემოციური მომენტი იყო, რომ ეს ველარ შევძელი. „ჰანოვერში" ხუთი შესანიშნავი წელი გავატარე. შესანიშნავ ფანებს უდიდეს მადლობას ვუხდი!"* - განუცხადა ტარნატმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ტარნატს გუნდის ხელმძღვანელებმა საჩუქრები გადასცეს, აი, მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** კი საერთოდ არ გამოჩენილა, რადგან მასსა და „ტანეს" გასული სეზონის მიწურულიდან დღემდე ძალიან დაძაბული ურთიერთობა აქვს. ვეტერან მცველს ბუნდესლიგაში 363 მატჩი (24 გოლი) აქვს ჩატარებული, გერმანიის ნაკრებში კი - 19.

მიხაელ ტარნატი მიუნხენის „ბაიერნში" დაბრუნდება, სადაც სკაუტის რანგში იმუშავებს. „ბაიერნში" „ტანე" 1997-დან 2003 წლამდე თამაშობდა და ოთხჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი (1999, 2000, 2001, 2003), სამჯერ მოიგო გერმანიის თასი (1998, 2000, 2003), ხოლო 2001 წელს კი ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი. სანაკრებო დონეზე მისი ყველაზე დიდი მიღწევა 1998 წლის მუნდიალზე თამაშია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალები

# უკრაინა და ინგლისი ფინალში არიან


ჰენრი ლენსბერის (მარჯვნივ) გოლი

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატში, რომელიც უკრაინის ქალაქებში მარიუპოლსა და დონეცკში მიმდინარეობს, ნახევარფინალები გაიმართა. დონეცკში, დრამატულ შეხვედრაში ინგლისის ნაკრებმა დამატებით დროში 3:1 დაამარცხა საფრანგეთი, ხოლო მარიუპოლში მასპინძელ უკრაინას 90 წუთი ეყო იმავე ანგარიშის მისაღწევად სერბეთთან. მაშ ასე, 2 აგვისტოს ფინალში უკრაინა და ინგლისი ითამაშებენ.

ინგლისის ნაკრები 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ისტორიაში მეორედ გავიდა. საფრანგეთი „ასტონ ვილას" 18 წლის ფორვარდმა **ნათან დელფონესომ** დამატებით დროში გატეხა, როდესაც ორი გოლი გაიტანა. საფრანგეთმა კი მატჩი რვა კაცის ამარა ჩაამთავრა.

თავიდან უპირატესობა ფრანგებისა იყო, მათმა მწვრთნელმა **ჟან გალისმა** ესპანეთთან მატჩის შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში ოთხი ცვლილება განახორციელა და ამან გაამართლა. მე-8 წუთზე „რენის" ნახევარმცველი **იასინ ბრაიმი** მარჯვენა მცველ **კირან ტრიპიერს** დაუძვრა და ფლანგიდან **მაგაიე გუიეს** გადააწოდა, ამ უკანასკნელმა შორეულ კუთხეში გაიტანა. ფრანგები დაწინაურდნენ და სათამაშო უპირატესობასაც ფლობდნენ, შუა ხაზში საუცხოოდ თამაშობდა **რიად ბუდებუზი.**

33-ე წუთიდან ინგლისიც გამოცოცხლდა, ცენტრალურ მცველ **მეთიუ ბრიგსს** გოლის გატანის შესანიშნავი შანსი ჰქონდა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა. ხუთ წუთში საპასუხო გოლი გავიდა - მართალია, **დრინქუოთერის** საჯარიმო ცოცხალ კედელს მოხვდა, მაგრამ იქვე მდგომმა **ჰენრი ლენსბერიმ** ბურთი ფრანგთა კარის დაბალ კუთხეში ოსტატურად „ჩასვა". სხვათა შორის, ლენსბერიმ ტურნირზე მესამე მატჩში მესამე გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში, მატჩის დასრულებას 20 წუთზე ნაკლები უკლდა, როცა „მამლაყინწების" მარჯვენა მცველმა **სებასტიან კორჩიამ** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. მიუხედავად ამისა, საფრანგეთმა თამაში დამატებით დროში გადაიყვანა. მატჩის ბედი პირველ დამატებით ტაიმში გადაწყდა, მეორე წუთზე დელფონესომ **პილოს** მოგერიებულ ბურთს მიუსწრო, ხოლო 13 წუთში მან დრიბლინგით შეაღწია საჯარიმოში და ისე გაიტანა. ფრანგებმა ბოლო წუთებზე კიდევ ორი ფეხბურთელი დაკარგეს წითელი ბარათის გამო, მოედანი **აბდელ ელ კაუტარიმ** და რიად ბუდებუზმა დატოვეს. მეორე დამატებით ტაიმში „აჭრილ" ფრანგებს 3-4 ბურთი მაინც უნდა გაეშვათ. ალბიონელებს ოდნავ მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ. მარტო **ჯო ბენეტის** მომენტი რად ღირს, როცა ინგლისელმა შორიდან გადაუგდო ბურთი პილოს თავზე, მაგრამ ოდნავ ააცილა.

დღის მეორე თამაში, რომელიც მარიუპოლში გაიმართა, პირველ წუთზევე გატანილი გოლით დაიწყო - უკრაინის ნაკრები სერბეთთან დაწინაურდა. **კორკიშკომ** კარგად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, დამატებაზე კი **ევგენი შახოვმა** მიასწრო ყველას. ამის შემდეგაც უკრაინელები უტევდნენ, თუმცა გოლი სერბებმა გაიტანეს - 22-ე წუთზე გოლკიპერი **ლევჩენკო** გამოსვლაზე უხეშად შეცდა და ბურთი სერბ **ალექსიჩს** მუცელში გაარტყა, რომლისგანაც ის კარში შეგორდა - 1:1. 39-ე წუთზე ისევ მასპინძლები დაწინაურდნენ, **დენის გარმაშმა** დაახლოებით 20 მეტრიდან გაიტანა. მეორე ტაიმში არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ მატჩის მიწურულს გარმაშმა დუბლის შესრულება შეძლო - 3:1. კორკიშკომ ვერ გაიტანა, მაგრამ ბურთი იქვე მდგომმა **ერემენკომ** ჩაიგდო, რომელმაც ბურთი თავზე დაასვა" გარმაშს. ჩვენმა ყოფილმა თანამემამულე **თემურ ფარცვანიამ**, რომელმაც უკრაინის მოქალაქეობა და იქაური ნაკრები არჩია საქართველოსას, 90 წუთი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ინგლისი-საფრანგეთი 1:1 (3:1 დ.დ.)**

**გოლები:** 0:1 გუიე (8), 1:1 ლენსბერი (37), 2:1 დელფონესო (92), 3:1 დელფონესო (105)

**ინგლისი (4-3-3):** სტილი - ტრიპიერი, უოკერი, ბენეტი, ბრიგსი (79. ჰოიტი) - გოსლინგი, დრინქუოთერი, ლენსბერი - უელბეკი (75. რეინჯერი), დელფონესო, მერფი (63. მეტოკი).

**საფრანგეთი (4-4-2):** პილო - კორჩია, ელ კაუტარი, პეიბერნე (81. ნელსონი), გვილავოგი (52. ლე ტალეკი) - ნდიაიე, მაკონდა, ბუდებუზი, ბრაიმი - რივიერი, გუიე (62. პორტუჩე).

**გაძევება:** კორჩია 72, ელ კაუტარი 118, ბუდებუზი 119.

**სერბეთი-უკრაინა 1:3**

**გოლები:** 0:1 შახოვი (1), 1:1 ალექსიჩი (22), 1:2 გარმაში (39), 1:3 გარმაში (86)

**სერბეთი (4-4-2):** კიროვსკი - მილიაკოვიჩი, ბლაგოევიჩი, მედოევიჩი, ჩრნოგლავაცი - ლიაიჩი, ცვეტკოვიჩი (84. დიურიჩიჩი), მატიჩი (46. პრშო), მილანოვიჩი - ალექსიჩი, მილიჩი (90. ბუბალო).

**უკრაინა (4-4-2):** ლევჩენკო - კუშნიროვი, ფარცვანია, კრივცოვი, პეტროვი - გარმაში, შახოვი, ერემენკო, ჩაიკოვსკი - კორკიშკო, შევჩუკი (90. კარნოზა).

**ფინალი**

**2 აგვისტო**

**უკრაინა-ინგლისი**

ევროპის ჩემპიონი

# აღგზნებული კაცი მადრიდიდან

ფერნანდო ტორესმა „ლივერპულის" მწვრთნელს, **რაფა ბენიტესს** უთხრა: „ჩვენ **რუნი** გვჭირდება, შეფ!" გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედი" ზედიზედ მესამედ გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი, „ლივერპული" კი მეორე ადგილზე გავიდა. მანჩესტერელებმა მერსისაიდელებს ოთხი ქულით გაუსწრეს და ესპანელი ფორვარდის აზრით, ეს განსხვავება სწორედ **უეინ რუნიმ** განაპირობა.

ტორესმა სეზონი 17 გოლით ჩაამთავრა და უკმაყოფილოა. ის ამბობს, რომ მის მხარდამხარ „ლივერპულში" რუნი - თუნდაც **კარლოს ტევესი** - რომ ყოფილიყო, ნახევარდაცვიდან **სტივენ ჯერარდის** მძლავრი დახმარებით გუნდი უფრო მეტს გახდებოდა. ასეთ შემთხვევაში ლივერპულელთა შეტევა გაცილებით აგრესიული იქნებოდა. ცნობისათვის: შარშანდელი ჩემპიონობა „იუნაიტედისთვის" მეთვრამეტე იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მანჩესტერელები „ლივერპულს" გაუტოლდნენ და თუ ამ ზაფხულს ბენიტესი ვინმე რუნისმაგვარს არ იყიდის, ტორესი შიშობს, რომ გაისად ამ დროს საუკეთესო შედეგით უკვე ფერგიუსონის გუნდი მოიწონებს თავს. ესპანეთის ნაკრების 25 წლის თავდამსხმელი ამბობს:

*„ჩვენ რუნისა და ტევესის ტიპის ფეხბურთელი გვაკლია. ვგულისხმობ მოთამაშეს, რომელიც წინა ხაზიდან ნახევარდაცვამდე ჩავა, ბურთს წამოიღებს და გზად მეტოქის მცველებს თავგზას აუბნევს. გასულ სეზონში ჩემპიონები იმიტომ ვერ გავხდით, რომ ცხრილის შუაში მოტრიალე გუნდებს ვერ ვუგებდით. კიდევ, „ლივერპულს" დავიდ სილვას ან ანდრეს ინიესტას ტიპის ფეხბურთელი სჭირდება, რომელიც მოედნის სიღრმიდან მოულოდნელ სვლას გააკეთებს და სივრცეს გახსნის. მათი ოსტატობის წყალობით მეტოქის გუნდი გაიშლებოდა, რითაც თავდამსხმელები ვისარგებლებდით. რუნი და ტევესი, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით, ის მოთამაშეები არიან, რომლებიც მოწინააღმდეგე გუნდის ნახევარმცველებს მათთვის ძალიან მოუხერხებელ ადგილზე იმწყვდევენ. როგორც „მანჩესტერ იუნაიტედთან", ასევე „ლივერპულთან" სტუმრად ჩასული გუნდები ყველა ღონეს ხმარობენ, კარსა და ბურთს შორის უამრავი ფეხბურთელი რომ ალმართონ. ასეთ დროს შეიძლება უძვირფასესი ქულები დაიკარგოს, ამის საწინააღმდეგოდ კი საჭიროა ფეხბურთელი, რომელიც მეტოქის ბოქლომს გასაღებს უპოვის. „იუნაიტედს" და „ჩელსის" სწორედ ჩაკეტილი მოწინააღმდეგის წინ გამოტყუება ეხერხებათ, თორემ დანარჩენი პრემიერლიგის ყველა გუნდს ერთი და იგივე აქვს - უკანა ოთხი კაცი ყველგან დისციპლინირებული და მომზადებულია".*

შემდეგ, ტორესმა თავისი პირველი მენტორი **ლუის არაგონესი** გაიხსენა და ბენიტესს შეადარა:

*„რაფამდე ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა ლუის არაგონესმა მოახდინა. ეს მადრიდის „ატლეტიკოში" იყო. ლუისი ნამდვილი ფსიქოლოგია. ის მთელ სულსა და გულს ჩადებს, რათა დაგმუხტოს და მოედანზე დასაცლელად გაგიშვას, რაფას კი მეტად პროფესიული მიდგომა აქვს. ის ყველა საფეხბურთო დეტალს გიხსნის. ის ცდილობს, გაგახსენოს შენ მიერ მოედანზე გატარებული ყოველი წამი და აგიხსნას, როგორ უნდა ითამაშო კიდევ უფრო უკეთესად. რაფა არასდროს გეტყვის: „ასე იმიტომ უნდა გააკეთო, რომ მე გავალებ". მისი მიდგომა ასეთია: „გაიგე, რაც გითხარი? თუ ვერ გაიგე, მოდი, კიდევ აგიხსნი". მახსოვს, „ატლეტიკოდან" „ლივერპულში" რომ გადამიყვანეს, კამათობდნენ, ბევრი გოლის გატანა რომ არ მეხერხებოდა. რაფამ კი ზუსტად მითხრა: „მე აქ იმისთვის მოგიყვანე, რომ გოლები გაიტანო. მინდა, მეტოქის საჯარიმოსთან უფრო ახლოს იტრიალო, რადგან შენ გოლების გატანა იქიდან უფრო გეხერხება. ფლანგები გარემარბებს დაუტოვე, შენი საქმე ცენტრალური მცველების შეწუხება უნდა გახდეს". და მართლაც, რაც „ლივერპულის" ფეხბურთელი გავხდი, ჩემი თამაშის სტილი შეიცვალა. და მე ასე უფრო მომწონს. კიდევ, ინგლისში ის ფსიქოლოგიური ტვირთი ჩამომშორდა, რომელიც „ატლეტიკოში" ძლიერ მამძიმებდა. ერთი შეხედვით ბედნიერი მადრიდელი ბიჭი თავისი ქალაქის გუნდში კარგად თამაშობდა, არა? არავითარ შემთხვევაში. მადრიდი პასუხისმგებლობით მკლავდა. კინოში და მალაზიაში მე ვერ მივდიოდი, გუნდში კი მუდამ რაღაც განსაკუთრებულ მისიას ვგრძნობდი. სულ აღგზნებული ვიყავი. აქ, ლივერპულში ცხოვრება სხვანაირია. თამაშებს მეტწილად ვიგებთ და ქალაქშიც იარე, რამდენიც გინდა. ხალხისგან მხოლოდ პატივისცემას მიიღებ".*

**ილია ბაბუნაშვილი**


ფერნანდო ტორესი

საფარაუდო ტრანსფერი



# 48 საათი, შესაძლოა ნაკლებიც, და...

როგორც ჩანს, „ლივერპულს" თითქმის აღარ შერჩა შანსი, რომ ესპანელი ნახევარმცველი **ჩაბი ალონსო** შეინარჩუნოს. „ლივერპულ ექოს" ინფორმაციით, ალონსომ „ლივერპულის" ხელმძღვანელობას ოფიციალურად მოსთხოვა ტრანსფერზე დაყენება, რათა უახლოეს დღეებში (შესაძლოა, საათებში) მადრიდის „რეალში" გადავიდეს. მოგვიანებით ეს ინფორმაცია სარწმუნო წყაროებმა დაადასტურეს. ალონსოს წასვლის შესახებ დიდი ხანია საუბრობენ, ისევე როგორც „რეალის" უზომო ინტერესზე. მაგრამ გუშინდლამდე ალონსოს არ ულიარებია, რომ „ლივერპულთან" განშორება სურს. გუშინ დილით კი მან წერილობით მიმართა „ლივერპულის" ხელმძღვანელობას. „ლივერპულმა" ორი დღე ანუ 48 საათი მისცა ჩაბი ალონსოს და მადრიდის „რეალს" ტრანსფერის სისრულეში მოსაყვანად.

27 წლის ჩაბი ალონსო მერსისაიდული კლუბის შეუცვლელი ფეხბურთელი იყო 2004 წლიდან. მან „წითლების" რიგებში 210 მატჩში 19 გოლი გაიტანა. ბასკი **რაფა ბენიტესის** 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში **ხავიერ მასკერანოსთან** ერთად მნიშვნელოვან ხერხემალს ქმნიდა. მოკლედ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ლივერპულს" 2009-2010 წლების სეზონში ალონსოს გარეშე მოუწევს ფონს გასვლა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## მალაგას შენაძენები

„ლა როსალედაზე" ხვავრიელი დღე იყო - პრიმერა დივიზიონის „მალაგამ" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ორ ფეხბურთელთან გააფორმა კონტრაქტები, „აიაქსიდან" **ალბერტ ლუკე** და „ვილიარეალიდან" **ხორდი პაბლო** გადაიბირა. ლუკემ შარშანდელი სეზონი „მალაგაში" გაატარა, ოღონდ იჯარის წესით. მან ლიგაში 8 გოლი გაიტანა. ესპანურ კლუბს 31 წლის ლუკე ევროც კი არ დაუჯდა, რადგან მანამდე ლუკემ და ამსტერდამულმა კლუბმა ხელშეკრულება საერთო თანხმობით გააუქმეს და ლუკე თავისუფალი აგენტი გახდა. ალბერტ ლუკე მალაგაში დღეს ჩავა და კლუბი მის პრეზენტაციას მოაწყობს, შემდეგ კი ფორვარდი „მალაგას" საწვრთნელ შეკრებაზე შეუერთდება.

19 წლის ხორდი პაბლოს კონტრაქტის დეტალები და თანხა არ ხმაურდება, მას „მალაგაში" სამედიცინო შემოწმება ორშაბათს გაუვლია. *„მოხარული ვარ კლუბში ჩარიცხვით და დიდი სურვილი მაქვს „მალაგას" ნდობა შესაბამისი თამაშით გადავუხადო"*, - განუცხადა ახალგაზრდა ნახევარმცველმა კლუბის ოფიციალურ ვებსაიტს. ხორდი პაბლო „ვილიარეალის" სკოლის აღზრდილია, კონტრაქტის მიხედვით ამ კლუბმა ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება შეინარჩუნა.

## მარსელს ჰაინცეზე შეუთანხმდნენ

მადრიდის „რეალი" ყიდულობს, თუმცა სამეფო კლუბი ზედმეტად მიჩნეულ ფეხბურთელებს იცილებს კიდეც, ასეთი კი 31 წლის არგენტინელი მცველი **გაბრიელ ჰაინცეა**. ჰაინცეს მომავალი გუშინ გაირკვა - მადრიდის „რეალი" და „მარსელი" მის ტრანსფერზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ ფრანგთა ოფიციალური საიტი იუწყება, ტრანსფერის დეტალებს არც ერთი მხარე არ ახმაურებს. სხვათა შორის, „მარსელმა" ახლახან თავისუფალი აგენტი **ფერნანდო მორიენტესი** შეიძინა. „მოროს" ოფიციალურ წარდგენაზე „მარსელის" სპორტულმა დირექტორმა **ჟოზე ანიგომ** განაცხადა, რომ დაცვაში გამოცდილი ფეხბურთელის დამატება საჭირო იყო. უახლოეს ხანებში ჰაინცე „ველოდრომზე" გამოცხადდება და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. არგენტინელი **დიდიე დეშამის** მე-10 შენაძენი იქნება ამ ზაფხულში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ათი ყველაზე...


ემანუელ ადებაიორი


ეშლი კოული


პასკალ შიმბონდა


ლუიშ ფიგუ


ნიკოლას ანელკა

# მსუნაგები

**პრემიერლიგაში** არიან ფეხბურთელები და მწვრთნელები, რომლებიც ხალხს ეზიზღება. ზიზღის გარეშე ცხოვრება კი, დაგვეთანხმებით, მეტისმეტად ძნელია. არა, თქვენზე არ ვამბობთ, სხვებისთვის. თავის მხრივ, ეს ფეხბურთელები (და მწვრთნელებიც) ზუსტად ასრულებენ თავიანთ როლებს: გოლს რომ გაიტანენ მაისურზე გამოსახულ კლუბის ემბლემას კოცნიან, ფანებს სიყვარულში მოედნიდანვე უტყდებიან, მკერდზე მჯიღს იცემენ, ოღონდ... მანამდე, სანამ სხვა კლუბისგან უფრო სარფიან წინადადებას მიიღებენ. აი, მაგალითად, როდესაც „მანჩესტერ სიტიმ" დაუძახა, გარეთ ბერი არც დაფიქრებულა, ისე მიატოვა „ასტონ ვილა", რომელშიც 1997 წლიდან თამაშობდა და 365 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. დღეს იმაზე მსჯელობა, უნდა შეზიზღდეთ თუ არა ბირმინგემელებს ბერი, თქვენთვის მოგვინდია, ჩვენ კი „სანის" ვერსიით იმ ათ ადამიანს შემოგთავაზებთ, რომელთაც, სავარაუდოდ, ყველაზე მსუნაგების სახელი დაიგდეს.

## 10. პასკალ შიმბონდა

ამ ფრანგმა ბიჭმა ხალხს მსუნაგობის კლასიკური მაგალითი აჩვენა. „უიგანში" ოთხწლიანი კონტრაქტისთვის ხელი სულ ოთხი თვის მოწერილი ჰქონდა, როდესაც განთავისუფლება ითხოვა. კლუბი ამ თავხედობაზე გაბრაზდა და სარეზერვო გუნდში „ამოლპობით" დაემუქრა, მაგრამ **შიმბონდასნაირ** კაცს რა გინდა უქნა. ერთი სეზონის შემდეგ მან მაინც გაახერხა 4,5-მილიონფუნტიანი ტრანსფერი „ტოტენჰემში", საიდანაც კიდევ ორ სეზონში „სანდერლენდში" გაიქცა და ინტერვიუში თქვა, დღევანდელი დღე დაიმახსოვრეთ, ხუთ წელიწადში ჩემპიონები ვიქნებითო. ამის შემოწმება, სამწუხაროდ შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან სეზონნახევარში ანუ გასულ ინავარს შიმბონდა ისევ „ტოტენჰემს" დაუბრუნდა და ახლა იქ, ლონდონში, ვინ იცის, რაზე ფიქრობს.

## 9. უინსტონ ბოგარდი

ალბათ რეკორდია, არა? **უინსტონმა** „ჩელსის" ოთხ წელიწადში 8,3 მილიონი ფუნტი გადაახდევინა და სულ ოთხ შეხვედრაში ითამაშა. ხელფასზეა ლაპარაკი, ფულზე, რომელიც ჰოლანდიელმა სახლში წაიღო. რად უნდა ლაპარაკი, კვირაში 40 ათასი ფუნტი ძალიან კარგი ჯამაგირია და როდესაც ასეთ სამსახურს იშოვი, უნდა გაუფრთხილდე - მაშინაც კი, როდესაც კლუბს შენი თავიდან მოშორება უნდა, მაგრამ ვერ გყიდის (იმიტომ, რომ არავინ გყიდულობს). შენ პატიოსნად უნდა იარო ბაზაზე და თუ დიდ გუნდთან ერთად არ გავარჯიშებენ, ყმაწვილებთან მაინც ხომ შეგიშვებს იმათი მწვრთნელი.

## 8. სოლ კემპბელი

კლასიკური „იუდაა"! ახლავე აგიხსნით რატომ: როდესაც კაცი „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ფეხბურთელი ხარ და ამ ლონდონურ კლუბში 1992 წლიდან თამაშობ, 2001-ში „არსენალში" არ უნდა წახვიდე. მათთვის, ვინც არ იცის: „არსენალი" და „ტოტენჰემი" ჩრდილოეთ ლონდონის მოქიშპე გუნდებია, რომელთა შორის ჯიბრს საუკუნოვანი ისტორია აქვს. მოკლედ, არის რაღაც-რაღაცები რაც არ შეიძლება, მათ შორის „ტოტენჰემიდან" „არსენალში" გადასვლა და პირიქით. თან, თავისუფალი აგენტის სტატუსით... **სლაზერ ჯერემიამ** კი (სოლის სრული სახელი გახლავთ) ეს არად ჩააგდო და „სფურზიდან" „არსენალში" გადავიდა, სადაც გარდა იმისა, რომ კარგ ხელფასს გამოკრა ხელი, ინგლისის ჩემპიონიც გახდა და ფეხბურთის ასოციაციის თასიც მოიგო - საზიზღარ „არსენალს" მოაგებინა. ამას „ტოტენჰემის" ფანები, ცხადია, არასდროს აპატიებენ.

## 7. ნიკოლა ანელკა

ამ ფრანგ კაცზე მთლად დარწმუნებით ვერ იტყვი, მსუნაგია თუ აუტანელიო. შესაძლოა, ორივე „სიკეთესთან" ერთდროულად გვქონდეს საქმე. ოდესღაც, „არსენალში" რომ თამაშობდა, ფანებმა „ბუზღუნა" შეარქვეს. საერთოდ, **ნიკოლა** ყოველთვის ეძებდა უკეთეს ხელფასს და ჯამში რომ დათვალო, მის კლუბებს, - „არსენალს", „რეალს", „პარი სენ ჟერმენს", „ლივერპულს", „მანჩესტერ სიტის", „ფენერბაჰჩეს", „ბოლტონსა" და „ჩელსის" სადღაც 90 მილიონ ფუნტამდე აქვთ მასში გადახდილი. „სანი" ხუმრობს, უკვე დროა ანელკა „ჩელსიდან" გაიქცეს, თორემ ემანდ ვინმე იფიქრებს, ეს ბიჭი დაბერებულა და ფულზე კი არა, კლუბზე დარდობსო.

## 6. პიერ ვან ჰოიდონკი

ჰოლანდიელმა, რომლის გვარიც სწორად ვერც ერთ ქვეყანაში ვერ წარმოთქვეს - სრულად გახლავთ **პეტრუს ფერდინანდუს იოჰანეს ვან ჰოიდონკი** - ერთხელ ლეგენდარული ფრაზა თქვა: *„კვირაში 7 ათასი? ეს შემოსავალი მათხოვრისთვის შესაძლოა კარგია, მაგრამ ჩემთვის არაფრად ვარგა".*

ალბათ, მართალია „სანი" მარტო ამ ფრაზის გამო რომ უკრა თავი მსუნაგთა სიაში.

## 5. კარლოს ტევესი

2009 წლის 16 მაისს, „ოლდ ტრეფორდზე", „არსენალთან" შეხვედრის დროს, როდესაც **ტევესი** შეცვალეს, მოედნიდან გამავალმა არგენტინელმა „მანჩესტერ იუნაიტედის" ემბლემას აკოცა და ხალხს თვალზე ცრემლი მოადინა - ყველამ იცოდა, რომ **სერ ალექს ფერგიუსონი** მასთან კონტრაქტის გაფორმებისგან თავს იკავებდა.

2009 წლის 14 ივლისს, „ისტლენდზ სტედიუმზე", 25,5 მილიონ ფუნტად ნაყიდმა ტევესმა „მანჩესტერ სიტის" ემბლემას აკოცა და ხალხს უთხრა, „სიტიში" იმიტომ გადმოვედი, „ლივერპულში" რომ წავსულიყავი, „იუნაიტედის" ფანებს ეწყინებოდათო. „აი, მიზეზი, გულო ჩემო"...

## 4. სვენ გორან ერიქსონი

რა განსხვავებაა მწვრთნელსა და საფეხბურთო საქმეთა დირექტორს შორის? ნუ, თუ მეორე ლიგაში ჩახვალ და **სვენივით** „ნოთს ქაუნთის" დირექტორი გახდები, წელიწადში 2 მილიონი ფუნტი. დღეში 5 480 ფუნტი გამოდის... თუმცა სვენს უკეთესებიც მოუხერხებია: ინგლისის ნაკრებს რომ წვრთნიდა, წელიწადში 5 მილიონი ჰქონდა. მერე კი, ყველგან ერთი და იგივე მეორდება, ერიკსონს თანამდებობიდან უშვებენ და კომპენსაციას უნაზღაურებენ და ეს სულ მილიონებია. მერე, ამას მის ცნობილ ქალებსაც თუ დაამატებთ...

## 3. ლუიშ ფიგუ

თითქოს, ამ გაგანია პრემიერლიგელებში რა უნდაო, მაგრამ მსუნაგებზე ილაპარაკო და **ფიგუ** დაგავიწყდეს? არა, გამორიცხულია. თუ გინდა კაცი „იუდა" არ გახდე, როდესაც „ბარსელონაში" თამაშობ, „რეალში" არ უნდა წახვიდე. ეს მარტივი წესი ფიგუმაც კარგად იცოდა, მაგრამ ასე ერჩივნა და... ჰოდა, მერე ნუ გაგიკვირდება, „კამპ ნოუზე" სათამაშოდ ჩასულს ტრიბუნიდან გოჭის თავს რომ გესვრიან. შემწვარს, რა თქმა უნდა.

## 2. ეშლი კოული

„არსენალიდან" „ჩელსიში" გადასვლით „მეთოფეთა" ფანებს სამუდამოდ ატკინა გული. თან, „ჩელსისთან" მოლაპარაკებები „არსენალის" შეფების ზურგს უკან გააბა - ამისთვის 100 ათასი ფუნტით დააჯარიმეს კიდეც, თუმცა, შემდეგ ჯარიმა 75 ათასამდე შეუმცირეს. „არსენალში" ყოფნის დროს ერთიხანობა ჩხუბობდა, ხელფასი კვირაში 55 ათასი რატომ მაქვს, ჩემნაირ კაცს 60 ათასი ერგებაო... მოკლედ, დღეს „ჩელსიშია" მეტსახელად კი **ეშლის** მაგივრად ქეშლი შეერქვა. ქეში ხომ იცით, რაც არის: ნაღდი ფულია.

## 1. ემანუელ ადებაიორი

„არსენალიდან" „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა და ეს ლონდონელ ფანებს დააბრალა, მავიწროებდნენო. რაც მთავარია, საოცარი ფრაზაც მოაყოლა, რა მექნა, როგორ დავრჩენილიყავი, „მილანი", „ბარსელონა" და „რეალი" არ მაძლევდნენ გასაქანსო.

კი მარგამ „სიტიში" რაღა უნდოდა?...

**ილია ბაბუნაშვილი**


სოლ კემპბელი


სვენ გორან ერიქსონი


კარლოს ტევესი


პიერ ვან ჰოიდონკი


უინსტონ ბოგარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# ამას ფეხბურთი არ ჰქვია, მილანი დგას!

## ლეონარდომ ტრანსფერები მოითხოვა

„მილანმა“ ამერიკული ტურნე მოილია და ევროპაში დაბრუნდა. შტატებში „როსონერიმ“ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გამართა და ვერც ერთი ვერ მოიგო. „გალაქსისთან“ ნათამაშებ ფრეს, სამი მარცხი მოჰყვა: „ამერიკასთან“, „ჩელსისთან“ და „ინტერთან“. შეიძლება აგებდე, მაგრამ ფეხბურთს თამაშობდე, მით უფრო, ამხანაგურ პაექრობაში შედეგი მეორეხარისხოვანია. მაგრამ, ის რასაც მოედანზე „მილანი“ აჩვენებს, ფეხბურთი არ ჰქვია. **ლეონარდოს** შეგირდები მწვანე მინდორზე დგანან - დგომით კი თამაშს ნამდვილად ვერ მოიგებ. ასეთი უსახური ასპარეზობის გამო, „მილანს“ უკვე ბევრი აკრიტიკებს, პროგნოზებიც პესიმისტურია - ჟურნალისტთა და ექსპერტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მომავალ სეზონში „მილანი“ წარუმატებლობისთვის არის განწირული და უკეთეს შემთხვევაში, სერია A-ში ოთხეულში მოსახვედრად იბრძოლოს.

პესიმიზმი ოთხშაბათს „აუდის თასზე“ გამართულმა ნახევარფინალურმა პაექრობამაც გააძლიერა. მიუნხენში მიმდინარე ტურნირის ეგიდით, „როსონერი“ **ლუის ვან გაალის** „ბაიერნს“ დაუპირისპირდა და 4:1-ზე განადგურდა. ერთი შეცდომა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და ლეონარდოს შეგვიძლია გავუგოთ. თუ ალესანდრო ფორმაში ჩადგა, „მილანის“ არცთუ ისე საიმედო დაცვითი ხაზისთვის ეს დიდი შეღავათი იქნება. შეიძლება სასაცილოდაც ჟღერდეს, მაგრამ ამხანაგურ შეხვედრებში ყველაზე უკეთ უკანახაზელთაგან **ჯუზეპე ფავალი** გამოიყურება. ფლანგზე საკმაოდ საიმედოდ დგას და შეტევებშიც ხშირად ერთვება. საგულისხმოა, რომ „ბაიერნის“ კარში გოლი გაიტანა, თუმცა მატჩის არბიტრმა მასზე თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. გაუქმებული გოლი არა სტანდარტულ სიტუაციას, არამედ ჩვეულებრივ, პოზიციურ შეტევას მოჰყვა. მოკლედ, როგორც მიხვდით, ფავალი „ბაიერნთანაც“ სასტარტო შემადგენლობაში იყო. მარჯვენა ფლანგზე პირველ ნახევარში **ჯანლუკა ძამბროტა** ირჯებოდა, ხოლო მეორეში **მასიმო ოდო**.

ნახევარდაცვა ოთხკაციანი გახლდათ: ცენტრში **ანდრეა პირლო** და **მატიო ფლამინი** მოქმედებდნენ, მარჯვნივ **ინიაციო აბატე**, მარცხნივ კი **მარეკ იანკულოვსკი**. თამაში ისე ჩამთავრდა, იანკულოვსკიმ ბურთი სულ ტუაციიდან გაისროლოს. „ბაიერნთან“, ხელსაყრელ პოზიციაზე ჯარიმა არ დაინიშნა და ისიც ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა. ოპტიმალური ფორმისგან შორს არის ალეშანდრე პატოც, ამ მოთამაშეზე „მილანში“ განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ და ასეთი ინერტული თამაში არ ეპატიება. ვერც შეცვლაზე შესულნი წარმოჩინდნენ და რა გასაკვირია, რომ „მილანმა“ ასეთი შედეგი მოიმკო. **ჯენარო გატუზო** ძალიან ზანტად მოქმედებდა, **კახა კალაძეს** კი მხოლოდ თხუთმეტი წუთით მოუწია თამაშმა და ამ დროში მცველს აბა, რა უნდა გაეკეთებინა.

თუ ასე გაგრძელდა, ლეონარდოს მიმართ კრიტიკა მოიმატებს და ძნელი სათქმელია, გაუძლებს თუ არა დამწყები სპეციალისტი ასეთ დაწოლას. „გაძეტა დელო სპორტმა“ უკვე დაწერა, რომ ლეონარდოს ამ პოსტზე დიდი დღე არ უწერია. ჟურნალისტი არ გამორიცხავს, რომ უკვე მეშვიდე-მერვე ტურისთვის ბრაზილიელს კარისკენ მიუთითონ. უფრო სწორად, ძველ ადგილას, სელექციონერის ადგილზე დააბრუნონ. ლეო კარგად აცნობიერებს არსებულ სიტუაციას და თავად გადადის შეტევაზე. აი, რა განაცხადა „ბაიერნ-


ლეონარდო უკვე შეშფოთებულია

ბოლო წლებში, ეს იყო ალბათ ყველაზე სუსტი თამაში, რომელიც ლომბარდიული გრანდისგან გვახსოვს. ლეონარდო ჯერჯერობით ამაოდ ცდილობს გუნდის ათამაშებას, პირიქით, „როსონერი“ რეგრესირებს და სულ უფრო და უფრო ცუდად გამოიყურება. ბრაზილიელმა სპეციალისტმა „ბაიერნის“ წინააღმდეგ 4-4-2 სქემა აირჩია - კარში ყველასთვის მოულოდნელად **მარკო სტორარი** ჩააყენა, ვინაც „მილანის“ რიგით მეოთხე მეკარედ ითვლება. ამჟამად, **კრისტიან აბიატი** და **ნელსონ დიდა** ტრავმირებულები არიან და შესაბამისად, გუნდს ვერ ეხმარებიან. **ჟელკო კალაჩმა** ამერიკაში ყველა ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და როგორც ჩანს, ლეონარდომ სტორარისაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება. ალბათ, მეკარე ყველაზე ნაკლებად იყო დამნაშავე იმაში, რომ „მილანი“ ასე მწარედ დამარცხდა. მას, რაც შეეძლო გააკეთა და თავს ზემოთ ნამდვილად ვერ ახტებოდა. დაცვის ცენტრში **ალესანდრო ნესტას** **ტიაგო სილვა** შეუწყვილდა. სილვაზე „მილანში“ დიდ იმედებს ამყარებენ, თუმცა ბრწყინავსო, ჯერჯერობით, ნამდვილად ვერ ვიტყვით. გასაგებია, რომ მას ადაპტაცია სჭირდება და ჯერ მხოლოდ მოსამზადებელი ციკლია, მაგრამ ტექნიკური წუნი მაინც თვალში საცემია. იდეალური კონდიციისგან შორს არის ნესტაც, „ბაიერნთანაც“ დაუშვა არარამდენჯერმე მიიღო. ლეონარდო ექსპერიმენტებს მიმართავს და ცდილობს, რალაც სიახლე შეიტანოს გუნდის თამაშში. მარეკსაც ახალი ამპლუა შეურჩია, თუმცა ჩეხმა ვერ გაამართლა. არადა, **კარლო ანჩელოტის** დროს, იანკულოვსკიმ რამდენჯერმე ითამაშა შუა ხაზში და საკმაოდ კარგადაც წარმოჩინდა. ინერტული იყო ანდრეა პირლო, ნელა გადაადგილდებოდა მოედანზე და არც მეტოქის იერიშების ჩასაშლელად იკლავდა თავს. ფლამინიმ ბევრი ირბინა, თუმცა გულშემატკივარს მხოლოდ უხეშობით დაამახსოვრა თავი. და როგორც იქნა, მივადექით ფეხბურთელს, რომელიც შეგვიძლია დადებითი კუთხით გამოვარჩიოთ. ახალგაზრდა აბატე ძალიან მონდომებული გახლდათ და მთლიანობაში ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ერთადერთი ნათელი წერტილი იყო მთელ გუნდში. აშკარაა, რომ მომავალში დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია.

თავდასხმაზეც ვთქვათ. ლეონარდომ აქაც წაიექსპერიმენტა და **ალეშანდრე პატოს რონალდინიო** შეუწყვილა. შედეგი - ნული. გაუჩომ საშინლად ჩაატარა პირველი ტაიმი და შესვენებისას **მარკო ბორიელოთი** შეიცვალა. რონისგან მხოლოდ საფირმო ლიმილია დარჩენილი, სხვა რა უნდა ვთქვათ - მეტწილად დასეირნობს მწვანე გაზონზე და მაქსიმუმ, სტანდარტული სითან“ გამართული შეხვედრის შემდეგ უხასიათოდ მყოფმა ბრაზილიელმა:

*„ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ გუნდი გაძლიერებას საჭიროებს. რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში გუნდს ვერ ეხმარებიან. მათ ტრავმები აწუხებთ და პერმანენტულად მკურნალობენ. მაგალითად: ჯენარო გატუზო, ალესანდრო ნესტა, კახა კალაძე, ფილიპო ინძაგი - მათ შემცვლელები, ალტერნატივა სჭირდებათ. მინიმუმ ორი-სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი უნდა გადმოვიბიროთ, რომ თავი თავი მშვიდად ვიგრძნოთ. თავადაც ხედავთ, რომ გუნდი არაა ფორმაში. თუ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჩემი მოთხოვნა არ შესრულდება, ანუ, არ დავიმატებთ ახალ ფეხბურთელებს, მომავალი სეზონისთვის მიზნების გადახედვა მოგვიწევს“.*

ერთი სიტყვით, „მილანში“ საკმაოდ რთული სიტუაციაა. ჯერ სეზონი არ დაწყებულა და მთავარი მწვრთნელი უკვე უკმაყოფილო ტონით, პრესის მეშვეობით ელაპარაკება კლუბის მესვეურებს. შედეგებიდან და თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, არც **სილვიო ბერლუსკონი** და **ადრიანო გალიანი** უნდა იყვნენ ლეონარდოთი აღფრთოვანებულნი. ვნახოთ, სადამდე მივა ეს ყველაფერი.

**ლაშა ნიკლაური**

სატრანსფერო ამბები



პატრიკ ვიეირა და არსენ ვენგერი: ისევ ერთად?

# ორმოცდაათში მეხუთე ბრუნდება?

კიდევ ერთი ხმა გამოვიდა „არსენალის“ ბანაკიდან - „მეთოფეთა“ მწვრთნელ **არსენ ვენგერს** 33 წლის **პატრიკ ვიეირას** დაბრუნება სდომებია. შეგახსენებთ: სანამ ლონდონელები ფრანგ ვეტერანს, 2005 წელს „იუვენტუსში“ 13.7 მილიონ ფუნტად გაყიდდნენ, ნახევარმცველი მათ ცხრა წელიწადი ემსახურა. ამბობენ, რომ დღეს, ვიეირაში, ვენგერს, მილანის „ინტერისთვის“ იმდენივე შეუთავაზებია, რამდენსაც „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცი, **ჰარი რედნაპი** სთავაზობს. ინგლისის დედაქალაქის ორივე გუნდს ფრანგი ერთი წლით სჭირდება და დიდ პრემიებს ჰპირდებიან.

„ლელოს“ მკითხველმა ისიც კარგად იცის, რომ ვიეირას თავდაპირველად „სფურზმა“ მიმართა, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ „სფურზი“ და „არსენალი“ ძაღლი და კატასავით არიან და ვიეირა, როგორც წარსულის დიდი არსენალელი, ამ ორ კლუბს შორის არჩევანს იოლად გააკეთებს.

წარსულის დიდი არსენალელი ვახსენეთ: ბევრი სხვა კლუბის დარად თავისი ისტორიის საუკეთესო მოთამაშეების გამოკითხვა „მეთოფეებმაც“ მოაწყვეს და ფრანგი ნახევარმცველი 50 კაცში მეხუთე ადგილზე გავიდა. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი შედეგია. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიეირას შეძენის სურვილი პრემიერლიგის კიდევ ორმა კლუბმა, „ფულემმა“ და „ბირმინგემმაც“ გამოთქვეს, თუმცა, რად უნდა ლაპარაკი, რომ უპირატესობა „არსენალისაა“.

„სან სიროზე“, „ინგლისურად“ რომ ვთქვათ, ვიეირას კვირაში 80 ათას ფუნტს უხდიდნენ, თუმცა მომავალში ამდენს რომ აღარავინ გადაუხდის, ფაქტია. ერთი სიტყვით, ფრანგს წასვლა აწყობს, „არსენალს“ კი მისი მიღება.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც გუშინ ინგლისური გაზეთები ყურადღებას ამახვილებდნენ: „მეთოფეებმა“ პრემიერლიგაში ყურები ფაქტობრივად მას მერე ჩამოყარეს, რაც ვიეირამ გუნდი დატოვა. ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაღდია, ვიეირას წასვლის შემდეგ მოედნის შუაში დარჩენილი სიცარიელე არ შევსებულა. წერენ იმასაც, რომ ამაში ვენგერი თავს არ უტყდება, ფანები კი ყველაფერს მშვენივრად ხედავენ და თავის სახელს არქმევენ კიდეც.

ვიეირობას დიდი მონდომებით ცდილობდა **ჟილბერტო**, რომელიც ერთი წლის წინ „პანათინაიკოსში“ წავიდა. ამ ბრაზილიელს მონდომება კაცმა, აბა, როგორ უნდა დაუკარგო, მაგრამ ფრანგამდე ძალიან ბევრი რომ აკლდა, უეჭველია. ვიეირას თანამემამულე **მეტიუ ფლამინიც** ვერ იყო ის, რადაც თავს ასაღებდა. მართალია, ვენგერს მისი დატოვება უნდოდა, მაგრამ თავად დაადო თავი და „მილანში“ გადაბარგდა. ყველაზე მეტად **ლასანა დიარა** უახლოვდებოდა დიდ არსენალელს, მაგრამ ჯერ „პორტსმუთში“ გაქანდა, იქიდან კი 20 მილიონ ფუნტად „რეალში“ გაიყიდა.

ერთი სიტყვით, საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ვიეირობა მაინც ვერავინ გასწია. ახლა ჯერი თავად ვიეირაზეა, მაგრამ... როგორ ფიქრობთ, შეძლებს ამ საქმეს?

**ილია ბაბუნაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

მანიშე

# რუსების მენტალიტეტს ვერაფერი გავუგე

## მანიშეს ბრილიანტები და 620-ცხენისძალიანი ლამბორგინი

ბუნდესლიგურ „კიოლნში“ გადასული პორტუგალიელი ნახევარმცველი მანიშე ექსტრავაგანტული, არაპროგნოზირებადი ტიპია. თავად განსაჯეთ: ის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია და მაღალი კლასის საყრდენი ნახევარმცველიც გახლავთ, მას, როგორც ფეხბურთელს, ყველა აფასებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, 4 წელიწადში 6 კლუბი გამოიცვალა. 31 წლის პორტუგალიელი ახლაც უკლუბოდ იყო - მას მერე, რაც მადრიდის „ატლეტიკოდან“ დაიფრინეს (უდისციპლინობის გამო) და ბოლოს „კიოლნმა“ შეიფარა, საშუალოზე დაბალი დონის, მაგრამ დიდი ამბიციების მქონე გერმანულმა კლუბმა. მანიშეს ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი და საკონტინენტთაშორისო თასი აქვს მოგებული. ატარებს ბრილიანტის საყურეებს, საათს და უძვირფასეს ავტომობილებს. აქვს უამრავი სვირინგი. მანიშემ „ბილდს“ საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ მისცა.

**- მას მერე, რაც გერმანიაში ჩამოხვედით, ადგილობრივი ფანები გაკვირვებულები არიან და ვერ პოულობენ პასუხს კითხვაზე: რატომ გადავიდა მანიშეს დარი ვარსკვლავი ისეთ კლუბში, როგორიც „კიოლნია“?**

- რამდენიმე წინადადება მქონდა. მეპატიჟებოდნენ როგორც ესპანური, ისე ფრანგული და თურქული კლუბები და სხვათა შორის, საკმაოდ მაღალ ხელფასსაც მთავაზობდნენ, მაგრამ ჩემთვის ფული ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის. მინდა, რომ ფეხბურთის თამაშით ისევ სიამოვნება მივიღო და ბედნიერი ვიყო. მჯერა, რომ „კიოლნში“ ბედნიერი ვიქნები.

**- ანუ, თვითონვე აღიარებთ, რომ ბოლოს ფეხბურთის თამაშით სიამოვნებას ველარ იღებდით. რატომ?**

- ბოლოს მადრიდის „ატლეტიკოში“ ვთამაშობდი და ამ კითხვაზე პასუხს სწორედ მადრიდულ კლუბში გატარებული პერიოდის მიხედვით გაგცემთ. „ატლეტიკოშიც“ იყო მომენტები, როცა თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი და მიმაჩნდა, რომ მადრიდი ჩემი სახლი იყო. ბოლოს კი ისე მოხდა, რომ ველარ შევთანხმდით. „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებდა და ახალი ხელშეკრულების გაფორმება შემომთავაზეს, რაზეც უარი ვთქვი. ეს კი ძალიან არ მოეწონათ და გადაწყვიტეს, ჩემთვის კონტრაქტი მაშინვე გაეწყვიტათ. ასე დავშორდით ერთმანეთს.

**- სამი თვის განმავლობაში სრულყოფილად არ გივარჯიშიათ. რამდენი ხანი დაგჭირდებათ იმისათვის, რომ საუკეთესო ფორმაში იყოთ?**

- ჰო, მას მერე, რაც უკანასკნელად ვითამაშე, დიდი დრო გავიდა. თუმცა ახლაც ძალიან კარგ ფორმაში ვარ. ჩემი მიზანია, რომ ბუნდესლიგის პირველივე ტურში ვითამაშო - დორტმუნდის „ბორუსიასთან“ აუცილებლად სასტარტო შემადგენლობაში უნდა ვიყო.

**- აშკარად გეტყობათ, რომ წონა მომატებული გაქვთ...**

- ახლა უკვე აღარ. როცა კიოლნში ჩამოვედი, სასურველზე 3 კილოგრამით მეტს ვიწონიდი. უკვე ცოტა დავიკელი და კიდევ დავიკლებ. ერთი კვირაა, რაც სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და ბუნდესლიგის სტარტამდე ზედმეტ კილოგრამებს აუცილებლად მოვიშორებ. ვფიქრობ, საგანგაშო არაფერია იმაში, რომ სეზონის დაწყებამდე ორიოდ კვირით ადრე 2-3 კილოგრამით მეტს ვიწონი. ისე, ათი წელია, ინტერნეტში წერია, მანიშე 69 კილოგრამს იწონისო. ეს შეცდომაა...

**- რამდენია თქვენი იდეალური წონა?**

- ჩემთვის ნორმალური წონა 73 კილოგრამია.

**- უკვე შევამჩნიეთ, რომ სხეულზე თმა საერთოდ არ გაქვთ...**

- (იცინის) ჰო, წონაში ხომ უნდა დამეკლო? ხუმრობა იქით იყოს და ამას ესთეტიკის გამო ვაკეთებ. მიმაჩნია, რომ უთმო სხეული ბევრად ჰიგიენურია. თანაც, ჩემს მეუღლესაც ასე მოსწონს, თმიან ტიპებს ვერ იტანს. სპეციალური კრემი მაქვს, წავისვამ, შხაპს მივილებ და მორჩა... ამ პროცედურას კვირაში ერთხელ ვიტარებ.

**- თქვენ ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნებით, რომლებიც ცხოვრების ულამაზეს დეტალებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ?**

- იცით, მე ლისაბონის ისეთ უბანში გავიზარდე, სადაც ღარიბები ცხოვრობდნენ და საკმაოდ მძიმე ბავშვობა მქონდა. ჩემი მშობლები დღე და ღამე მუშაობდნენ იმისათვის, რომ ჩემთვის და ჩემი ძმისთვის მინიმალური საცხოვრებელი პირობები შეექმნათ. შობას ნაძვის ხეს თუ დავდგამდით და მე და ჩემს ძმას მის ქვეშ თუნდაც მცირედი საჩუქრები დაგვხვდებოდა, ეს უკვე დიდი ბედნიერება იყო. ყოველ წელს ნაძვის ხე ნამდვილად არ გვქონდა. შესაბამისად, ბედნიერ და უზრუნველ ცხოვრებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და ჩამოყალიბებული მაქვს ცხოვრების პრინციპები, რომელსაც არასდროს დავარღვევ.

**- მაგალითად, ბრილიანტის საყური, ბეჭედი და საათი?**

- ჰო, თუნდაც. მიყვარს სამკაულები, რადგან ძვირფასეულობა ნაღდი და ორიგინალურია.

**- კრისტიანო რონალდოც ასეთ საყურეებს ატარებს...**

- სანამ კრისტიანო საყურეს გაიკეთებდა, მე უკვე კოლექცია მქონდა. მიყვარს ასეთი რაღაცები და რა ვქნა, სამკაულებში თავს კარგად ვგრძნობ.

**- და უძვირფასესი, სწრაფი ავტომობილებიც გიყვართ...**

- დიახ, დიახ. „ლამბორგინი“ მყავს, რომელსაც 580 ცხენის ძალა აქვს. მანქანას ერთი ჯადოსნური ღილაკი აქვს, დააჭერ და უცებ 620 ცხენის ძალა გაუჩნდება. მოკლედ, სწრაფი მანქანები მართლა ძალიან მიყვარს. „ლამბორგინის“ გარდა, მყავს „პორშე კაიენი“ და „მინი კუპერი“. ახლახან „ბენთლიც“ შევუკვეთე და ერთი სული მაქვს, როდის მივიღებ. თანაც ყველა მანქანა შავია, ზუსტად ისე, როგორც ჩემი ტანსაცმელი. მიყვარს შავი ფერი.

**- როგორც ვხედავთ, ძალიან არხეინი, უდარდელი ადამიანი ხართ. ფაქტია, რომ ასეთ ფეხბურთელს მკაცრი ხელი სჭირდება...**

- ჰო, შეიძლება ასეც ითქვას. თუმცა მე უკვე მომინია ისეთი მწვრთნელების ხელმძღვანელობით თამაშმა, როგორებიც არიან იუპ ჰაინკესი, ლუიშ ფელიპე სკოლარი და ჟოზე მოურინიო. ისინი ხომ მსოფლიოში ყველაზე მკაცრი სპეციალისტები არიან...

**- ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ექვსი (!) გუნდი გამოიცვალეთ...**

- (დაფიქრდა) მართლა? არ დამითვლია!

**- დიახ, მართლა...**

- ყველაზე მთავარი ის არის, რომ ფეხბურთელი გუნდში თავს კარგად გრძნობდეს. როცა ეს ასე არ არის, უნდა წახვიდე.

**- არ გეჩვენებათ, რომ ზედმეტად სწრაფად იცვლით გუნდებს?**

- არა, ასე არ ვფიქრობ.

**- ყველაზე ცუდად თავი სად იგრძენით, მოსკოვში?**

- მოსკოვში რომ გადავედი, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა პორტუგალია დავტოვე. რუსებმა ძალიან დიდი ფული შემომთავაზეს და ძალიან მაღალ ხელფასს მიხდიდნენ. ასეთ წინადადებაზე ვერც ერთი ჭკვიანი ადამიანი უარს ვერ იტყოდა. რუსეთის დედაქალაქში რომ ჩავედი, მეორე დღეს ჩემს მეუღლეს პირველი ბავშვი გაუჩნდა. დაიჯერებთ, მამა გავხდი და სამშობიაროში არ გამიშვეს! აი, მაშინ მივხვდი, რომ მოსკოვში გადასვლა დიდი შეცდომა იყო. რუსების მენტალიტეტს ვერაფერი გავუგე! ნამდვილად არ მეგონა, თუ რუსეთში ასეთი მძიმე, ჩემთვის მიუღებელი ატმოსფერო დამხვდებოდა. თავიდან გამოუცდელი ვიყავი და საერთოდ აზრზე ვერ მოვდიოდი, რა უნდოდათ ჩემგან. სხვათა შორის, რუსეთში მიღებული გამოცდილების ბრალია ისიც, რომ ახლა თურქეთზეც უარი ვთქვი - მიუხედავად იმისა, რომ თურქებმაც ძალიან მაღალი ხელფასი შემომთავაზეს. ასე რომ, ერთხელ დავუშვი შეცდომა - გადაწყვეტილება ფულის გამო მივიღე და ასეთ შეცდომას აღარასოდეს გავიმეორებ.

**- გერმანულ ფეხბურთზე რას ფიქრობთ?**

- გერმანელები დისციპლინებულ ფეხბურთს თამაშობთ.

**- თქვენი აზრით, გერმანიას მსოფლიო დონის ვარსკვლავი ჰყავს?**

- ჩემი აზრით, ლუკას პოდოლსკი მსოფლიო დონის ვარსკვლავია. მას ყველა იცნობს და ის ყველას უყვარს.

**- იმედი გაქვთ, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ითამაშებთ?**

- არა, პორტუგალიის ნაკრების თემა ჩემთვის უკვე დახურულია.

**- ზურგზე საკუთარი გვარი ამოისვირინგეთ. რატომ?**

- სხვათა შორის, მანიშე დანიური გვარია. ცხრა წლის რომ ვიყავი, ლისაბონის „ბენფიკაში“ ჩემთან ერთად ერთი დანიელი ფეხბურთელი თამაშობდა - მიქაელ მანიშე. მასაც ისეთივე გრძელი, ქერა თმა ჰქონდა, როგორც იმ დროს მე. მას მერე ყველა მანიშეს მეძახის. ის მანიშე კი ყველაზე მაგარი ფეხბურთელი ნამდვილად არ ყოფილა, უბრალოდ კარგი ტიპი იყო...

**გოტფრიდ ლენცი**



მანიშემ ოთხ წელიწადში 6 გუნდი გამოიცვალა

ტრანსფერი




# ტურეს ტური ლონდონიდან მანჩესტერში

**კოლო ტურე** „მანჩესტერ სიტიმ“ იყიდა. „არსენალმა“ 28 წლის ცენტრალური მცველი ისტლენდერებს 14 მილიონ ფუნტად დაუთმო. ამგვარად, მიმდინარე ზაფხულს „სიტის“ მწვრთნელმა, **მარკ ჰიუზმა** უკვე მეექვსე ფეხბურთელი შეიძინა. ტურემდე იყვნენ: **გარეთ ბერი**, მეკარე **სტიუარტ ტეილორი**, **როკე სანტა კრუზი**, **კარლოს ტევესი** და **ემანუელ ადებაიორი**. ჰიუზმა განაცხადა:

*„კოლო მრავალი წლის განმავლობაში არსენალელთა ძალიან ძლიერი გუნდის ერთ-ერთი საყრდენი ფიგურა გახლდათ. მე მის თამაშს დიდი ხანია ვაკვირდები და აღფრთოვანებას ვერ ვმალავ. ის გახლავთ ღონიერი, სწრაფი, აქვს თამაშის კითხვის ჩინებული უნარი და გასახდელში ავტორიტეტული სიტყვა ეთქმის“.*

უნდა ითქვას, რომ წინა სეზონში, უფრო ზუსტად კი აფრიკის ერთა თასის შემდეგ, ტურე თითქოს კალაპოტიდან ამოვარდა. **ბაკარი სანიას** ტრავმის გამო ის დაცვის მარჯვენა ფრთაზე გადაიყვანეს და პრემიერლიგის მხოლოდ 26 შეხვედრაში ათამაშეს. მაგრამ, ხსენებულ პერიოდს თუ არ ჩავთვლით, ტურე ბოლო შვიდი წლის განმავლობაში „არსენალის“ ერთ-ერთ ყველაზე საიმედო ცენტრალურ მცველადაა აღიარებული. და კიდევ, იმ შემადგენლობიდან, რომელმაც 2003-04 წლებში ინგლისის ჩემპიონობა მოიპოვა, კოლო ტურე აღმოჩნდა ბოლო, რომელმაც „არსენალი“ დატოვა.

რაკილა ტურე უკვე „ჯიბეში“ ჰყავდათ, ისტლენდერებმა იმავე დღეს „ევერტონისგან“ **ჯულიან ლესკოტის** ყიდვაც განიზრახეს. უფრო სწორად, ლესკოტის შესაძენად ჰიუზმა პირველი ნაბიჯი გასულ კვირაში გადადგა, როდესაც ლივერპულის გუნდს 15 მილიონი ფუნტი შესთავაზა, მაგრამ პასუხად უარი მიიღო და იძულებული გახდა ფასი 19 მილიონამდე აეწია.

და, შედეგად რა მიიღო ისტლენდერთა შეფმა? მორიგი უარი! „ევერტონის“ თავკაცი **დევიდ მოიესი** თავისი საუკეთესო მოთამაშეების გაყიდვას კატეგორიულად არ აპირებს.

ლივერპულელთა თავმჯდომარე **ბილ კენრაიტი**: *„მგონი, ის, რაც დევიდ მოიესმა ზაფხულის დასაწყისში თქვა, ყველას უნდა გაეგო. ჭორაობა არავის არანაირ შედეგს არ მოუტანს. ჩვენს კლუბში ფეხბურთელებს მხოლოდ და მხოლოდ მოიესი ირჩევს, ყიდულობს და ყიდის, მეტი არავინ. და რაკილა მან თქვა, რომ არავინ იყიდება, ესე იგი, არავინ იყიდება და მორჩა“.*

თუმცა, უარის მიუხედავად იმ დღეს „სიტის“ სასიხარულო მეტი ჰქონდა. ტურეს შეძენა ერთი იყო და საკუთარი საყმაწვილო აკადემიის აღზრდილმა, **ნედუმ ონუოჰამაც** ხუთწლიან კონტრაქტზე მოუწერა ხელი. ეს, ნიგერიული წარმოშობის ინგლისელი ფეხბურთელი, 22 წლისა გახლავთ. მასზე ამბობდნენ, ისტლენდიდან წასვლას აპირებსო, მაგრამ როგორც გაირკვა, დარჩენა და ვარსკვლავებით დახუნძლულ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლა ამოურჩევია. ახალგაზრდა მცველმა განაცხადა:

*„გასული სეზონის მიწურულს კარგად ვითამაშე. თავად დავრჩი კმაყოფილი, თუმცა არის მეორე მომენტიც - მომავალ სეზონში „მანჩესტერ სიტი“ უკვე სხვა გუნდი იქნება და მას სხვა მოთხოვნები ექნება. ამრიგად, მინდა ჩემი თამაში კიდევ უფრო დავხვეწო და ამისთვის მზად გახლავართ. ვიცი, ახალ სეზონს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაში გავატარებთ და ვინ გამოიცნობს სადამდე წავალთ. ალბათ დამეთანხმებით, ყველაფერი შესაძლებელია. აბა, გაიხსენეთ, სად იყო „სიტი“ ხუთი წლის წინ. წარმოიდგენდა ვინმე მის დღევანდელ ამბიციასა და მდგომარეობას“?*

**ილია ბაბუნაშვილი**

ჭიდაობა

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ანკარაში იმავე გუნდებით

გაირკვა საქართველოს მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრებების შემადგენლობები, რომლებმაც 4-9 აგვისტოს ანკარაში, იაშარ დოგუს სახელობის სპორტკომპლექსში თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატში უნდა იასპარეზონ. ამ გუნდებმა ივლისის დასაწყისში თბილისში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაშიც იასპარეზეს, მაგრამ მცირე ინტერვალის მიუხედავად, შემადგენლობებში საგრძნობი ცვლილებები არ მომხდარა. ბერძენ-რომაელთა თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** სულაც ერთადერთი ათლეტი შეცვალა და ისიც ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **მინდია წულუკიძე** (50). მის ნაცვლად ანკარაში ახალგაზრდებში საქართველოს მოქმედი ჩემპიონი **ზურაბ მაჭარაშვილი** იჭიდავებს, სხვა წონებში კი საქართველოს ღირსებას კვლავაც ნაევროპალი სპორტსმენები დაიცავენ: **ქემალ ხარაბაძე** (55), **არჩილ თურმანიძე** (60), **პაატა ბაკურიძე** (66), **გოგა აფრიამაშვილი** (74), **არსენ კახაბრიშვილი** (84), **ვლადიმერ ქარჩავა** (96) და **შოთა გოგისვანიძე** (120).

წულუკიძის შეცვლა დაგეგმილი სვლა იყო - ძალიან ბევრს იკლებს და ჩემპიონატს ფორმაში ვერ შეხვდებოდა. სხვათა შორის, მისი ჭიდაობა ევროპაზეც სათუო იყო, რადგან საქართველოს ახალგაზრდული პირველობის ფინალში მაჭარაშვილთან წააგო. სამაგიეროდ, მოსამზადებელი ციკლი მასზე უკეთ გაიარა და დიდი ბჭობის შემდეგ მწვრთნელებმაც ის დააყენეს. თუმცა ერთ თვეში ზედიზედ ორჯერ ამდენს რომ ვერ დაიკლებდა და მსოფლიოზეც მაჭარაშვილი იჭიდავებდა, ესეც იმთავითვე გაცხადდა. უბრალოდ, მაშინ კონკურენტზე უკეთეს ფორმაში იყო და ამიტომ ამჯობინეს.

სამაგიეროდ, გუნდშია თბილისური ევროპირველობის მეორე ტრიუმფატორი ქარჩავა, რომელმაც სპორტის სასახლეში მართლაც დიდებულად იჭიდავა. ანკარაში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი კახაბრიშვილიც გამოვა, რომელმაც წლევანდელ ევროპაზე მედალი (თუ მთლად ოქროსიც არა) ხელის ტრავმის გამო დაკარგა. მთლიანობაში, ადეიშვილის ხელში კვლავაც ძველი გუნდია, რომელთაგან ბევრმა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში შარშანაც იჭიდავა, თუმცა წარუმატებლად - ისევ თურქეთში, ოღონდ სტამბოლში გამართულ პირველობაზე ვერც ერთი მედალი ვერ მოიპოვეს.

მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედ ბერძენ-რომაელთა ტურნირით გაიხსნება - 4 აგვისტოს 50, 60, 74 და 96 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები იჭიდავებენ, ხოლო დანარჩენები ხალიჩაზე 5-ში გავლენ. ჩვენი ნაკრები ამჟამად ბათუმშია დასკვნით შეკრებაზე, ანკარისკენ კი 2 აგვისტოს ტრაპიზონის გავლით გაემგზავრება.

თბილისურ ევროპის ჩემპიონატთან შედარებით მხოლოდ ორი მოჭიდავე შეცვალა „თავისუფალთა" თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** და მათგანაც ერთი ევროპის ჩემპიონია - **გიორგი მაყიშვილი** (60), მეორე - **ელიზბარ ოდიკაძე** (96), რომელიც ევროპირველობაზე წარუმატებლად გამოვიდა. სხირელი ასეთი გუნდით მიდის ანკარაში: **ლაშა ლომთაძე** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მურთაზ კვესაძე** (60), **გოგა ხუჭუა** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **თორნიკე ხიდეშელი** (96), **გიორგი საკანდელიძე** (120).

როგორც ვხედავთ, ევროპის ზედიზედ ორგზის ჩემპიონი მაყიშვილი ჭაბუკებში ევროპის პრიზიორმა, ქუთაისელმა კვესაძემ შეცვალა, ოდიკაძე - ჭაბუკებში ევროპის შარშანწინდელმა ჩემპიონმა ხიდეშელმა. წინასწარი მონაცემებით, სხირელი ევროპის მოქმედ ჩემპიონ ხუჭუას და ვიცე-ჩემპიონ საკანდელიძის შეცვლასაც აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ ორივე დატოვა. ხუჭუაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ საკანდელიძის შემთხვევაში, ალბათ, ბაქოში, „ოქროს დიდ პრიზზე" მისმა კარგმა გამოსვლამაც იქონია გავლენა - იქ უფროსთა შორის პირველად იჭიდავა და ბრინჯაო მოიპოვა.

ვიმედოვნებთ, ვიცე-ჩემპიონები - მარსაგიშვილი და საკანდელიძე, ასევე, მესამე პრიზიორი ხუციშვილი ანკარაში სრულფასოვან რეაბილიტაციას შეძლებენ (თუმცა ურიგოდ არც ევროპაზე გამოსულან), მაგრამ სარევანშოდ ყველაზე დიდი მოტივაცია ხინჩეგაშვილს აქვს. იმის მიუხედავად, რომ აქამდე ერთდროულად ორ ნაკრებში გამოდიოდა, სეზონში, დიდი-დიდი, ორი შეხვედრა წააგო, წლეულს თბილისის სპორტის სასახლეში, საკუთარ მაყურებელთან დამარცხდა. მისი ამოცანა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში წარდგენილი წინასწარი მონაცემების გათვალისწინებითაც მარტივდება - ანკარაში, არც თბილისში მისი მომგები აზერბაიჯანელი **აზარ ფაშაევი** იჭიდავებს და არც ამ აზერბაიჯანელის დამმარცხებელი უკრაინელი **მიკოლა აივაზიანი** - მართლაც ჩინებული და წონაში გამორჩეული მოჭიდავე. თუმცა ეს მაინც წინასწარი მონაცემებია და შეიძლება, შეიცვალოს. სხვათა შორის, ასევე წინასწარი სიებით, რუსეთის ნაკრები ყველა წონაში ახალი მოჭიდავით უნდა ჩავიდეს. არადა, თბილისში, ევროპაზე ნაჭიდავებ შემადგენლობაზე რუსულ ინტერნეტსაიტებზე იქაური ქომაგებიც კი წერდნენ, რომ გვარიანად გადაზრდილები იყვნენ. თუმცა რუსები ანკარაში ახლაც „ბიძებს" ჩაიყვანენ და არა მარტო ისინი.

„თავისუფლები" მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვარიანში, **გიორგი კანდელაკის** კრივის დარბაზში ემზადებიან, ანკარაში კი ცოტა ადრიანად - 5 აგვისტოს გაემგზავრებიან. თავდაპირველი გეგმით, ცოტა გვიან უნდა წასულიყვნენ, მაგრამ გუნდმა ადგილზე კარგად დასვენება რომ მოასწროს, ასე გადაწყვიტეს. ისინი ჩემპიონატში 8 აგვისტოს ჩაებმებიან და პირველ დღეს კვალავაც 50, 60, 74 და 96 კილოგრამი წონების ფალავნები იჭიდავებენ.

მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე ამ ნაკრებმა ერთი ვერცხლი და სამი ბრინჯაო მოიპოვა, ვიცე-ჩემპიონი **ბექა ჭელიძე** (84) გახდა, ბრინჯაოები კი ხინჩეგაშვილს, დავით მარსაგიშვილის ძმას - **გიორგი მარსაგიშვილს** (74) და **ლევან ბერიანიძეს** (120) ერგოთ.

**ირაკლი თავაძე**



ვახტანგ ბალახაძის ფოტო

ნაკრების მძიმეწონოსნები ლევან ბერიანიძე და გიორგი საკანდელიძე ვარიანში საწვრთნელი შეხვედრისას

ჭიდაობა ჩვენი. ქართული...



# წითელი ქამარი

ნახერხმოყრილი მოედნის კიდესთან თმაქოჩორა და კუნთებდაბურცული ჭაბუკი რომ ტანზე მოკლემკლავიან ტილოს ჩოხას მოირგებს, წითელ ქამარს წელზე მარყუჟით შეიკრავს, ორივე ხელით ჩოხის კალთებს უკან გასწევს, რათა მკერდმოღერებული შეეგებოს მოპირდაპირეს, მეტოქენი რომ გაშლილ მარჯვენას ერთმანეთს მიარტყამენ და გვერდ-გვერდ ინაცვლებენ, ამ დროს ორი წყვილი ანთებული თვალი წამიერად შეხვდება ერთურთს გამჭოლი მზერით, სადაც ჩანს ერთგვარი რიდი და ურთიერთპატივისცემა...

თმაჭაღარა შუამავალი არბიტრი კი თავის გაცვეთილ სასტვენში მხნედ ჩაჰბერავს. ხელს ალმართავს, კოლეგიას, მუსიკოსებს და ქომაგებს ორთაბრძოლის დაწყებას ამცნობს. ეს არის ჩვენი ძირძველი და მარად ახალგაზრდა ქართული ჭიდაობის დაწყების რიტუალი.

მამა-პაპათა უძველესი წეს-ჩვეულება — ქართული ჭიდაობა ჩვენი სოფლის ერთგვარი სინდის-ნამუსი და ქრისტიანული ტრადიციაა. არც ერთი სპორტის სახეობა ისე ახლოს არ დგას ქართულ ეკლესიასთან, როგორც ქართული ჭიდაობა. ჩვენში მართლმადიდებლური დღესასწაული ისე არ ჩაივლის, საჭიდაო მუსიკის ჰანგები რომ არ აჟღერდეს ეკლესია-მონასტრების, წმიდა სალოცავების სიახლოვეს. ქართულ ჭიდაობას რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მადლი სცხია, ეს ალავერდის უმშვენიერესი ტაძრის კედელზე გამოსახული შუა საუკუნეების ფრესკიდანაც კარგად ჩანს...

არც ერთი სპორტული სარბიელი არ არის მაყურებელთან ისე ახლოს, როგორც ქართული ჭიდაობის. არც ერთ მსაჯობის წესებში ისე არ ერთვებიან ქომაგები, როგორც ქართული ჭიდაობაში...

„საჭიდაოს" ლოყებდაბერილი ხაშურელი, ყვარლელი თუ კასპელი მუსიკოს-დამკვრელები ერთ დღესასწაულზე თუ ჭიკაანში ან შაშიანში უჭყვიტინებენ ზურნას, შემდეგ ზეიმზე მეტეხში, ხოვლეში, თელეთში ან ლამისყანაში აფრქვევენ წამქეზებლურ ჰანგებს ისედაც გაგულისებული ჩოხოსანი მორკინალების საპაექროდ.

საამოდ თვალმისასვლელია ჩვენი ქართული ჭიდაობა, ოღონდ თუ ნალდია, წელგამართული, მკერდიმკერდ შებმული და ფიცხელი, როცა ჩაავლებენ მკლავებს ჩოხის სახელოში, იმ წამს ქრება ღელვა და იწყება ღონისა და გონის მოკრება. ფეხის ცერებით მეტოქის მოცელვის მცდელობა, მოგვერდის, კისრულის, შუასარმის, გარესარმის დემონსტრირება. ამ დროს მყისიერად იწყება მაყურებლის მღელვარება...

ჩახლართული ფანდების კორიანტელს ცივი გონებით ადევნებს თვალყურს არბიტრი და კოლეგია. ადვილი სულაც არ არის, განსაჯო ის, რაც ქომაგთა უმრავლესობამ ასე თუ ისე კარგად იცის.

ჩვენს სოფელ-ქვეყანაში ბევრს იზიდავს მშობლიური ქართული ჭიდაობა.

დიდი აღმოჩენა არ არის იმის თქმა, რომ ჩვენმა მოჭიდავე-ფალავნებმა ქართული ჭიდაობის ხერხებით დაიპყრეს მსოფლიოს კვარცხლბეკები!..

ყველაფერი კი იწყება სოფლის ვიწრო ორღობიდან, როცა დიდ-პატარა სოფლის გულისკენ — საჭიდაო მოედნისკენ მიიჩქარის საზიდრებით, ველოსიპედებით, სკამებით, ქოლგებით; გოგონები — ფავორიტი მოჭიდავის „თვალის შესავლებად", პაპა-ბაბუები — შვილიშვილების გასამხნევებლად, ნაცადი ფალავნები — ჯეელობის გასახსენებლად და უამრავი ყმაწვილკაცობა...

სხვანაირი ანდამატი აქვს ჩვენს ეროვნული ჭიდაობას. სანამ ბებერი მეზურნეები არ ჩაჰბერავენ თავიანთ ინსტრუმენტებს, ჩოხოსანი-მოჭიდავეები ერთმანეთს არ შეერკინებიან. ჩაჰბერავენ თუ არა, აძგერდება ძარღვი და სისხლი...

ძველისძველიდან ასე იყო ქართულ ჭიდაობაში — გამარჯვებული და დამარცხებული ერთმანეთს მხარი-მხარს მიადებდდნენ და ასე შორდებოდნენ.

წინათ შერკინების წინ და მერეც ცეკვავდნენ, დავლურს ჩამოუვლიდნენ ხოლმე.

ჩვენი ჭიდაობა რაინდულია, ფალავანს უფლება არა აქვს, წაჩოქებულს შეუტიოს. ის ჭეშმარიტად ქრისტიანული სპორტია, რომელიც წილნაყარია ხელოვნებასთან.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ჭიდაობის სული არ ჩამქრალა. თუ სოფლის ტაძრის სიახლოვისკენ ან მოედნისკენ მიმავალ ხალხს მოჰკრავთ თვალს, ეს იმის ნიშანია, რომ იმ დღეს სოფელში რელიგიური ან საერო დღესასწაულია.

ჩვენს საუნჯეს გულანთებული მხარდამჭერები ყოველთვის ჰყავდა და, იმედია, მომავალშიც ეყოლება.

სანამ იქნება ქართული სოფელი, საჭიდაო წრე სურნელოვანი ნახერხით და ტილოს ჩოხა წითელი ქმარით, კაიყმები (ფალავნები) ქართულ ჭიდაობაში არასდროს დაილევიან.

**გაბრიელ ბარჯაძე**

რაგბი

ლეგიონერები

# ზოგმა დაიწყო, ზოგიც მოლოდინშია

ქართველი მორაგბეები ახალი კლუბების ძებნას განაგრძობენ. ახლახან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ნაკრების შუამარბმა **ირაკლი გიორგაძემ** ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე „დაქსი" დატოვა და რანგით უფრო დაბალ, ფედერალ 1 დივიზიონის მოასპარეზე „შამბერიში" გადაბარგდა.

ამასობაში საქმეში ჩაერთო რუმინეთის ქართული ლეგიონი. ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხედფინალში **ბიძინა სამხარაძის, ირაკლი ნატრიაშვილის, კახაბერ უჩავას, ლაშა თავართქილაძისა** და **გიორგი ხოსიტაშვილის** „ფარულმა" სტუმრად დაამარცხა „ტიმოშორა"- 59:10.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ირაკლი ნატრიაშვილი (ბურთით) და კახაბერ უჩავა

ქალთა რაგბი. ევროპის რეიტინგი

# ორი საფეხურით მაღლა

FIRA AER-მა შვიდკაცა რაგბის ქალთა ნაკრებების რეიტინგი გამოაქვეყნა. 32 გუნდს შორის საქართველოს ნაკრები 27-ე ადგილზეა. შარშანდელთან შედარებით, ჩვენმა ქალებმა ორი საფეხურით წაიწიეს.

ცხრილის სათავეში წლევანდელი ევროპის ჩემპიონი ინგლისის ნაკრებია. მოწინავე ათეულში არიან ისეთი ტრადიციულად არასარაგბო ქვეყნები, როგორიცაა ჰოლანდია, შვედეთი და ფინეთი.

**ევროპის რეიტინგი**

1. ინგლისი, 2. ესპანეთი, 3. ჰოლანდია, 4. გერმანია, 5. საფრანგეთი, 6. პორტუგალია, 7. რუსეთი, 8. იტალია, 9. შვედეთი, 10. ფინეთი. 27. საქართველო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

დებიუტანტი

## გიორგი ტაბატაძე
## ძიუდო

დაიბადა 1995 წელს
სიმაღლე: 150 სმ
წონა: 38 კგ

სწავლობს თბილისის მე-11 საჯარო სკოლის XI კლასში. ოთხი წელიწადია ეუფლება ძიუდოს მწვრთნელ ვაჟა ბალხამიშვილთან. შარშან მოიგო თბილისის ღია პირველობა თანატოლთა შორის. წლეულს ყველას აჯობა "ვისოლის" ტურნირზე, ხოლო ნოდარ მელიქიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გავიდა.



**დარეჯან ლიპარტელიანი**

კალათბურთი

*საქართველოს ნაკრები. დღეს პირველი მატჩია*

# პოლანდია 300 მოგებამდე ასვლას აპირებს...

## ვაგემოთ ნარინჯისფრებს მე-400 მარცხი!

საქმის არსში სათაურიდან მეტ-ნაკლებად გაერკვეოდით. საქართველოს ნაკრები გუშინ ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში ჩაფრინდა, სადაც დღეს, 31 ივლისს 2009 წლის პირველ მატჩს გამართავს. ხვალ, 1-ელ აგვისტოს ჩვენი და ჰოლანდიის ნაკრებები ერთმანეთს მეორედ დაუპირისპირდებიან. მატჩები ჰოლანდიის დროით 20 საათზე (თბილისის დროით 22 საათზე) დაიწყება.

ნარინჯისფრები საქართველოსთან შეხვედრებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, სიამაყით აცხადებენ - ორივეს მოგების შემთხვევაში 300 გამარჯვება მოგვიგროვდებაო. საინტერესოა ისიც, რომ მასპინძლებს სადღეისოდ 398 წაგება აქვთ და თუ ჩვენმა ნაკრებმა ორჯერვე იყოჩაღა, ჰოლანდიის კალათბურთის ისტორიაში თავის მოკრძალებულ ადგილს დაიკავებს – ნიდერლანდების მე-400 მარცხის შემოქმედი გახდება.

აქვე გეტყვით, რომ უტრეხტში სა-



იგორ კოკოშკოვი

ქართველოს ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს „მილუოკი ბაქსის" მძიმე ფორვარდი **ფრანსისკო ელსონი.** იგი „დენვერ ნაგეთსში" **ნიკა ცქიტიშვილის** გვერდით ირჯებოდა და ქართველთან მეგობრობდა. ჰოლანდიელთა განაცხადში **ზაზა ფაჩულიას** მეგობარიცაა – **დენ გაძურიჩი,** რომელიც ზაზასთან ერთად „მილუოკიში" ირიცხებოდა.

ფაჩულია და ცქიტიშვილი კი ვახსენეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველებს ჰოლანდიელებთან ფონს გასვლა მათ გარეშე მოუწევთ, რადგან ზაზა და ნიკა გუნდს ჯერ არ შეერთებიან. ფაჩულიას 5 აგვისტოსთვის ელიან. გვაქვს კიდევ ერთი დანაკლისი – ჯერ არ ჩამოსულა **ტაირონ ელისი,** თუმცა მან გარკვევით გვითხრა: 2 აგვისტოს საქართველოს ნაკრების განკარგულებაში ვიქნებიო.

ასე და ამგვარად, ჩვენი მწვრთნელის, **იგორ კოკოშკოვის** განკარგულებაში სულ 10 კალათბურთელია. ჰოლანდიაში წასული ათეულის ვინაობას ქვემოთ ცხრილის სახით შემოგთავაზებთ.

ნაკრები თავიდან 7 კალათბურთელით ვარჯიშობდა. გუნდს დათქმულ დროს, 25 ივლისს შეუერთდა **ვლადიმერ ბოისა...**

*- ვოვა უკვე ჩამოვიდა და ჩვენთან ერთად ვარჯიშობს. საწვრთნელი პროცესი ნორმალურად მიდის, საინტერესო ვარჯიშებია და ნელ-ნელა ფორმაში შევდივართ. ავსტრიის ქალაქი შტაინბურნი მეტად მყუდრო ადგილია, სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა – მხოლოდ კალათბურთზე ვართ კონცენტრირებულნი, - გვითხრა ვლადიმერ ბოისას უმცროსმა ძმამ ანატოლიმ.*

თემა **კოტე ტულუშმა** განავრცო:

*- დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს. ძალიან ვიღლებით, თუმცა ეს აუცილებელია ფორმაში შესასვლელად. 31 ივლისს და 1-ელ აგვისტოს ჰოლანდიასთან ორ საკონტროლო მატჩს ნორმალურ კონდიციებში ვხვდებით...*

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო ფორმაში **თორნიკე შენგელია** და **ნიკა მეტრეველი** უნდა იყვნენ, რომლებმაც 26 ივლისს ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გამოსვლა დაასრულეს. ისინი, მწვრთნელ **დავით უსტიაშვილთან** ერთად, მაკედონიიდან პირდაპირ ავსტრიაში ჩავიდნენ და 27 ივლისის შემდეგ იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ. მათთან ერთად 20-წლამდელთა ნაკრებიდან შტაინბურნში ჩავიდა **ლევან შენგელია,** რომელიც ეროვნულ გუნდთან ერთად 30 ივლისმდე ემზადებოდა, მაგრამ ნაკრებს ჰოლანდიაში არ გაჰყოლია. იგი უკვე თბილისშია. გუნდთან განშორების მიზეზი თავად შენგელიამ განგვიმარტა:

- ნაკრებიდან წამოსვლის გამო გული ძალიან მწყდება. ეროვნულში თამაში ხომ ჩემი ოცნება იყო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. როგორც აღმოჩნდა, როდ აილენდის კოლეჯში ერთი გამოცდა გადასაბარებელი მაქვს. თუ ხელახლა არ ჩავაბარე, სასწავლებელში ვერ ჩავირიცხები. ეს კოლეჯი სწორედ კალათბურთისთვის შევარჩიე, მინდა, თამაში დავხვეწო და საქართველოს ნაკრებს გამოვადგე.

შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიასთან ორი მატჩის გამართვის შემდეგ საქართველოს ნაკრები ისევ შტაინბურნში დაბრუნდება და ავსტრიასთან ორი ამხანაგური თამაშისთვის მოემზადება. ეს შეხვედრები 7 და 8 აგვისტოს გაიმართება. პირველი ოფიციალური მატჩი კი 15 აგვისტოს თბილისში ლუქსემბურგის წინააღმდეგ გველის.

ახლა უტრეხტში ჩასული 10 ქართველის გვარებს ჩამოგითვლით.

ვაჟა სიმონიშვილი

| №. გვარი | სმ | დაბ.წ | კლუბი |
|---|---|---|---|
| 4. ლაშა გამყრელიძე | 183 | 1986 | მიტელდოიჩერი (გერმანია) |
| 5. ვლადიმერ ბოისა | 205 | 1981 | ზადარი (ხორვატია) |
| 6. ანატოლი ბოისა | 193 | 1983 | ავიამშენი |
| 8. გიორგი ცინცაძე | 192 | 1986 | ტარტუ (ესტონეთი) |
| 9. გიორგი შერმადინი | 216 | 1989 | პანათინაიკოსი (საბერძ) |
| 10. კოტე ტულუში | 191 | 1984 | ენერჯი |
| 11. მანუჩარ მარკოიშვილი | 196 | 1986 | კანტუ (იტალია) |
| 13. ვიქტორ სანიკიძე | 204 | 1986 | ტარტუ (ესტონეთი) |
| 15. ნიკა მეტრეველი | 211 | 1991 | მონტეპასკი (იტალია) |
| 23. თორნიკე შენგელია | 207 | 1991 | ვალენსია (ესპანეთი) |



საქართველოს ეროვნული ნაკრები

*საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები. B დივიზიონი*

# მოგებაც გამოგვერია



| 30 ივლისი. სარაევო. ბოსნია | |
|---|---|
| საქართველო–ავსტრია | 71:69 |

20:24, 13:21, 18:10, 20:14

საქართველო: **თავართქილაძე (40 წთ, 4ქ, 5პ), ჩიკვილაძე (35 წთ, 19ქ, 4პ), ბოქოლიშვილი (10 წთ, 2ქ), იოსელიანი (33 წთ, 12ქ, 8მ, 5დ), დვალიშვილი (35 წთ, 21ქ, 7მ, 4პ), ბაქრაძე (27 წთ, 10ქ), ლომოური (3 წთ), თენიეშვილი (5 წთ), ჯავახიშვილი (7 წთ, 1ქ), სულაბერიძე (5 წთ, 2ქ)**

ავსტრია: **კლეპეიცი (15ქ), მარეში (15ქ), ვიეიდერი (10ქ)**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ავსტრია | 3 | 1 | 2 | 4 |
| 3. შოტლანდია | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 2 | 4 |

**ძე-მარკოიშვილი-ცინცაძის** წყალობით ჭაბუკთა ნაკრებმა სასწაული მოახდინა – ფინეთთან 100 წამში 12-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და 72:69 გაიმარჯვა.

მართალია, იმ მოგებას გუშინდელ გამარჯვებასთან შედარებით სხვა ფასი ჰქონდა (მაშინ ევროპის ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ), მაგრამ ყველა მოგება გასახარია. ავსტრიელებთან თამაში მესამე პერიოდის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში, ხუთწუთიან მონაკვეთში შემოვატრიალეთ. ამ ეპიზოდში 8:0 მოვიგეთ და მეტოქეს 56:55 გადავასწარით.

გუშინ შვეიცარიასთან მატჩის მიმოხილვაში იმედი გამოვთქვით, რომ ქართველი ჭაბუკები ბოლო წამებზე გამარჯვებასაც აუღებდნენ ალღოს. ასეც მოხდა: საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე **იოსელიანის** ორქულიანის წყალობით 66:64 დავწინაურდით. მომდევნო ორწუთ-ნახევარში ავსტრიელებს 5 ქულა ჩავუგდეთ, საპასუხოდ კი ორი მივიღეთ და მატჩის დასრულებამდე 28 წამით ადრე 71:66 დავწინაურდით. დარჩენილ დროში მოწინააღმდეგემ მხოლოდ სამი ქულა ჩააგდო და... საფინალო ანგარიში უკვე მოგახსენეთ.

ისევ შვეიცარიასთან მატჩის მიმოხილვა უნდა გავიხსენო. იქ ყურადღება 49 მოხსნაზე გავამახვილეთ. ავსტრიასთან ოდენ 22 მოხსნა მივითვალეთ და კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ თამაშის მოგება არა ასხლეტილი ბურთის დაუფლებით, არამედ ზუსტი ტყორცნით შეიძლება: გუშინ ორქულიანები შესაშური სიზუსტით ვისროლეთ – 33-დან 22 ჩავაგდეთ. ამ საქმეში მეფარე **აკაკი დვალიშვილი** გამოირჩა, რომელმაც 21 ქულა ჩააგდო (12-დან 8 ორქულიანი). **ბექა ჩიკვილაძემ** 5-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი გამოიყენა და 19 ქულას მოუყარა თავი.

ფეხბურთისგან განსხვავებით, კალათბურთში ორქულიანი მოგება დიდი ფორა ნამდვილად არ არის. 69:71 წაგებამ ვერც ავსტრიელებს დააკლო რამე და ვერც ქართველებს შემატა. 6 ქულის სხვაობით რომ გაგვემარჯვა, ჯგუფში ბოლოდან მეორე ადგილს დავიკავებდით (შოტლანდიას ჩამოვიტოვებდით), 12-ქულიანი მოგების წყალობით კი ავსტრიასაც გადავასწრებდით და მეორე ადგილზე აღმოვჩნდებოდით. როგორც მიხვდით, ჩვენ, ავსტრიას და შოტლანდიას ქულების თანაბარი რაოდენობა დაგვიგროვდა და ურთიერთშეხვედრებში ჩაგდებული ბურთების უარესი შეფარდების გამო ბოლო ადგილზე აღმოვჩნდით.

თბილისის „დინამოს" „ მატჩი ცრვენა ზვეზდასთან" და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ავსტრიასთან შეხვედრა ერთდროულად დაიწყო. ფეხბურთის პარალელურად 18-წლამდელთა საკალათბურთო მატჩსაც პირდაპირ რეჟიმში ვადევნებდი თვალს, თუმცა მესამე პერიოდის შუაში მთლიანად ფეხბურთზე გადავერთე – სტადიონზე სიტუაციის დაძაბვას სარაევოში ჩვენი კალათბურთელების 14-ქულიანი ჩამორჩენა დაემთხვა. ავსტრიელები მატჩის 23-ე წუთზე 49:35 დაწინაურდნენ.

ასეთი სხვაობის აღმოფხვრა რეალურია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მანამდე ქართველ ჭაბუკებს ხუთიდან ოთხი მატჩი ჰქონდათ წაგებული...

საფეხბურთო მატჩში „დინამომ" ბოლოსწინა წუთზე გოლი რომ გაიტანა, სწორედ მაშინ ვინატრე, ნეტავ კალათბურთელებიც ორი ბურთის სხვაობით მოიგებდნენ-მეთქი. ასე აგიხდათ ყველაფერი: მესამე პერიოდის ბოლოს **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებმა თამაში გამოასწორეს და დაძაბულ ბრძოლაში სწორედ ორქულიანი უპირატესობით გაიმარჯვეს – 71:69.

ჭაბუკებს ერთით მეტი ქულა რომ ჩაეგდოთ, მივიღებდით ანგარიშს, რომელიც ქართველ 18-წლამდელთა საკალათბურთო ისტორიაში ოქროს ასოებითაა შემონახული: 2004 წელს სანიკი-

დაგვრჩა ორი თამაში, რომელიც გაარკვევს, ტურნირს რომელ პოზიციაზე დავასრულებთ. არჩევანი მწირია – მეცამეტედან მეთექვსმეტე ადგილები. 1 აგვისტოს ისლანდიას ვეთამაშებით. მატჩი თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# სექსტეტიდან მხოლოდ ოქსანა შემორჩა

ყაზახეთის საბჭოურ დედაქალაქ ალმათიში დასასრულს უახლოვდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. შეჯიბრებაში 6 ქართველი ჩოგბურთელი ჩაება, „გორკის პარკის" ჰარდის საფრის კორტებს კი მხოლოდ **ოქსანა კალაშნიკოვა** (228) შემორჩა. როგორც მოსალოდნელი იყო, ტიტულისთვის საქართველოს მე-2 ჩოგანი იბრძოლებს, რომელიც ერთეულთა თანრიგში ნახევარფინალში, წყვილებში კი ფინალშია გასული. ოქსანა ალმათიში მე-3 ნომრად განთესეს. მეოთხედფინალამდე მან სეტის წაუგებლად მიაღწია, იქ კი მე-8 ნომრად განთესილ რუმინელ **აგნეშ სატმარის** (275) გადაეყარა. ოქსანას არც რუმინელის დამარცხება გასჭირვებია - 6:3, 6:1. ნახევარფინალში გასვლა ურეიტინგო **თათია მიქაძესაც** შეეძლო, მაგრამ მან ვერაფერი გააწყო მე-4 ნომრად განთესილ რუს **ელენა ჩალოვასთან** (223) - 3:6, 1:6. პრინციპში, დიდი პაუზის შემდეგ დაბრუნებული მიქაძისთვის მეოთხედფინალში გასვლაც წარმატებაა. ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი ავსტრიელი **ნიკოლა ჰოფმანოვაა** (215). კალაშნიკოვა და ჰოფმანოვა აქამდე ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, თვე-ნახევრის წინ თანატოლთა ორთაბრძოლაში ავსტრიელმა იმარჯვა, ჯერი ქართველზეა. მეორე ნახევარფინალური დუელი რუსულია - ჩალოვა მე-5 ნომრად განთესილი **ნინა ბრატჩიკოვას** (250) წინააღმდეგ.

სხვათა შორის, კალაშნიკოვამ ჰოფმანოვას უკვე მოუგო... გუშინ წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში. მისი და ჩალოვას პირველ ნომრად განთესილმა დუეტმა ჰოფმანოვასა და ჩეხ **ნიკოლა ფრანკოვას** (416) მე-4 ნომრად განთესილ გუნდს აჯობა - 7:5, 6:2. ფინალში გასვლა **სოფიო შაფათავასაც** (285) შეეძლო, მაგრამ მან და **ელინა გასანოვამ** (რუსეთი, 703) ბრატჩიკოვასა და სატმარის მე-2 ნომრად განთესილ წყვილთან წააგეს - 5:7, 1:6. დღეს ერთეულთა ნახევარფინალები და წყვილთა ფინალი გაიმართება. თუკი ასეთ ტემპს შეინარჩუნებს, ოქსანა კალაშნიკოვა აგვისტოში საქართველოს პირველ ჩოგნობას **ანა ტატიშვილს** (182) შეეცილება. ნახევარფინალში გასვლით მან უკვე დაიბევა 24 სარეიტინგო ქულა, თუკი ტურნირს მოიგებს, ოქსანა ყაზახეთიდან 50 სარეიტინგო ქულით და 3 ათასი დოლარით ხელდამშვენებული ჩამოვა.

17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (737) სარანსკის ტურნირის, „მორდოვიის თასის" ორგანიზატორებისგან „უაილდ ქარდი" მიიღო. ეს ტურნირი კი „ჩელენჯერის სერიისაა" და 50 000-დოლარიანი საპრიზო ფონდი აქვს. სამწუხაროდ, ნიკამ ვერ იყოჩაღა რუსეთში, პირველივე წრეში საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ **ვიტალი რეშეტნიკოვთან** (რუსეთი) წააგო - 6:4, 6:7 (6), 3:6. როგორც ხედავთ, ქართველს უბრძოლველად არაფერი დაუთმია, რაც სამომავლოდ იმედს გვიტოვებს. ბასილაშვილი წყვილთა თანრიგსაც გამოეთიშა და მორდოვიის დედაქალაქს დაემშვიდობა. იურმალაში (ლატვია, 10 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში ითამაშა **დემეტრე თაქთაქიშვილმა,** ქართველმა პირველივე წრეში წააგო პოლონელ **კასპერ პროცკისთან** - 3:6, 4:6.



ოქსანა კალაშნიკოვა

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ალპინიზმი

# თოვლის ჯიქი ახალ მარშრუტებზე ფიქრობს



ბიძინა გუჯაბიძე

***წლეულს, გაზაფხულზე, პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, მანასლუზე (8163 მ) რუსული ექსპედიციის რამდენიმე წევრი ავიდაო. ერთი წყაროს მიხედვით, მწვერვალის დამლაშქრავთა შორის ქართველი ბიძინა გუჯაბიძეც იყო, მეორე წყარო კი ამ ფაქტს უარყოფდა.***

***სიმართლეს თავად ბატონი ბიძინა გვეტყვის, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.***

ლანჩხუთის რაიონის მთაგორიან სოფელ ჩოჩხათ-ხორეთში დაბადებულსა და გაზრდილს თვალშეუდგამი ქედები ბავშვობიდანვე იზიდავდა. ამიტომაც გეოლოგობა გადაწყვიტა. ოცნება რეალობად აქცია — 1982 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობისას თანაკურსელ **ნუგზარ ბიჭაშვილის** რჩევით 1979 წლის ალპინიადაში მიიღო მონაწილეობა. მაშინ სტუდენტებმა **ლადო გურჩიანის** ხელმძღვანელობით ხდის ხეობაში (ყაზბეგის რაიონი) მწვერვალი გორი დალაშქრეს. მერე და მერე მოუხშირა მთაში სიარულს. ყოფილ საბჭოთა კავშირში ხუთი შვიდათასიანი მწვერვალი (კომუნიზმის, ლენინის, კორჟენევას, გამარჯვების პიკები და ხან-ტენგრი) დაიმორჩილა, რის გამოც ორჯერ „თოვლის ჯიქის" საპატიო წოდება მიანიჭეს (30 წლის განმავლობაში 33 სასიმაღლო ასვლა განახორციელა, ანუ 7000 მეტრზე მაღალი მწვერვალები დალაშქრა). მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში 8-ათასიანებიც მოინახულა — ორჯერ (1999, 2003 წ.წ.) **ევერესტზე** (8848 მ) ავიდა, თითოჯერ **დჰაულაგირი** (1995 წ., 8167 მ), **ლჰოცზე** (2000 წ., 8516 მ), **ჩო ოიუ** (2006 წ., 8201 მ) და **გარშებრუმ II** (2008 წ., 8060 მ) დანებდა ქართველ მეკლდეურს.

მეორედ მიიტანა იერიში მანასლუზე, მაგრამ...

— უხვნალექიანი მთაა, მიმზიდველი და დაუნდობელი, — გვითხრა ბიძინამ. — პირველად 1998 წელს ამოვიღე მიზანში, მაგრამ მხოლოდ 6500 მეტრამდე შევძელი ასვლა. ახლა რუსულ ექსპედიციასთან ერთად გადავწყვიტე მისი დალაშქვრა.

ნეპალში სამი რვაათასიანი მთის (დჰაულაგირი, ანაპურნა (8091) და მანასლუ). მათი ხეობები სამხრეთისკენაა გახსნილი და ინდოეთის ოკეანიდან ნალექი სწრაფად შემოდის, უცებ დებს უხვ თოვლს, ამინდიც საკმაოდ ცვალებადია, ამიტომაც ჭირს ამ მწვერვალებზე ასვლა.

რუსულ ექსპედიციაში უმთავრესად ჩემი მეგობრები იყვნენ. მათ შორის მსოფლიო ალპინიზმის ლეგენდა **ჟენია ვინოგრადსკი**, რომელსაც 19-ჯერ აქვს დაპყრობილი რვაათასიანი მწვერვალები; „ოქროს წერაყინის" მფლობელი **ალექსეი ბოლოტოვი**, ევერესტის ჩრდილო კედლიდან და K-2-ის დასავლეთ კედლიდან დამლაშქრავი; **გლებ სოკოლოვი**, ჩქაროსნული ასვლების დიდოსტატი, რომლის ანგარიშზეა გამარჯვების პიკის ტრავერსი. ამ ადამიანებთან ნებისმიერ ლაშქრობაში შეიძლება უშიშრად წასვლა, რადგან დარწმუნებული ხარ, რომ არ გიღალატებენ. თუმცა უკეთესი იყო, ქართული ექსპედიცია ყოფილიყო. თავის დაზოგვისა და მწვერვალზე ასვლის მეტი შესაძლებლობა იქნებოდა. მართალია, რუსებთან შინაურულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მათთან მაინც ერთგვარი შეჯიბრება გამოდიოდა და დასვენების უფლებას არ ვაძლევდი თავს, ბოლომდე ვიხარჯებოდი.

ერთი საინტერესო ეპიზოდიც მინდა გავიხსენო: შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ პირველად მომიწია ჩრდილოელ მეზობლებთან ერთად ლაშქრობამ. 4800 მეტრზე საბაზო ბანაკში რომ ვემზადებოდით, რუსებმა ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა თავიანთ დროშაზე მაღლა დაკიდეს, რითაც კეთილგანწყობილება გამოხატეს ქართველი ერის მიმართ.

**— როგორც შევიტყვე, მწვერვალზე ასვლისას თქვენი ექსპედიცია ბევრ ხიფათს გადაყრია.**

— რვა ათას მეტრ სიმაღლეზე რომ ადიხარ ყინულისა და თოვლის საუფლოში, ცხადია, ხიფათი თან გდევს, მაგრამ მანასლუ ამჯერად გამორჩეულად მიუკარებელი აღმოჩნდა. ექვსჯერ ზვავში მოვყევით. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. 5800 მეტრზე პირველ ბანაკში 3 მეტრი სიმაღლის ნალექი მოვიდა, კარვები თოვლში ჩაიმარხა. აღჭურვილობიდან ზოგი რამ გადავარჩინეთ, ზოგი — ვერა, უკარვოდ დავრჩით.

ჩვეულებრივ, საიერიშო ბანაკიდან მწვერვალზე ასვლა მესამე ცდისას ბევრად ოპტიმალურია, რადგან მერე ორგანიზმი იფიტება და უძლურდება. მე კი მანასლუს დალაშქვრა ზედიზედ ექვსჯერ ვცადე. ბოლო ასვლისას 7 ათას მეტრ სიმაღლეზე ვიგრძენი, რომ გზის გასაგრძელებლად ძალა არ მყოფნიდა. ფიზიკურმა მომზადებამ მიმტყუნა. იძულებული გავხდი, საბაზო ბანაკში დავბრუნებულიყავი და იქ დავლოდებოდი მწვერვალზე ასულთ. მანასლუ კი ალექსეი ბოლოტოვმა, გლებ სოკოლოვმა და ახალგაზრდა სანქ-ტპეტერბურგელმა სერგეი დუგანოვმა დალაშქრეს. ჩემზე ადრე მობრუნდა გზიდან ჟენია ვინოგრადსკი. ცხადია, მეგობრების წარმატება გამიხარდა, მაგრამ გული იმაზე დამწყდა, რომ ალპინიზმში ყოფნის 30 წლის განმავლობაში, პირველად ვერ ავედი მწვერვალზე მაშინ, როცა იგი დელეგაციის სხვა წევრებმა დაიმორჩილეს.

**— მანასლუზე ლაშქრობას 2 კაცი მაინც შეეწირა...**

— დიახ. უნგრელი და იტალიელი მთამსვლელები დაიღუპნენ. გამოიფიტნენ და კლდიდან მოწყდნენ. გამოცდილება არ ეყოთ, რომ უკან გამობრუნებულიყვნენ. ცხადია, ტრაგედიაა, მაგრამ ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან მთაშიც ისეთივე ცხოვრებაა, როგორიც ბარში. განა აქ ნაკლები ადამიანი იღუპება თუნდაც ავტოკატასტროფებში?! ამის გამო გზებზე სიარული არავის შეუწყვეტია, ასეა ალპინიზმშიც. პირველად უბედურებას 1984 წელს უშბაზე შევესწარი. 25-კაციან ექსპედიციაში ვმონაწილეობდი. 28 თებერვალს მწვერვალიდან დაშვებისას 6 ქართველი მეკლდეური დაიღუპა — ირაკლი გელდიაშვილი, დევი თარხნიშვილი, დავით კობახიძე, გია ტუშური, გოგი ზუმბაძე და მურად ჭიჭინაძე. რა დამავიწყებს იმ საზარელ წამებს, თოვლსა და ყინულში როგორ ვეძებდით უშბიდან მოწყვეტილთა გვამებს. მას შემდეგ კიდევ რვაჯერ ვიყავი ამ მწვერვალზე. ახლა მეათედ მივდივარ. ჩემს შვილებთან და მათ მეგობრებთან ერთად ვაპირებ იმ მარშრუტით ასვლას, რამდენიმე წლის წინ მერაბ ხაბაზი და ზაალ ქიქოძე რომ დაიღუპნენ.

ერთიც მინდა დავძინო: მყინვარზე ასვლა-ჩამოსვლის რეკორდი (12 საათი და 20 წუთი) 16 წლის განმავლობაში მე მეკუთვნოდა. გასულ შაბათს ჩემი მილწევა გიორგი კალაძემ და რუსმა სერგეი სურმონინმა გააუმჯობესეს (11 საათი და 25 წუთი).

**— სამომავლოდ რას აპირებთ?**

— შემოდგომით ხდის ხეობაში გვექნება ლაშქრობა, იანვარში ისევ უშბაზე ავალთ. ახალ სეზონში პაკისტანს ვეწვევი — ერთი მშვენიერი მთაა, 7700 მეტრი სიმაღლის. მისი მწვერვალი კანჟუ მინდა დავიპყრო. არ არის გამორიცხული, ევერესტზეც ვცადო ასვლა, ამჯერად უჟანგბადოდ. მსოფლიოს უმაღლეს მწვერვლაზე ორჯერ ვარ ნამყოფი სხვადასხვა მხრიდან. სხვაც ბევრია შვიდ და რვაათასიანი მწვერვალები, უფრო ლამაზი და მიმზიდველი. უცნაურია მთა — თვალშეუდგამ სიმაღლეზე ყოველი ასვლის შემდეგ გრძნობ, რომ რაღაც გემატება, რისი სიტყვებით გადმოცემაც შეუძლებელია. სწორედ ეს გიბიძგებს ახალი თავგადასავლებისკენ...

წლეულს ბიძინა გუჯაბიძეს ერთდროულად ორი იუბილე აქვს — დაბადებიდან 50 და მთებთან შეჭიდების 30 წელი უსრულდება. იმედია, ამ თარიღებს ახალი წარმატებებით შეეგებება.

**ვაჟა დანელია**



მანასლუ

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური




# კლაგენფურტში წინ მივიწევთ

ავსტრიის საკურორტო ქალაქ კლაგენფურტში, მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე წარმატებით აგრძელებენ ასპარეზობას პლაჟბურთის ქართული წყვილები **გეორ-გია** და **საქა-რთველო**.

ქალთა შეჯიბრებაში საქა-რთველომ ჯგუფურ ტურნირში ბოლო შეხვედრა უკრაინულ დუეტ **ოშეიკო-ბაბურინასთან** სამ სეტში დათმო - 20:22, 21:15, 15:17. მაგრამ, ვინაიდან E ჯგუფის ფავორიტმა ამერიკულმა წყვილმა **აკერსი-თერნერმა** გერმანული დუეტი **ჰოლტვიკი-ზემლერი** ორ სეტში დაამარცხა - 21:15, 21:13, სამ წყვილს თითო მოგება დაუგროვდა. თანაბარი იყო მოგება-წაგება სეტებს შორისაც. სეტებში დაგროვებული ქულების საუკეთესო მაჩვენებელი კი საქა-რთველოს აღმოაჩნდა და მეორე ადგილზე სწორედ ჩვენი ფრენბურთელები გავიდნენ.

პლეი ოფის პირველ რაუნდში საქა-რთველოს მეტოქე 30-ე ნომრად განთესილი ავსტრალიური დუეტი **პალმერი-ბევდენი** იყო. პირველი სეტი ჩვენმა ფრენბურთელებმა იოლად - 15:21 დათმეს, თუმცა მერე ძალების მობილიზება შეძლეს და სეტებში ანგარიში გაათანაბრეს - 21:18. მესამე სეტში, ტაიბრეიკზე საქა-რთველო უკეთ გაისარჯა და მეტოქე 15:12 დაამარცხა.

დღეს მეორე რაუნდში საქა-რთველო ტურნირის ფავორიტს, მე-2 ნომრად განთესილ ამერიკულ დუეტს **კესი-როსის** დაუპირისპირდება. ამ წყვილს ჩვენი ფრენბურთელები აქამდე ორჯერ გადაჰყრიან მსოფლიო ტურის ეტაპებზე და ორივეჯერ გამარჯვება ამერიკელებმა იზეიმეს.

გამარჯვებით დაიწყო ასპარეზობა ვაჟთა ქართულმა წყვილმა გეორ-გიამ. ჩვენი ფრენბურთელები, რომლებიც ტურნირზე მე-17 ნომრად არიან განთესილი, საკმაოდ რთულ, A ჯგუფში მოხვდნენ. პირველ მატჩში მათ მე-16 ნომრად განთესილი ამერიკული დუეტი **გიბი-როზენტალი** დაუპირისპირდა, რომლითაც ჩვენებმა ორ სეტში სძლიეს - 21:18, 21:17.

მეორე შეხვედრაში გეორ-გიას ბევრად რთული მეტოქე, შეჯიბრების ფავორიტი, პირველ ნომრად განთესილი გერმანული წყვილი **ბრინკი-რეკერმანი** ერგო. თავდაუზოგავი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენი ფრენბურთელები ორ სეტში დამარცხდნენ - 19:21, 17:21.

დღეს გეორ-გია ჯგუფის აუტსაიდერს, 32-ე ნომრად განთესილ შვეიცარიულ დუეტ **გაბატჰულერ-შნიდერს** შეხვდება, რომელმაც ჯგუფში ორივე შეხვედრა წააგო. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ჩვენს ფრენბურთელებს ერთი სეტის მოგებაც ჰყოფნით.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# ოქტეტი უდანაკარგოდ

დრეზდენში გრძელდება დიდი საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოდან **თორნიკე სანიკიძე** და **დავით არუთინიანი** მონაწილეობენ.

გუშინ მე-6 ტურის პარტიები გაიმართა. სანიკიძე (2559) თეთრი ფიგურებით შეჯიბრებაზე პირველ ნომრად განთესილ უკრაინელ დიდოსტატს **ვლადიმირ ბაკლანს** (2656) ეთამაშებოდა, რომელსაც ჩვენებური რეიტინგში 97 პუნქტით ჩამორჩება. წლოვანებასა და გამოცდილებაში სხვაობამ თავისი გაიტანა - ბაკლანმა გაიმარჯვა და ლიდერთა ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა. წარმატებას მიაღწია დავით არუთინიანმა (2526), რომელმაც გერმანელი **ალექსანდრ გრაფი** (3583) დაამარცხა. არუთინიანსა და კიდევ 7 მონაწილეს 6-6 ქულა აქვთ და პირველი ადგილისთვის ბრძოლას სწორედ ისინი განაგრძობენ. დაწინაურებულთაგან დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

**ვლადიმირ ბაკლანი (2656, უკრაინა)-სერგეი ოვსეივიჩი (2583, უკრაინა), იმრე ჰერა (2559, უნგრეთი)-რობერტ კემპინსკი (2631, პოლონეთი), თომაზ ლუთერი (2552, გერმანია)-ვლადიმირ ეპიშინი (2592, რუსეთი), ეჰსან ჰაემ მაჰამი (2589, ირანი)-დავით არუთინიანი (2526).**

მოასპარეზეთაგან 18-მა მოჭადრაკემ 5-5 ქულა მოაგროვა, მათ შორის-სანიკიძემ და ინდონეზიელმა **ავან ვაონომ** (2399), რომლებიც დღეს ერთმანეთს ხვდებიან. მართალია, ჩვენებური შავი ფიგურებითაა, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართველ დიდოსტატს ფიდეს ოსტატის ძლევა არ გაუჭირდება.

**ვაჟა დანელია**

სპორტული თევზჭერა

# ტრადიციის დაბრუნება

ტყიბულის წყალსაცავზე მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ინიციატივით კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა სპორტულ თევზჭერაში საინტერესოდ ორგანიზებული შეჯიბრება ჩაატარა. მოლოდინს გადააჭარბა მოყვარულ მეთევზეთა აქტივობამ. შეჯიბრება 4 საათს გრძელდებოდა. ნადავლით Pპირველ ადგილზე გავიდა სტუდენტი **ლევან ქათამაძე**, მეორეზე - ავტომექანიკოსი **ტარიელ აბესაძე**, მესამე ადგილი კი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს **დავით ლომიძეს** ხვდა წილად. გამარჯვებული და პრიზიორები მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ქათამაძემ** და გამგებელმა **ლევან დოხნაძემ** თევზაობის თანამედროვე მოწყობილობებით დაასაჩუქრეს და დიპლომები გადასცეს.

ამ ღონისძიებით ტყიბულში კვლავ დაიბრუნეს სპორტული თევზჭერის ტრადიცია.

**ვაჟა მერკვილაძე**
"ლელოს" კორ. ტყიბული



ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1




# BMW-ს შემცვლელი გამოუჩნდა?

მას შემდეგ, რაც BMW-მ „დიდი ცირკის" დატოვება განიზრახა,. ესპანურმა გუნდმა Epsilon Euskadi-მ კვლავ გამოთქვა 2010 წელს, ფორმულა 1-ში გამოსვლის სურვილი.

ეს საჯინიბო საგაისო ჩემპიონატში მონაწილეობის ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო, მაგრამ ავტოსპორტის საერთაშორისო ასოციაციამ არჩევანი „კამპოსზე", „მანორ გრანპრიზე" და US F1-ზე შეაჩერა.

თუმცა Epsilon-ის შეფი **ხოან ვილადელპრატი** ძველებურად იმედოვნებს, რომ მისი გუნდისთვის გამოინახება ადგილი 2010 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის.

*„ამ პროექტზე მუშაობა გრძელდება, მაგრამ ისე ენერგიულად არა, როგორც ადრე. ამის მიზეზი ის არის, რომ არ გვაქვს გარანტია, მოგვცემენ თუ არა გაისად სტარტზე გასვლის უფლებას,* - ამბობს ვილადელპრატი ბრიტანული Autosport-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *მაგრამ, როგორც კი ამის შანსი გამოჩნდება, ჩვენ მას აუცილებლად გამოვიყენებთ და გაორმაგებული ძალით გავაგრძელებთ მუშაობას".*

ხოან ვილადელპრატი, რომელიც თავის დროზე „მაკლარენში", „ფერარიში", „ბენეტონსა" და „პროსტში" მუშაობდა, გაკვირვებულია ფორმულა 1-დან BMW-ის წასვლით: *„ამ გუნდმა უდიდესი სამუშაო გასწია იმისთვის, რომ გრანდებს შორის შესულიყო და უცებ, დაასრულა ფორმულა 1-ში თავისი პროექტი. ეს ძალიან ცუდი ინვესტიცია აღმოჩნდა. გაკვირვებული ვარ. თუმცა მსხვილი ავტოკონცერნების შემთხვევაში ყოველთვის ასე ხდება, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებას სულ სხვა ხალხი იღებს. სწორედ ამის შესახებ გვაფრთხილებდა მაქს მოსლი".*

...

ბუნებრივია, BMW-ის წასვლის შემდეგ გამოითქვა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, ფორმულა 1 სხვა ავტოგიგანტებმაც დატოვონ. შარშან, ჩემპიონატიდან „ჰონდას" გასვლის შემდეგ, ზუსტად ასეთი ვარაუდები ისმოდა და დღესაც იგივე სიტუაციაა შექმნილი.

მაგრამ გუშინ, „ტოიოტას", „მერსედესისა" და „ფერარის" წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ისინი გაისადაც მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატში.

*„ჩვენ არსად წასვლას არ ვაპირებთ, რადგან ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯები მცირდება. ჩვენი სიტუაცია არ შეცვლილა და ამის შესახებ უკვე მივიღეთ ცნობები იაპონიიდან",* - ამბობს „ტოიოტას" ოფიციალური წარმომადგენელი.

იგივე პოზიციას იკავებს კონცერნი „მერსედესი: *„ვწუხვართ იმის გამო, რომ BMW-მ ფორმულა 1-ის დატოვება გადაწყვიტა. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ მათ მიბაძვას და ამ სარბოლო სერიის ერთგულნი ვრჩებით".*

*„60 წელია „ფერარი" ფორმულა 1-ში გამოდის და ამ დროის განმავლობაში, ჩვენ ბევრი გუნდის მოსვლა და წასვლა გვინახავს,* - წერია „სკუდერიას" ოფიციალურ ვებგვერდზე. - *ეს ტიპიური მოვლენაა ჩვენი სპორტისთვის, თუმცა დაგვამწუხრა BMW-ის გადაწყვეტილებამ.*

*„ფერარი" გააგრძელებს მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლას და მიესალმება ახალ ეპოქას, რომელიც ფორმულა 1-ში იწყება. ეს არის სტაბილური წესების და დაძაბული ტექნოლოგიური ძიების ერა, როცა ყურადღება მიექცევა ეკოლოგიის პრობლემებს, სპორტის სანახაობრივ მხარეს..."*

ჩოგბურთი

# ნადალი მონრეალსაც ექვობს

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** ეჭვქვეშ დააყენა მონრეალის მასტერსში თავისი მონაწილეობა. ეს ტურნირი 8 აგვისტოს აიღებს სტარტს. შეგახსენებთ, რომ ესპანელს როლან გაროსის მეოთხე წრეში შვედ **რობინ სიოდერლინგთან** წაგების შემდეგ არ უთამაშია. რაფამ გამოტოვა ლონდონის „ქუინზ ქლაბის" ტურნირი, უიმბლდონი და დევისის თასის მეოთხედფინალი. ნადალი სწორედ მონრეალში აპირებდა დიდ სპორტში დაბრუნებას და ამისთვის ინტენსიურადაც ვარჯიშობდა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ესპანელი ჩოგბურთელი ბოლომდე დარწმუნებული არ არის, შეძლებს თუ არა კანადაში გამოსვლას.

*„გულწრფელად რომ ვთქვა, არ ვიცი, რამდენად მოვახერხებ კორტზე გასვლას. ძალიან მინდა კვირა-ნახევრის შემდეგ მონრეალში ვიყო და მოედანზე გასასვლელად ვემზადებოდე. საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს რამდენიმე დღეში მივიღებ. ჩემი მთავარი მიზანია გავიგო, სრულ წესრიგშია თუ არა ტრავმირებული მუხლი. ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ კორტზე გასვლის შემდეგ, ისევ არ შემახსენებს თავს ძველი ტრავმა",* - ამბობს ნადალი.

ბოლო პერიოდში ესპანელი ჩოგბურთელის მეორე პრობლემა მისი მშობლების გაყრა იყო. რაფამ ამაზეც გააკეთა კომენტარი: *„რა თქმა უნდა, მძიმე იყო მშობლების დაშორებასთან შეგუება, მაგრამ უკვე შევეჩვიე ამ სიტუაციას. ვერ ვიტყვი, რომ მათმა გაყრამ ჩემს შედეგებზე განსაკუთრებული გავლენა იქონია. ეს ამბავი ხომ რამდენიმე თვის წინ მოხდა, მე კი მას შემდეგ ინდიან უელსის, ბარსელონასა და რომის ტურნირები მოვიგე. ასე რომ, ჩემი ნამდვილი პრობლემა - მუხლებია".*



ნადალის ახალი სახლი დომინიკის რესპუბლიკაში

# როჯერი დევისის თასზე ითამაშებს

ნადალისგან განსხვავებით, ბედნიერი დღეები უდგას მსოფლიოს პირველ ჩოგანს **როჯერ ფედერერს**. როლან გაროსისა და უიმბლდონის მოგების შემდეგ, შვეიცარიელს პირად ცხოვრებაშიც გაუმართლა და ახლა ის ტყუპი გოგონების მამაა.

ფედერერი იმდენად ამაღლებულ განწყობაზეა, რომ დევისის თასზე შვეიცარიის ნაკრებისთვის დახმარების გაწევა გადაწყვიტა. ეს ის ტურნირია, რომელსაც როჯერი იშვიათად წყალობს და უპირატესობას პირად კარიერას ანიჭებს. მაგრამ ახლა, „დიდი სლემის" ტურნირების 15-გზის ჩემპიონმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის პლეი ოფში თამაში გადაწყვიტა. 18-20 სექტემბერს, გენუაში იტალია შვეიცარიას მასპინძლობს და ამ მატჩში გამარჯვებული საგაისოდ მსოფლიოს მთავარ ჯგუფში ითამაშებს.

შვეიცარიის ნაკრების კაპიტანი და პარალელურად, ფედერერის გუნდის წევრი **სევერინ ლიუტი** ამბობს, რომ როჯერი მას ჯერ კიდევ მაისში დაპირდა იტალიის ნაკრების წინააღმდეგ თამაშს. მოგვიანებით, უიმბლდონის დროს, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა დაადასტურა ნაკრებისთვის დახმარების გაწევა.

*„ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ რეალური შანსი არსებობს იმისა, რომ ჩვენი ყველა წამყვანი ჩოგბურთელი იტალიაში ითამაშებს. ამ კვირის ბოლოს საბოლოოდ მოველაპარაკები როჯერს",* - ამბობს ლიუტი.

შეგახსენებთ, რომ მარტში შვეიცარიამ დევისის თასის მერვედფინალში ამ ტურნირის 32-გზის გამარჯვებულთან, ამერიკასთან 1:4 წააგო. იმ მატჩში მონაწილეობას არ იღებდა ფედერერი.

*„მიუხედავად იმისა, რომ რთული მეტოქე შეგვხვდა, ფედერერი მოხარულია, რომ ამ მატჩის სათამაშოდ შორს წასვლა არ მოუწევს,* - დაამატა შვეიცარიელთა კაპიტანმა. - *თუ ფედერერის ტყუპს ყველაფერი კარგად ექნება, ჩოგბურთელს ხელს არაფერი შეუშლის იტალიელების წინააღმდეგ სათამაშოდ. თუ როჯერი მაინც შეუერთდება ნაკრებს, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ის და სტანისლას ვავრინკა ერთეულთა მატჩებსა და წყვილებს ითამაშებენ".*



რალი

# კიმი რალის ადასტურებს




მომავალ უიქენდზე ავტოსპორტის მოყვარულთა განსაკუთრებული ყურადღება რალის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინეთის ეტაპისკენ იქნება მიპყრობილი. აქ მონაწილეობას აპირებს „ფერარის" ფინელი პილოტი **კიმი რაიკონენი.**

მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონმა აღიარა, რომ 2010 წლის სეზონის შემდეგ, როცა ვადა გაუვა „ფერარისთან" კონტრაქტს, კიმიმ, შესაძლოა, რალის ჩემპიონატში სრულფასოვანი სეზონი ჩაატაროს.

*„დიახ, მე განვიხილავ რალიში გადასვლის შესაძლებლობას. ჯერ კიდევ ფორმულა 1-ის პილოტი ვარ, მაგრამ მომავალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ნებისმიერ ვარიანტს განვიხილავ. თუმცა ყველაზე მეტად რალიში მონაწილეობა მხიბლავს. ჯერ ახალგაზრდა ვარ იმისთვის, რომ პილოტის კარიერა დავასრულო. ფორმულა 1-დან წასვლამაც რომ მომიწიოს, რამე სამუშაოს მაინც გამოვნახავ",* - ამბობს რაიკონენი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

# კრიჩკო vs არეოლა: 26 სექტემბერს

WBC-ის ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** 2009 წლის 26 სექტემბერს იჩხუბებს ამერიკელ **კრის არეოლას** წინააღმდეგ. ამის შესახებ ინტერნეტ-გამოცემა Boxingscene წერს. დღეისთვის, მხარეები მოლაპარაკებებს აგრძელებენ და მომავალი ბრძოლის დეტალებს ათანხმებენ. თუ მოკრივეები და მათი პრომოუტერები კონტრაქტს გააფორმებენ, ბრძოლას ამერიკული ტელეარხი HBO პირდაპირი ეთერით გადასცემს.

შეგახსენებთ, რომ ვიტალი კლიჩკო თავისი ტიტულის დაცვას 12 სექტემბერს, ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან** ბრძოლაში აპირებდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოულოდნელად უარი თქვა უკრანელთან შეხვედრაზე და მეტოქედ WBA-ის ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** აირჩია. მათი ბრძოლა 7 ნოემბერს შედგება. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა უფროსმა კლიჩკომ კრის არეოლასთან შეხვედრა.

28 წლის არეოლა პირველ ადგილს იკავებს WBC-ის რეიტინგში. მას პროფესიულ რინგზე 27 ბრძოლა აქვს გამართული და ყველაში გამარჯვებას მიაღწია. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ამერიკელი მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან, რუს **ოლეგ მასკაევთან** აპირებდა ბრძოლას, მაგრამ არც ეს ცნობა შეესაბამებოდა სიმართლეს.



ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ფელპსი მაინც ფელპსია



ამერიკელმა **მაიკლ ფელპსმა** დაამტკიცა, რომ ყველა დროის უძლიერესი მოცურავეა და პრობლემების მიუხედავად, მისი დამარცხება ურთულესი საქმეა. 14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მსოფლიოს ახალი რეკორდით მოიგო 200 მეტრი ბატერფლაი. როგორც გუშინ ვწერდით, მაიკლმა ნახევარფინალური გაცურვა იაპონელ **ტაკეში მაცუდასთან** წააგო. თუმცა ფელპსმა აშკარად დაზოგა ენერგია და ფინალში ჩვეულ სტილში წარდგა მაყურებლის წინაშე. ამერიკელს ულტრათანამედროვე კოსტიუმი არ დასჭირვებია იმისთვის, რომ წამ-ნახევარზე მეტი მოეგო იმავე მაცუდასა და პოლონელ **პაველ კორჟენიოვსკისთვის** (ამ დისციპლინაში 2005 წლის ჩემპიონი), რომლებსაც ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილებამ მოუწიათ.

ფელპსმა მეცხრამეტედ (!) მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი და 35-ედ გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი. მაიკლს რომში კიდევ სამი ოქროს მოპოვების შანსი რჩება, გუშინ კი მას დასვენების დღე ჰქონდა.

ფელპსის მსგავსად, ამ ჩემპიონატზე ოქროს მეორე მედალი მოიპოვა შესანიშნავმა იტალიელმა **ფედერიკა პელეგრინიმ**. ამჯერად მასპინძელმა 200 მეტრზე თავისუფალ სტილში აჯობა ყველას და ისევე, როგორც 400 მეტრის ფინალში, ამჯერადაც მსოფლიოს რეკორდით გაახარა საკუთარი გულშემატკივრები.

პელეგრინიმ ბოლო ორი წლის განმავლობაში დიდ პროგრესს მიაღწია და საშუალო დისტანციებზე ცურვაში ლიდერი გახდა. ცნობისთვის, 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატსა და 2008 წლის ოლიმპიადაზე მან 200 მეტრზე მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. ისევე, როგორც ფელპსმა, ფედერიკამაც კონკურენტებს წამზე მეტი მოუგო.

დღის მესამე ფინალშიც მსოფლიოს რეკორდი ვიხილეთ. მისი ავტორი სამხრეთაფრიკელი **კამერონ ვან დერ ბურგი** გახდა, დისტანცია კი არაოლიმპიური იყო - 50 მეტრი ბრასი. ვან დენ ბურგისთვის ეს მეორე მედალია ამ ჩემპიონატზე. მანამდე მან ორჯერ უფრო გრძელ დისტანციაზე ბრინჯაოს მედალი მოიგო.

აფრიკელისგან ამ ჩემპიონატზე ბევრს არ ელოდნენ. ვან დერ ბურგმა ბოლო დროს მოუმატა, ისე კი პეკინის ოლიმპიადაზე 100 მეტრზე ბრასში მხოლოდ მეათე შედეგი აჩვენა და ფინალში ვერ გავიდა.

კიდევ ერთი არაოლიმპიური დისციპლინა - 800 მეტრი თავისუფალი სტილით ცურვა ჩინელმა **ლინ ჟანგმა** მოიგო. აზიელმა ისეთ სწრაფ ტემპში გაიარა მთელი დისტანცია, რომ ცნობილი ავსტრალიელის **გრანტ ჰეკეტის** აწ უკვე ყოფილი რეკორდი მთელი ექვსი (!) წამით გააუმჯობესა. წინა რეკორდი 2005 წლის პირველობაზე იყო დამყარებული.

ჩინეთის ნაკრებმა ამ ჩემპიონატზე პირველი ოქრო მოიპოვა. ჟანგისთვისაც ეს პირველი გამარჯვებაა ასეთი დონის ტურნირზე. რომში ჩინელმა მესამე ადგილი დაიკავა 400 მეტრზე ცურვაში. ამავე დისტანციაზე მას ვერცხლი აქვს მოგებული პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე. კვლავ არ გაუმართლა ტუნისელ **უსამა მელულის**, თუმცა აფრიკელი პროგრესირებს და იქნებ 1500 მეტრზე სცადოს გამარჯვების მოპოვება. შეგახსენებთ, რომ მელულიმ ბრინჯაო აიღო 400 მეტრზე, ახლა კი ორჯერ გრძელ დისტანციაზე ვერცხლი მოიპოვა.

საინტერესო იყო ნახევარფინალური გაცურვები. პელეგრინის გამარჯვებით გახარებულ იტალიელ გულშემატკივრებს სიხარული ჩაუმწარა **ფილიპო მანინიმ**, რომელიც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალში ვერ გავიდა. იტალიელმა მეცხრე დრო აჩვენა, არადა, ის ამ დისციპლინაში 2005 და 2007 წლების ჩემპიონატის გამარჯვებულია. თუმცა მანინის სჩვევია ასეთი ჩავარდნები. მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონის რანგში მან შარშან ოლიმპიადაზე მეცხრე ადგილი დაიკავა.

100 მეტრზე ნახევარფინალში საუკეთესო დრო მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფრანგმა **ალენ ბერნარმა** აჩვენა. სწორედ ის ითვლება ამ დისციპლინაში მთავარ ფავორიტად.

**კაცები**

**200 მ. ბატერფლაი**

1. **მაიკლ ფელპსი** (აშშ) - 1:51.51 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **პაველ კორჟენიოვსკი** (პოლ) - 1:53.23 (+1.72); 3. **ტაკეში მაცუდა** (იაპ) - 1:53.32 (+1.81).

**50 მ. ბრასი**

1. **კამერონ ვან დენ ბურგი** (ს. აფრ) - 26.67 (მსოფლიოს რეკორდი); 2. ფელიპე სილვა (ბრა) - 26.76 (+0.09); 3. **მარკ განგლოფი** (აშშ) - 26.86 (+0.19).

**800 მ. თავისუფალი**

1. **ლინ ჟანგი** (ჩინ) - 7:32.12 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **უსამა მელული** (ტუნ) - 7:35.27 (+3.15); 3. **რაიან კოკრენი** (კან) - 7:41.92 (+9.80).

**ქალები**

**200 მ. თავისუფალი**

1. **ფედერიკა პელეგრინი** (იტა) - 1:52.98 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ელისონ შმიტი** (აშშ) - 1:54.96 (+1.98); 3. დანა ვოლმერი (აშშ) - 1:55.64 (+2.66).

კალათბურთი

# ბელინელი ტორონტოს ერგო

გასულ ღამეს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სამი ახალი გარიგება განხორციელდა.

„ტორონტო რეპტორზმა“ და „გოლდენ სტეიტ უორიორზმა“ გაცვლა განახორციელეს. კანადურმა კლუბმა „მეომრების“ რიგებში გაუშვა ფორვარდი **დევინ ჯორჯი**, სანაცვლოდ კი იტალიელი მცველი **მარკო ბელინელი** მიიღო.

ჯორჯმა გასულ სეზონში 43 მატჩი ითამაშა და მოედანზე საშუალოდ 16 წუთი იმყოფებოდა. მისმა მონაგარმა 3.4 ქულა და 1.8 მოხსნა შეადგინა.

ბელინელის უფრო კარგი სტატისტიკა ჰქონდა - ის 21 წუთში 8.9 ქულასა და 2.1 შედეგიან გადაცემას უყრიდა თავს.

■ ■ ■

„ნიუ ორლეან ჰორნეტსმა“ თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა მძიმე ფორვარდი **იკე დიოგუ**.

25 წლის კალათბურთელმა სანახევროდ გააცდინა შარშანდელი სეზონი. მან 19 მატჩი ჩაატარა „პორტლენდის“ შემადგენლობაში, რის შემდეგაც „საკრამენტოში“ გაუშვეს, სადაც 19-ჯერ მოუწია მოედანზე გასვლამ. ამ მატჩებში დიოგუ 9.2 ქულასა და 3.9 მოხსნას აგროვებდა. ფორვარდი „გოლდენ სტეიტმა“ 2005 წლის დრაფტში მეცხრე ნომრად აიყვანა.

■ ■ ■

Yahoo! Sports-ის ინფორმაციით, „ატლანტა ჰოქსმა“ და ფორვარდმა **მერვინ უილიამსმა** ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს. ხელშეკრულება ხუთწლიანია და კალათბურთელი ხელფასის სახით ჯამში 40 მილიონ დოლარს მიიღებს. კონტრაქტს ხელი მომავალ კვირას მოეწერება.

გასულ სეზონში 23 წლის ფორვარდი ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო „ჰოქსის“ რიგებში. მერვინმა 61 მატჩში საშუალოდ 13.9 ქულა, 6.3 მოხსნა და 1.3 შედეგიანი პასი მიითვალა. უილიამსი 2005 წლის დრაფტის მეორე ნომერია.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**III საკვ. I მატჩები**

| | |
|---|---|
| პეტროვაცი-შტურმი | 1:2 |
| რაბოტნიჩკი-ოდენსე | 3:4 |
| ჰონკა-ყარაბახი | 0:1 |
| მაკაბი (ნ)-გალათასარაი | 1:4 |
| ბრონდბიუ-ლეგია | 1:1 |
| ცსკა (ს)-დერი | 1:0 |
| ფრედრიქსტადი-ლეხი | 1:6 |
| გიოტებორგი-ჰაპოელი (თ-ა) | 1:3 |
| მეტალურგი (დ)-ლუბლიანა | 2:0 |
| ტრომსიო-სლავენი | 2:1 |
| ვოლერენგა-პაოკ | 1:2 |
| ვეტრა-ფულჰემი | 0:3 |
| რაპიდი (ვ)-აპოპ | 2:1 |
| ვოივოდინა-აუსტრია | 1:1 |
| ვადუცი-ლიბერეცი | 0:1 |
| ჟილინა-ჰაიდუკი | 1:1 |
| სტიაუა-მოზერველი | 3:0 |
| ვასლუი-ომონია | 2:0 |
| პოლონია (ვ)-ბრედა | 0:1 |
| სლავია (ს)-კოშიცე | 0:2 |
| ბრიუგე-ლაჰტი | 3:2 |
| რანდერსი-ჰამბურგი | 0:4 |
| აბერდინი-სიგმა | 1:5 |
| რომა-გენტი | 3:1 |
| ფენერბაჰჩე-ჰონვედი | 5:1 |
| ჰელსინგბორგი-სარაევო | 2:1 |
| ეინდჰოვენი-ჩერნო მორე | 1:0 |
| სევოინო-ლილი | 0:2 |
| სტ. პატსი-კრილია | 1:0 |
| რიეკა-მეტალისტი | 1:2 |
| რეიკიავიკი-ბაზელი | 2:2 |
| ბილბაო-იანგ ბოიზი | 0:1 |
| ბრაგა-ელფსბორგი | 1:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| მილანი-ბოკა ხუნიორსი | 1:1 პენ. 3:4 |
| გრაასჰოპერი-ემენი | 0:0 |
| ტოპ ოსი-ტელსტარი | 2:1 |
| ბაიერნი-მანჩესტერ იუნ. | 0:0 პენ. 7:6 |
| მონაკო-ინტერი | 0:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მალმიო-აიკ | 0:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სირიანსკა-ატვიდაბერგი | 2:2 |

**წყალბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**კაცები. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ხორვატია | 12:11 |
| აშშ-ესპანეთი | 6:7 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ვაშინგტონი**

| | |
|---|---|
| ბენეტო-დანიელი | 3:6, 6:7 |
| ჰანესკუ-სერა | 4:6, 0:6 |
| კიფერი-ნავარო | 6:3, 6:7, 6:2 |
| ვავრინკა-ბელუჩი | 4:6, 4:6 |

**ATP. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| კუნიცინი-მაიერი | 6:7, 7:6, 3:6 |
| სელა-კენდრიკი | 6:4, 3:6, 6:1 |

**ATP. უმაგი**

| | |
|---|---|
| კუევასი-მელცერი | 4:6, 3:6 |
| ფერერო-სტარაჩე | 1:6, 6:3, 6:2 |
| ფონინი-ბოლელი | 3:6, 4:6 |
| ერნანდესი-მ. გონსალესი | 4:6, 4:6 |
| დავიდენკო-მარტინი | 6:2, 6:3 |
| სეპი-ჟილი | 7:5, 7:6 |
| ალმაგრო-ლუბიჩიჩი | 5:7, 6:7 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| გორგესი-ჰრადეცკა | 6:2, 4:6, 1:6 |
| უ. რადვანსკა-ძეჰალევიჩი | 7:5, 1:6, 6:4 |
| პეტკოვიჩი-დე ლოს რიოსი | 6:1, 6:0 |
| მ გარიგესი-ოზგენი | 2:6, 6:2, 6:0 |

**WTA. სტენფორდი**

| | |
|---|---|
| ს. უილიამსი-ჩინკი | 6:3, 7:6 |

TV პროგრამა

**31 ივლისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვილიარეალი-არსენალი.
09:10 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
10:10 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:25 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-მარსელი.
14:15 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
17:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
19:30 საფეხბურთო პროგრამა.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-არსენალი.
23:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:00 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-მანჩესტერ იუნ.
01:55 საფეხბურთო კლუბი.
02:45 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
03:15 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
05:05 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

06:45 ახალი ამბები.
07:05 დროთა კავშირი.
07:10 გოლფი.
07:55 ფიგურული სრიალი. გრანპრი. ფინალი. იტალია.
10:00 ახალი ამბები.
10:20 დროთა კავშირი.
10:25 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
10:30 ჰარმონიის ფორმულა.
11:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. სარაგოსა. ესპანეთი.
14:20 ახალი ამბები.
14:35 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. კაცები. 1/2 ფინალი. სერბეთი-ხორვატია. რომი. იტალია.
16:45 ტაილანდური კრივი.
17:40 ახალი ამბები.
17:55 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. ქალები. მე-3 ადგილისთვის. რუსეთი-საბერძნეთი. რომი. იტალია (LIVE).
19:15 ახალი ამბები.
19:30 დროთა კავშირი.
19:40 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
19:55 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VI დღე. რომი. იტალია (LIVE).
22:30 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
22:55 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. ქალები. ფინალი. კანადა-აშშ. რომი. იტალია (LIVE).
00:15 ახალი ამბები.
00:35 დროთა კავშირი.
00:40 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
00:45 კალათბურთი. WNBA-ის მიმოხილვა.
01:15 ტაილანდური კრივი.
02:10 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. ქალები. მე-3 ადგილისთვის. რუსეთი-საბერძნეთი. რომი. იტალია.
03:10 ახალი ამბები.
03:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. ქალები. ფინალი. კანადა-აშშ. რომი. იტალია.
04:30 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. შვედეთი.

**EUROSPORT**

10:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. V დღე. რომი. იტალია.
11:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VI დღე. რომი. იტალია (LIVE).
13:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. V დღე. რომი. იტალია.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. 1/2 ფინალი. უკრაინა.
17:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. 1/2 ფინალი. უკრაინა.
18:45 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. V დღე. რომი. იტალია.
19:45 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. VI დღე. რომი. იტალია (LIVE).
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. აშშ.
23:00 პოკერი. საფრანგეთი.
00:00 რალი. IRC-ის სერია. პორტუგალია.
00:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი.
01:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სტენფორდი. აშშ (LIVE).
03:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ესპანეთი. ბეზიე. საფრანგეთი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:30 ახალი ამბები.
16:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-ბელარუსი. ბეზიე. საფრანგეთი.
16:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-პოლონეთი. ბეზიე. საფრანგეთი.
17:45 ავსტრალიური ფეხბურთი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ესპანეთი. ბეზიე. საფრანგეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სკეიტბორდინგი.
20:45 ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 ახალი ამბები.
22:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-ჰოლანდია. ბეზიე. საფრანგეთი (LIVE).
23:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-პოლონეთი. ბეზიე. საფრანგეთი (LIVE).
00:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-რუსეთი. ბეზიე. საფრანგეთი (LIVE).
01:30 ახალი ამბები.
02:30 რალი. IRC-ის სერია. პორტუგალია.
03:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1

# არ ელოდით? ის დაბრუნდა!

მოხდა ის, რასაც ყველა ასე ელოდა. ამ ამბის ყველას სჯეროდა, მაგრამ ხმამაღლა წარმოთქმას ერიდებოდა. **მიხაელ შუმახერი** „ფერარის“ ბოლიდს უბრუნდება! უნგრეთის გრანპრიზე **ფელიპე მასას** საშინელი ავარია რომ არა, ასეთი რამ, ალბათ, არ მოხდებოდა. „სკუდერია“ არჩევანის წინაშე დადგა: ვის უნდა შეეცვალა ბრაზილიელი? დასავლური პრესა პილოტთა სიას ადგენდა. იხსენებდნენ ყველას, ვისაც კი „ფერარის“ ბოლიდის საჭესთან დაჯდომის მცირედი შანსი ჰქონდა. ზოგიერთის სიაში 10 პილოტი შედიოდა, სხვებისაში - უფრო მეტი. ერთნი მოუწოდებნენ „რენოს“, თუნდაც ერთი რბოლისთვის გაეშვათ „ფერარიში“ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო.** მეორეებმა ფორმულა 1-დან BMW-ის წასვლის შემდეგ, წითელ ბოლიდზე პოლონელი **რობერტ კუბიცა** დასვეს. მაგრამ უმრავლესობა მაინც „წითელი ბარონის“ კანდიდატურისკენ იხრებოდა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ შუმის ბანაკიდან ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდებოდა. თავად შუმახერი და მისი მენეჯერი **ვილი ვებერი** კატეგორიულად უარყოფდნენ დაბრუნების შესაძლებლობას, მაგრამ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის პრესატაშე **საბინა კემი** აცხადებდა, რომ 40 წლის შუმახერი მაინც განიხილავდა მოვლენათა სასურველ განვითარებას.

საბოლოოდ მივიღეთ ის, რაც ყველას ასე ძალიან გვინდოდა: მიხაელ შუმახერი ბრუნდება! სიმართლე ითქვას, ბევრი ჯერ კიდევ ვერ იჯერებს ამ ახალ ამბავს. ვილაცა იტყვის, რომ ის უკვე აღარ არის ძველი შუმახერი. ფორმულა 1-ში მისი ბოლო რბოლა 2006 წლით თარიღდება (ბრაზილიის გრანპრი). ამ სამი წლის განმავლობაში შუმი, ალბათ, გაფლანგავდა თავის სპორტულ ფორმას (და იქნებ, ნიჭსაც). ამას ემატება ასაკი - რაც არ უნდა იყოს, მიხაელი უკვე 40 წლისაა. ასე რომ, გარკვეულ პესიმიზმს, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება. მაგრამ ახლა ამაზე არავინ ფიქრობს.

ადრეც ხომ ხშირად შეგვხვედრია ლეგენდარული ათლეტების დიდ სპორტში წარმატებული დაბრუნების შემთხვევები. გამონაკლისი არც ფორმულა 1-ია. 1982 წელს „დიდ ცირკში“ დაბრუნდა ლეგენდარული ავსტრიელი **ნიკი ლაუდა** და ორი წლის შემდეგ მან მესამედ მოიგო ჩემპიონის ტიტული. შუმახერისგან იგივეს მოლოდინი, რა თქმა უნდა, სისულელე იქნებოდა. მაგრამ მიხაელი ტრასაზე დიდ ამბებს რომ დაატრიალებს, ეს ცხადია.

დღევანდელი ფორმულა 1-სთვის მთავარი ლეგენდის დაბრუნება - სუფთა ჰაერივით იქნება. მუდმივი კონფლიქტებში ჩაძირული ავტოსპორტის დედოფალი ყველაზე მთავარს კარგავდა - მაყურებელს. ახლა კი თავად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოხდება ვალენსიაში მომდევნო ეტაპის დროს. არადა, ევროპის გრანპრის ორგანიზატორები ჩიოდნენ, რომ ბილეთებზე მაღალი ფასების გამო, მაყურებელი სანახევროდ თუ შეავსებდა ტრიბუნებს. სამწუხაროა, რომ „რენოს“ დისკვალიფიკაციის გამო, ვალენსიას ქუჩებში ვერ ირბოლებს **ფერნანდო ალონსოს** - ამ შემთხვევაში ჩვენ ტრასაზე ერთბაშად ოთხ ჩემპიონს ვიხილავდით.

შუმახერის დაბრუნების კომერციულ მხარეზე ლაპარაკიც არ არის. ამით ყველა მოგებული დარჩება - მიხაელი, რომელიც ყოველი რბოლისთვის 3 მილიონ ფუნტს მიიღებს, **ბერნი ექლსტოუნი** და „ფერარი“. უახლოეს გრანპრიზე ბილეთებს რამდენიმე საათში დაიტაცებენ, მიხაელის ახალი ვერსიის კეპების ყიდვას კი ფორმულა 1-ის ათიათასობით ფანატი მოინდომებს.

უყურადღებოდ არ დარჩება სპორტული მხარე. გასაგებია, რომ მიმდინარე სეზონი „ფერარისთვის“ დაკარგულია. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ შუმახერი საჭირო რჩევებს მისცემს იტალიურ გუნდს მომავალი წლის ბოლიდის განვითარებისთვის. ამასთან, არსებობს უამრავი უარყოფითი მომენტიც. ერთ-ერთია მაგალითად ის, რომ მთელი გუნდის მუშაობა მიხაელზე გადაერთვება. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ გერმანელი ნამდვილი ლიდერია და ყოველთვის შემოიკრებდა ხოლმე თავის გარშემო მთელს გუნდს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, უახლოეს თვეებში სკუდერიას „ცენტრი“ შეიძლება შუმახერი გახდეს და არა **კიმი რაიკონენი,** როგორც ეს ფელიპე მასას არყოფნაში იყო მოსალოდნელი. თუმცა „ფერარიმ“ უკვე არაერთხელ ბრწყინვალედ დაგვანახა, რომ შეუძლია თანაბრად გადაანაწილოს თავისი ყურადღება ორივე პილოტზე და საჭირო მომენტში ერთ-ერთზე გადაერთოს.

შუმახერის მენეჯერმა ვილი ვებერმა აღიარა, რომ წინააღმდეგი იყო ფორმულა 1-ში მიხაელის დაბრუნებისა და ყველანაირად ეცადა გადაეფიქრებინა თავისი შეგირდისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა. მისი სიტყვებით, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დღეს „წითელი ბარონისგან“ ყველა მხოლოდ გამარჯვებას ელოდება. ვებერს შუმახერის იმიჯი ადარდებს. მაგრამ თუ გერმანელი რბოლას წააგებს ან თანაგუნდელ რაიკონენს ჩამორჩება, მისი იმიჯს ჩრდილი მაინც არ მიადგება. ყველას მშვენივრად ესმის, რა პირობებში შედგა შვიდგზის ჩემპიონის ასე ნანატრი დაბრუნება.

ერთი რამ ცხადია - უახლოეს პერიოდში „ბრაუნისა“ და „რედ ბულის“ ბრძოლა მეორე პლანზე გადავა. ავანსცენაზე მიხაელ შუმახერი და „ფერარი“ გამოდიან.

■ ■ ■

საინტერესოა ისიც, თუ რამდენი ხანი დასჭირდება „ფერარის“ მიხაელ შუმახერის სამსახური. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, როდის ჩადგება მყობრში ფელიპე მასა.

ბრაზილიელი პილოტის საქმეები კარგად მიდის. მასას პირადი ექიმის განცხადებით, ფელიპე უახლოეს დღეებში შეძლებს შინ დაბრუნებას.

*„ფელიპეს მდგომარეობა სწრაფი ტემპით უმჯობესდება. ის ნორმალურ საჭმელს გეახლებათ, პალატაში დამოუკიდებლად დადის, დილიდან შხაპს იღებს, როგორც აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანი. ეს კარგი ამბებია.*

*მარცხენა თვალთან დაკავშირებით ასევე არანაირი პრობლემა არ არსებობს. მასა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდეს რბოლებს. ეს მისი იდეა-ფიქსია. მას არაფრის ეშინია, მიაჩნია, რომ უახლოეს რბოლაში შეძლებს მონაწილეობის მიღებას.*

*ფელიპე ამბობს, რომ უკვე გაიგო ახალი ამბავი მიხაელ შუმახერთან დაკავშირებით და ასეთი კომენტარი გაუკეთა მას: „ვნახოთ, მივცემ თუ არა მას ჩემი მანქანის საჭესთან დაჯდომის საშუალებას. მე დანებებას არ ვაპირებ“.*

*ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის სამედიცინო გუნდი მუდმივად ფელიპეს გვერდით არის. ყველა გადაწყვეტილება უნგრელ ექიმებთან შეთანხმებით მიიღება. აქ ძალიან კარგი მედპერსონალი ჰყავთ, შესანიშნავი საავადმყოფოა და ყველა მოწყობილობა უმაღლესი ხარისხისაა.*

*ჯერ არ ვიცით, საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ სად გავუშვებთ მასას - მონაკოში თუ ბრაზილიაში. ჯერ უფრო მნიშვნელოვან ამბებზე ვფიქრობთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როდის გამოწერენ მას“,* - ამბობს მასას ექიმი.





**მიხაელ შუმახერის რეკორდები ფორმულა 1-ში**

**ტიტულების რაოდენობა:** 7 (1994, 1995, 2000, 2001, 2002, 2003, 2004)
**ტიტულების რაოდენობა (ზედიზედ):** 5 (2000-04)
**მოგება:** 91 გრანპრი
**ზედიზედ მოგებები:** 7 გრანპრი (2004, ევროპა-უნგრეთი)
**ყველაზე მეტი მოგება ერთ გუნდთან:** 72 (ფერარი)
**ყველაზე მეტი მოგება ერთ გრანპრიზე:** 8 (საფრანგეთი)
**მოგებები სხვადასხვა გრანპრიზე:** 22
**ყველაზე გრძელი პერიოდი პირველ და ბოლო მოგებებს შორის:** 14 წელი, 1 თვე და 2 დღე
**მეორე ადგილი:** 43
**პოდიუმი (TOP 3):** 154
**პოდიუმზე ზედიზედ ფინიში:** 19 (2001, აშშ-2002, იაპონია)
**ქულათა ზონაში ფინიში:** 190
**ქულათა ზონაში ზედიზე ფინიში:** 24 (2001, უნგრეთი-2003, მალაიზია)
**ლიდერის რანგში წრეების რაოდენობა:** 4741 (22 155 კმ)
**პოული:** 68
**პირველი ხაზიდან სტარტი:** 115
**უსწრაფესი წრეები:** 76
**დუბლები (პოული და მოგება):** 40
**ჰეთ-თრიკი (პოული, უსწრაფესი წრე და მოგება):** 22
**ქულა:** 1 369
**სეზონში მოგებები:** 13 (2004)
**სეზონში უსწრაფესი წრეები:** 10 (2004)
**სეზონში ქულები:** 148 (2004)
**სეზონში პოდიუმები:** 17 (100 პროცენტი) (2002)
**ყველაზე ადრე განაღდებული ჩემპიონობა:** 6 რბოლით ადრე (2002)
**მინიმუმ ერთი მოგება სეზონში:** ზედიზედ 15 წელი (1992-2006)
**ჩემპიონის რანგში დღეების რაოდენობა (ზედიზედ):** 1813 (2000 8 ოქტომბერი-2005 წლის 25 სექტემბერი)

ჩოგბურთი



# ანას მწვრთნელები ვერ უძლებენ

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა** მორიგ მწვრთნელთან გაწყვიტა ურთიერთობა. სერბმა ჩოგბურთელმა აღარ გააგრძელა თანამშრომლობა ავსტრალიელ სკოტ ბაირნსთან, რომელიც სერბის ფიზიკურ მომზადებაზე იყო პასუხისმგებელი.

ივანოვიჩისა და ბაირნსის თანამშრომლობა სამი წელი გრძელდებოდა და ის მწვრთნელის ინიციატივით შეწყდა. ავსტრალიელმა სპორტსმენთან ურთიერთობის გაწყვეტა მუშაობის დაძაბული გრაფიკისა და მუდმივი გადაფრენების გამო გადაწყვიტა. ბაირნსმა შვებულება აიღო და სამშობლოში გაემგზავრა.

*„მადლობა მინდა გადავუხადო სკოტს ამ მძიმე სამუშაოს გამო. სამწლიანი თანამშრომლობის პერიოდში ძალიან ბევრს მივაღწიეთ და როცა უკან ვიხედები, სიხარულით ვიხსენებ ჩემი კარიერის ამ ეტაპს. სკოტმა ჩემი ფიზიკური მომზადება მართლაც ახალ დონეზე აიყვანა. მე მას ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ“,* - განაცხადა ივანოვიჩმა, რომელიც ამჟამად მე-11 ადგილს იკავებს WTA-ის კლასიფიკაციაში.

შეგახსენებთ, რომ ივნისში ივანოვიჩმა შეწყვიტა ურთიერთობა თავის პირად მწვრთნელ **კრეიგ კარდონთან,** რომელიც სერბთან ამა წლის თებერვლიდან მუშაობდა. ანამ კარდონი ავსტრალიის ღია პირველობაზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ დაიქირავა. მანამდე, ივანოვიჩის დამრიგებელი **სვენ გრონეფელდი** იყო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge